საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№24 (542)
1 - 7 ივლისი, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

კაცობრიობის აკვანი კავკასიაში დაირწა 17



# საქართველოში ამომრჩეველს ვინ რას ეკითხება 2



## მთავარია, ევროპასა და ამერიკაში კონკრეტულ ადამიანებს როგორ გუნებაზე გაეღვიძებათ

3 ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის სულერთია, როგორი საარჩევნო სისტემით შევლენ მომავალ პარლამენტში 30 ვერცხლის მოყვარული «ხალხის რჩეულები»



24 ახალი რეალობა: გერმანია და იაპონია ამერიკას ეურჩებიან






თამარ კიკნაძე:

## საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ რუსეთის გარეშე აფხაზებსა და ოსებთან არანაირი ურთიერთობა არ გამოვა 6

„საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც ნიშნავს იმას, რომ თავისუფალი არჩევანის საშუალება არ გვაქვს“



გივი იუკურიძე:

## საქართველოს პორტებში აშშ-ის გემების ხშირად გამოჩენას კრემლი რეაგირების გარეშე არ დატოვებს 7

„როცა მსოფლიო, პრაქტიკულად, კატასტროფის ზღვარზეა, რაღაც გაუგებარ წვრთნებში მილიონებს არ უნდა ხარჯავდნენ“

## არჩევნები ამოყირავებულ დედამიწაზე 8-9



## ცხოვრება ტრაგედიიდან ტრაგედიამდე

სწავლება მიდის იქით, რომ ბავშვს ჩააგონონ: მთავარია, შენ იყო კარგად და გარშემო მყოფთ კისერიც უტეხიათ... 4



## «ვეკითხები განათლების სამინისტროს — როგორ უნდა ანაზღაურდეს გაცდენილი საათები?» 5



მანკიერ წრეზე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთისთვის სწორედ იმ წრეზე თუ წრეში მორბენალი ზაზუნებივით ვართ და ახლა მშვიდად ელოდება, როდის დავიღლებით და როდის გავა იმდენი წელი, ბრძოლისა და სირბილის უნარი რომ აღარ გვექნეს. პრინციპში, უნარი რომ აღარ გვაქვს, უკვე გამოჩნდა — ამერიკა-ევროპამ თავისი გაიტანა და თავს მოგვახვია კანონი, რომელსაც ნებისმიერ მომენტში მარტივად ააფეთქებენ, შესაბამისი მექანიზმებით იზამენ იმდენს, რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს. შემთხვევით ხელისუფლების სათავეში ეროვნული მთავრობა თუ მოვა, შეცვალონ; ან მონობის უღლის გადაგდებას თუ დააპირებს რომელიმე ხელისუფლება, არ დაანებონ.**

# საქართველოში ამომრჩეველს ვინ რას ეკითხება — მთავარია, ევროპასა და ამერიკაში კონკრეტულ ადამიანებს როგორ გუნებაზე გაეღვიძებათ

**29 ივნისი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერებაო, — ბრძანეს კანონმდებლებმა და საკონსტიტუციო ცვლილებები მესამე მოსმენით „დააჩაქუჩეს“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ პარლამენტს 120/30-ზე სისტემით ავირჩევთ, ანუ 120 დეპუტატი პროპორციული სიით გავა, 30 — მაჟორიტარულით. მართალია, არავინ გვიხსნის, 73 ოლქი 30-მდე როგორ დაიყვანეს და როგორ უნდა მიხედოს ერთმა მაჟორიტარმა, სულ ცოტა, 150 ათას ამომრჩეველს, მაგრამ ეს ხომ ამომრჩევლებისთვის არ კეთდება და არც არავინ ავალდებულებს დეპუტატებს, ხალხს მიხედონ, მთავარია, პარლამენტში მოხვდე და მერე მომავალ არჩევნებამდე შეგიძლია კვლავ ფეხებზე დაიკიდო ამომრჩეველი, როგორც წინა ოთხი წლის განმავლობაში გეკიდა.**

ამ ყველაფერში მთავარია ის, რომ აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილება ჩვენი სურვილი არ ყოფილა. ეს სურდა ევროპასა და ამერიკას. სწორედ ამერიკელი და ევროპელი ელჩების, დიპლომატებისა თუ კონგრესმენების ზეწოლის შედეგად დაიხია ხელისუფლებამ უკან და ხალხის აზრი არ გაითვალისწინა. თუ გახსოვთ, პირველი მცდელობისას ეს პროექტი ჩავარდა და ჩავარდა მარტივი მიზეზის გამო — მაჟორიტარებმა თქვეს: ჩვენს ამომრჩეველს შევხვდით, ისინი საკონსტიტუციო ცვლილებების წინააღმდეგი არიან და ხომ გსმენიათ, ხმა ერისა, ხმა ღვთისაო. თუმცა, **ამერიკა-ევროპის ჩარევამ კანონმდებლებს ერიც დაავიწყათ და ღმერთიც. ისინი უბრალოდ დაემორჩილნენ „სტრატეგიული პარტნიორების“ გადაწყვეტილებას და მერე რა, რომ რამდენიმე თვით ადრე ამტკიცებდნენ, ამომრჩეველი წინააღმდეგიაო. საქართველოში ხომ ასეა — არავინ ეკითხება ამომრჩეველს, მთავარია, ევროპასა და ამერიკაში კონკრეტულ ადამიანებს როგორ გუნებაზე გაეღვიძებათ.**

ყველაზე საინტერესო და სასაცილო არის ის, რომ როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის და, რაც მთავარია, დასავლელი პარტნიორების აზრით, ამ სისტემით, ძალიან დიდია კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების ალბათობა. როგორ წარმოგიდგენიათ ქართულ რეალობაში ის, რომ, მაგალითად, პრემიერმინისტრი იყოს **გიორგი გახარია**, ინფრასტრუქტურის მინისტრი — **ელენე ხოშტარია,** შინაგან საქმეთა მინისტრი — **ნიკანორ მელია** და თავდაცვის მინისტრი **შალვა ნათელაშვილი?** ჯერ ხელისუფლებაში არ არიან და ოპოზიციამ სკამების გამო ერთმანეთი ლამის ჩაქოლოს (ახალი სერიები წინ გველოდება), სამთავრობო დაჯგუფებებსა და კლანებს შორის ომი კი ცალკე თემაა და ახლა დასავლეთს სურს, ამ ხალხმა ერთად, ერთ მინისტრთა კაბინეტში იმუშაოს. იცით, რატომ არის ეს გამორიცხული? იმიტომ, რომ **პროპორციული სისტემით მუშაობა ვერ მოახერხა ისრაელმა, მოლდოვამ, უნგრეთმა, საბერძნეთმა, იტალიამ და კიდევ არაერთმა ქვეყანამ. ამ ქვეყნებში კოალიციური მთავრობა აირია, დაირია და საბოლოოდ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა. ასე განსაჯეთ, ზოგ ქვეყანაში რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა მეორედაც დასჭირდათ, იმიტომ, რომ კვლავ კოალიციური მთავრობა ჩამოყალიბდა და, პირველის მსგავსად, ისევ არ გაამართლა.**

**ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ კოალიციური მთავრობა საქართველოშიც არ გაამართლებს. ისიც კარგად ვიცით, რომ ასეთ შემთხვევაში, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ხელში გვიჭირავს, რაც ქვეყნის ბიუჯეტს კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი დაუჯდება, მერე ვიღაცას რაღაც არ მოეწონება, შეეცდება, პროტესტი გამოხატოს, შემდეგ პარლამენტის შენობაში შევარდნის ცდუნებაც გაჩნდება და წავალთ იმ მანკიერ წრეზე, რომელზეც, აგერ უკვე 30 წელიწადია, დავდივართ და თავი ვერ დაგვიღწევია.** ზაზუნას უდებენ ხოლმე გალიაში რგოლს, რომელზეც დარბის, დარბის, იღლება, იქანცება, ისვენებს და მერე იმავეს ხელახლა აკეთებს. ასე გრძელდება წლობით, სანამ ზაზუნა არ მოკვდება და შემდეგ ახალი ზაზუნით ანაცვლებენ. მედიცინაში ზაზუნებს ცდებისთვის ხშირად იყენებენ და რატომღაც **ისეთი განცდა მაქვს, რომ დასავლეთისთვის სწორედ იმ წრეზე თუ წრეში მორბენალი ზაზუნებივით ვართ და ახლა მშვიდად ელოდება, როდის დავიღლებით და როდის გავა იმდენი წელი, ბრძოლისა და სირბილის უნარი რომ აღარ გვექნეს. პრინციპში, უნარი რომ აღარ გვაქვს, უკვე გამოჩნდა — ამერიკა-ევროპამ თავისი გაიტანა და თავს მოგვახვია კანონი, რომელსაც ნებისმიერ მომენტში მარტივად ააფეთქებენ, შესაბამისი მექანიზმებით იზამენ იმდენს, რომ რიგგარეშე არჩევნები დაინიშნოს. შემთხვევით ხელისუფლების სათავეში ეროვნული მთავრობა თუ მოვა, შეცვალონ; ან მონობის უღლის გადაგდებას თუ დააპირებს რომელიმე ხელისუფლება, ეს არ დაანებონ.**

**ბოლო ხმაზე რომ გავკივით, — ეს კანონი ევროპისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯიაო, გეკითხებით, ბატონებო, რომელი ევროპისკენ? იმ ევროპისკენ, პანდემიის დაწყებისთანავე ყველა ქვეყანა საკუთარ ნაჭუჭში რომ ჩაიკეტა და, საქართველო კი არა, ესპანეთი და იტალია სასიკვდილოდ რომ გაწირა?** იმ ევროპისკენ, მოგვიანებით რომ აღიარეს: უი, გადარჩით, ჩვენო ესპანელო და იტალიელო მეგობრებო? ბოდიშს გიხდით, სათანადო ყურადღება რომ ვერ მოგაქციეთ, შეცდომა მოგვივიდაო და **სად იყო ამ მომენტში სტრატეგიული პარტნიორობა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების სოლიდარობა და დახმარების ხელი? — არსად.** და იცით, რატომ? ყველა ელოდა, ისე დასუსტებულიყო ეს ორი ქვეყანა, შემდეგ რომ ვალი მიეცათ და მათ გაჭირვებაზე ფული გაეკეთებინათ და კიდევ უფრო დამოკიდებული გაეხადათ. ჰო, პირველობისთვის მიდის ბრძოლა და დანარჩენი ყველაფერი ლამაზი სიტყვებია. ყველას უნდა ბატონობა და ამიტომ მზად არიან, პარტნიორები იოლად გაწირონ და გაწირონ სასიკვდილოდ. **სიკვდილი ცელავდა ათასობით იტალიელსა და ესპანელს ყოველდღიურად და არავის გასჩენია სურვილი, მათთვის რამე მიეწოდებინა, ყოფა შეემსუბუქებინა. და ხომ წარმოგიდგენიათ, ინფიცირების ანალოგიური მასშტაბი საქართველოში რომ ყოფილიყო, რა მოხდებოდა? — მავთულხლართს შემოავლებდა ევროპა ჩვენს ქვეყანას და მშვიდად დაელოდებოდა ტერიტორიის მოსუფთავებას.**

ახლა კიდევ ვზეიმობთ. ვზეიმობთ ახალ ჩანაწერს კონსტიტუციაში და მერე რა, თუ ეს ჩანაწერი ყოველთვის შეგვახსენებს იმას, რომ ვიღაც (ჰო, ვიღაც) **კელი დეგნანმა** ქართული პოლიტიკური სპექტრი თითზე დაიხვია, „სპინერივით“ ატრიალა და კონსტიტუცია — ქვეყნის უზენაესი კანონი, საკუთარ თარგზე მოაჭრევინა. ამით ოფიციალურად გავიფორმეთ დასავლეთის მონობა და ვერ გეტყვით, რამდენი წელი გავა კიდევ, სანამ ლაქას ჩამოვირეცხთ. სწორედ ლაქას, რადგან **მთელი პოლიტიკური სპექტრი, თავმოყვარე ხალხი (მათ რომ ჰკითხოთ, ასეა), ორი თვის განმავლობაში ამტკიცებდა: კონსტიტუციას ვერ დავარღვევთ, ამ მოწვევის პარლამენტი საარჩევნო ცვლილებებს აღარ განიხილავსო,** მაგრამ განიხილა კი არა, ერთის ნაცვლად სულ ორ-ორი ხელი აუწიეს. **არც ის დაგვავიწყდეს, რომ დასავლეთმა სწორედ ხელისუფლება აიძულა, არაოფიციალურად ეღიარებინა, რომ ქვეყანაში არის დიქტატურა, რადგან როცა ციხიდან უშვებ ორ ადამიანს, რომელზეც ბოლო ხმაზე გაჰყვირი, სისხლის სამართლის დამნაშავეები არიანო, პოლიტიკის სუნი უდის და თანაც როგორი — პოლიტპატიმრების. სახელმწიფო წყობას კი იქ, სადაც პოლიტპატიმრები არიან, დიქტატურა ჰქვია.** თუმცა, მმართველმა გუნდმა ესეც გადაყლაპა და მიიღო კანონი, რომელსაც, კიდევ ვიმეორებ, არაერთხელ მოჰყვება არეულობა და გაუგებრობა, არაერთხელ შემოვირტყამთ თავში ხელს, მაგრამ ისიც ვიცით, როგორ „გააპრავებენ“ ამ ამბავს პოლიტიკოსები, — სტრატეგიულმა პარტნიორებმა და მეგობრებმა გვირჩიეს, უარი როგორ გვეთქვაო?! მეგობრობა, წესით, ისეთი უნდა, გერმანიას, საფრანგეთს, ესპანეთსა და იტალიას რომ აქვთ ერთმანეთში, ანუ ისინი ყველგან ერთად არიან, დიდ რვიანში, ევროკავშირში თუ სხვა კავშირსა და ალიანსში, მაგრამ, როგორც კი საქმეს დასჭირდა, როგორც კი ფეხი დაუცდათ იტალიასა და ესპანეთს, დანარჩენები წიხლით შესდგნენ, გაჭირვებაში მყოფ ქვეყნებს ზურგი შეაქციეს და ბოდიშით შემოიფარგლნენ, დაახლოებით ისე, ჩვენ აღშფოთება-შეშფოთებას რომ გვაკმარებენ ხოლმე.

ვერ გეტყვით, რა იქნება ხვალ, მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ შემოდგომაზე ავირჩევთ 30 მაჟორიტარს 3-მილიონიან ამომრჩეველში და დასრულდება ამით ამომრჩევლისა და რჩეულის ურთიერთობა. ფიზიკურად ვერ მოახერხებს ვერავინ კარდაკარ სიარულს და მთავარი ის კი არ იქნება, ვინ რამდენი ხმა დააგროვა კონკრეტულ დღეს, არამედ ის, ვინ რამდენს დააგროვებს მომდევნო ოთხ წელიწადში. მოსახლეობა კი (უმუშევრობის სტატისტიკა გაორმაგდა) კვლავ ხელგაწვდილი იქნება და იმ ძვალს დაელოდება, 4 წლის განმავლობაში რომ ხრავენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი და საარჩევნოდ მოისვრიან ხოლმე. მანამდე კი კელი დეგნანი როგორ განწყობაზე გაიღვიძებს, იმაზე ვართ დამოკიდებული და ისე არ მოხდეს, **უგულავასა** და **ოქრუაშვილის** გათავისუფლებას რურუას თავისუფლებაც მოაყოლონ — აქაოდა, ეგეც შეთანხმებაში გვეწერაო. როცა ქართული პოლიტიკური სპექტრი და დასავლელი ელჩები დოკუმენტს ადგენენ და გიორგი რურუას პოლიტპატიმრობაზე სერიოზულად საუბრობენ, მაშინ გვაქვს „დემოკრატიის ზეიმი“.



**ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში კოალიციური მთავრობა არ გაამართლებს. ისიც კარგად ვიცით, რომ ასეთ შემთხვევაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ხელში გვიჭირავს, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტს კიდევ რამდენიმე ათეული მილიონი დაუჯდება. მერე ვიღაცას რაღაც არ მოეწონება, შეეცდება, პროტესტი გამოხატოს, შემდეგ პარლამენტის შენობაში შევარდნის ცდუნებაც გაჩნდება და წავალთ იმ წრეზე, რომელზეც, აგერ უკვე 30 წელიწადია, დავდივართ და თავი ვერ დაგვიღწევია**

**ბესო ბარბაქაძე**

**ღმერთმა ინებოს და, მომავალი არჩევნების შედეგად მაინც გაჩნდეს თვისობრივად ახალი ოპოზიცია, რომლის ზემოქმედების შედეგად საქართველო უარს იტყვის ამერიკასთან სტრატეგიულ კავშირზე და ნორმალურ ურთიერთობებს დაამყარებს ერთმორწმუნე რუსეთთან.**



ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის სულერთია, როგორი საარჩევნო სისტემით შევლენ მომავალ პარლამენტში 30 ვერცხლის მოყვარული «ხალხის რჩეულები»

**რამდენიმეთვიანი პოლიტიკური კრუნჩხვა-ქინთვების შემდეგ, დასავლეთის „ბებია-ქალებისა" თუ „ბაბუაკაცების" რეკომენდაციებით, საქართველოს პარლამენტმა, როგორც იქნა, „იმშობიარა" და ქვეყანას ცვლილებაშეტანილი კონსტიტუცია მოევლინა.**

ცვლილების არსი არის ის, რომ საპარლამენტო არჩევნები ახალი სისტემით ჩატარდება — 120/30-ზე, ანუ 120 დეპუტატი ძველი, პროპორციული სისტემით აირჩევა, ხოლო დანარჩენი 30 — მაჟორიტარული წესით შევა პარლამენტში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ორგანოს შერეული წესით არჩეული პარლამენტი შეიძლება ვუწოდოთ. კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებას ქვეყნის მმართველმა „ქართულმა ოცნებამ" დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა, რომელიც თურმე იმაში მდგომარეობს, რომ 2020 წლის შემდეგ არჩევნები მხოლოდ პროპორციული წესით გაიმართება და ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაბარდება მაჟორიტარობა. ამ „გამარჯვებას" ისეთი აღტაცებით ულოცავდნენ ერთმანეთს და ქართველ საზოგადოებასაც ქოცები, რომ გეგონებოდათ, მორიგი არაფრისმაქნისი ჩანაწერი კი არ გააკეთეს, სოხუმი თუ ცხინვალი მოაქციეს საქართველოს იურისდიქციაში.

მწარე სინამდვილე კი არის ის, რომ, **30 წელიწადია, ქვეყანას პატრონი არ ჰყავს და, აქედან გამომდინარე, ქართველი საზოგადოების უმრავლესობისთვის სულერთია, როგორი საარჩევნო სისტემით შევლენ მომავალ პარლამენტში 30 ვერცხლის მოყვარული (მცირე გამონაკლისის გარდა) „ხალხის რჩეული", დასავლეთის მიერ დანიშნული დეპუტატები.**

ზოგი ჭირი მარგებელიაო და ამ არჩევნებიდან ხალხისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები შედეგი იქნება ის, რომ, დიდი ალბათობით, შალვა ნათელაშვილის ე.წ. ქარვასლაში შეკრებილ გაერთიანებულ ოპოზიციას, მიუხედავად 1%-იანი ბარიერისა, გამარჯვების (ეს უკვე ავლიპ ზურაბიშვილის სფეროა) კი არა, საერთოდ, პარლამენტში შესვლის პრობლემა ექნება, ხოლო ე.წ. ნაცსექტა და „ევროპული საქართველო" სამუდამოდ დაემშვიდობებიან მთავარი ოპოზიციის სტატუსს მათ მფარველ დასავლეთშიც კი, თორემ ქართველი ხალხის თვალში მსგავსი რამ არასოდეს ჰქონიათ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ქოცების ამ „გამარჯვებაში" წილის დადებას ნაცსექტა და მისი განაყოფი „ევროპული საქართველო" ცდილობენ. **ნათელაშვილის** ფანჩატურში შეკრებილი ერთკაციანი პარტიების ფონზე ასე თუ ისე ანგარიშგასაწევი ძალა უზარმაზარი ფინანსური და სატელევიზიო რესურსებით ებრძვის სახელგატეხილ, მაგრამ საზოგადოებისთვის შედარებით მისაღებ „ქართულ ოცნებას", — ჩვენს მიერ დასავლეთიდან ორგანიზებულმა ზეწოლამ აიძულა ქოცები, 120-30 სისტემა მიეღოთ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ნაცები და ევრონაცები ნაწილობრივ სიმართლეს ამბობენ...

**სალომე ზურაბიშვილმა** რა ზღაპრებიც უნდა მოყვეს, ერთი რამ უეჭველია — თავი რომ დავანებოთ სხვა დანაშაულებს, რომლებიც, ლოგიკიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, ექნებოდათ ქვემოთ ნახსენებ პირებს, ქილერი **გიორგი (ჟორიკა) რურუა**, ხაზინის ქურდი **გიგი უგულავა** და **ბუტა რობაქიძის** მკვლელობის „გამპრავებელი" **ირაკლი ოქრუაშვილი** ამერიკა-ევროპამ პოლიტპატიმრებად აღიარეს, უგულავა და ოქრუაშვილი ციხიდან გამოაშვებინა კიდეც ქოცების ხელისუფლებას, ხოლო **თორაძეების** 6-სულიანი ოჯახის გამჟუჟველი რურუა ისეთი აბსურდული მიზეზით (ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარება) ზის ციხეში (მიუხედავად იმისა, ჩაუდეს თუ არა იარაღი), ბავშვსაც კი გაეცინება, რადგან ჟორიკას, თორაძეების გარდა, იმდენი ადამიანი ჰყავს „დაბრედილი", რომ ჰკითხოთ, კალკულატორი თუ არ მოიშველია, ალბათ, ვერ გიპასუხებთ და ასეთ კაცს, იარაღის უკანონო ტარების გარდა, სხვა ცოდვას რომ ვერ მოუძებნი, ჩვენი სამართალდამცველების სირცხვილია.

მიცვალებულებზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო, რაც შეცდომაა. სინამდვილეში ეს გამონათქვამი ასეა: „მიცვალებულებზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი, სიმართლის გარდა". დღემდე არავინ არაფერს ამბობს ჟორიკას აწ განსვენებულ უფროს ძმა **ნიკა რურუაზე**, რომელიც თავის დროზე **ჯაბა იოსელიანის** მარჯვენა ხელი და „მხედრიონის" დანაშაულებრივი დაჯგუფების (აღსანიშნავია, რომ „მხედრიონში" არა მხოლოდ ყაჩაღები, სამშობლოს პატრიოტი ქართველი ვაჟკაციც ბევრი იყო), რომ იტყვიან, „მოზგი" გახლდათ... ხოლო, როდესაც „მხედრიონსაც" „დაერხა" და ჯაბა იმქვეყნად წავიდა, ნიკა რურუა ნაცების სიით პარლამენტის დეპუტატი გახდა, ჟორიკას კი „ზონდერკამანდა", ანუ არაფორმალური შეიარაღებული რაზმი ჩააბარა და იქნებ ამ ძალის იმედითაც, ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი იყო იმ მცირეთაგან, ვინც **მიშა სააკაშვილს** სიტყვის შებრუნებას უბედავდა. ბედის ირონიაა, რომ საქართველოს ამომგდები დიდუბის პანთეონში მარხია, ხოლო მისი პირადი ქილერი პოლიტპატიმარია, რომლის განთავისუფლებასაც „განათლებული" და დემოკრატიული ევროპა და ამერიკა ითხოვენ.

ეს ისე, მცირე პასაჟი მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის წარმოსადგენად, რით სუნთქავდა ჯერ **ზვიად გამსახურდიას** დამხობის, შემდეგ „ვარდების რევოლუციის" აქტიური მონაწილე ნიკა რურუა.

ახლა დავუბრუნდეთ მთავარს, თუმცა მკითხველისთვის, ალბათ, არც ეს „არამთავარი" იყო უინტერესო...

ამ „გამარჯვებაში" ვის რა წვლილი მიუძღვის, არ ვიცი, მაგრამ გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც ერთი რამ აქვთ საერთო — ის, რაც



**ზოგი ჭირი მარგებელიაო და ამ არჩევნებიდან ხალხისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები შედეგი იქნება ის, რომ, დიდი ალბათობით, შალვა ნათელაშვილის ე.წ. ქარვასლაში შეკრებილ გაერთიანებულ ოპოზიციას, მიუხედავად 1%-იანი ბარიერისა, გამარჯვების (ეს უკვე ავლიპ ზურაბიშვილის სფეროა) კი არა, საერთოდ, პარლამენტში შესვლის პრობლემა ექნებათ, ხოლო ე.წ. ნაცსექტა და «ევროპული საქართველო» სამუდამოდ დაემშვიდობებიან მთავარი ოპოზიციის სტატუსს მათ მფარველ დასავლეთშიც კი, თორემ ქართველი ხალხის თვალში მსგავსი რამ არასოდეს ჰქონიათ**

29 ივნისს პარლამენტში ხდებოდა, გამარჯვების ზეიმი კი არა, ქოცებსა და ნაცებს შორის ამაზრზენი შეჯიბრება იყო, ვინ უფრო მოაწონებდა თავს ოკეანისგაღმელ პატრონებს — მე უფრო პროდასავლელი ვარ, ვიდრე შენო... ამ შეჯიბრებისას ვაზელინის ისეთი სუნი დადგა დარბაზში, კორონავირუსისგან დამცავი ყველაზე საიმედო პირბადეც ვერ გიშველიდა.

ზემოთ ვთქვი, ქვეყანას პატრონი არ ჰყავს-მეთქი, რადგან, ყოველივე ზემოთქმული დროებით გვერდით რომ გადავდოთ, მხოლოდ ჟორიკა რურუას პოლიტპატიმრად შერაცხვა იქნებოდა თავმოყვარე ხელისუფლებისთვის იმის საბაბი, რომ იმაზე მაინც დაფიქრებულიყო, ვისთან ვთამაშობთ სტრატეგიულ პარტნიორობანას და იქნება ისიც გახსენებოდათ, ამ თამაშმა ნგრევის, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის, აგვისტოს სამარცხვინო ომის მეტი რომ არაფერი მოგვიტანა, მაგრამ ამის მოთხოვნას, ვიმეორებ, თავმოყვარე ხელისუფლების შემთხვევაში აქვს აზრი და წინამდებარე წერილიც საქართველოსთვის ეს მერამდენედ სულში ჩაფურთხებაზე მქონე და ჩაფიქრებული, მაგრამ ისეთი რამ ვიხილე საკუთარი თვალით, რომ...

როგორც ცნობილია, **რუსეთში მიმდინარეობს ახალი კონსტიტუციისთვის ხმის მიცემის პროცესი და სწორედ ამ რეფერენდუმის დაწყების დღეს მოსკოვის ცენტრში მდებარე ამერიკის საელჩოს ფანჯრიდან გადმოკიდეს აშშ-ის სახელმწიფო დროშა, რომლის ქვემოთაც გადმოფენილი იყო ლგბტ სექტის დიდი დროშაც. ამ აშკარა პროვოკაციას მოჰყვა მოსკოვში აშშ-ის ელჩის ვრცელი ტელეკომენტარი, რომლის მოკლე შინაარსი არის ის, რომ ამერიკა სწორედ ასეთი მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობის გამოა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო.**

ეს აქტი იმიტომ არის პროვოკაცია და უფრო მეტიც, რუსეთის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, რომ რუსეთში აკრძალულია არასრულწლოვნებს შორის გეიპროპაგანდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე ვერანაირი გეიაღლუმი ვერ ჩატარდება. რუსეთის ახალ კონსტიტუციაში კი შავით თეთრზე წერია, რომ ქორწინება მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის არის დასაშვები. ახალი კონსტიტუცია, აგრეთვე, ღაღადებს, რომ ყველანაირი ტერიტორიული დავა რუსეთის მიმართ დახურული თემაა და განხილვას არ ექვემდებარება.

ამერიკისთვის კი ყველაზე მიუღებელი არის ის, რომ ახალი კონსტიტუცია, პრაქტიკულად, ნიშნავს **ვლადიმერ პუტინის** სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტობას, რაც ესოდენ საჭიროა რუსეთისთვის, რადგან ყოველივე ზემოთქმულსა თუ ართქმულს დაცვა და განხორციელება სჭირდება. ეს კი შეუძლებელი იქნება დასავლური „დემოკრატიის" პირობებში.

დემოკრატობანას თამაშმა სადამდეც მიიყვანა აშშ, სრულიად მსოფლიომ ნახა და მომავალში უფრო „უკეთეს" ამერიკულ დემოკრატიას ვიხილავთ. ახლა თუ ზანგებს უკოცნიან თეთრები უკანალს, მალე ანალოგიურ „პატივისცემას" ლგბტ-სექტანტები მოითხოვენ ნორმალური ამერიკელებისგან. როგორც ჩანს, ტრამპის ბრძანება ჰაერში გასროლილი სიტყვები ყოფილა, ვლადიმერ პუტინის ნათქვამი კი კანონია და, თუ რუსეთის პრეზიდენტის ჯანმრთელობასა და წლოვანებას გავითვალისწინებთ, პრეზიდენტობა 15-20 წელიწადი გარანტირებული აქვს...

ღმერთმა ინებოს და, მომავალი არჩევნების შედეგად მაინც გაჩნდეს თვისობრივად ახალი ოპოზიცია, რომლის ზემოქმედების შედეგად საქართველო უარს იტყვის ამერიკასთან სტრატეგიულ კავშირზე და ნორმალურ ურთიერთობებს დაამყარებს ერთმორწმუნე რუსეთთან, რომლის პრეზიდენტიც დიდი ხნის განმავლობაში იქნება ვლადიმერ პუტინი.

რუსეთთან ძმური ურთიერთობის აღდგენისკენ მოგვიწოდებს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი — ერთადერთი პატრონი და გულშემატკივარი ქართველი ერისა. უფალო, ბევრი დღენი მიეცი ჩვენს უწმინდესსა და უნეტარესს ჩვენდა ნუგეშად და იმედად!

**მხოლოდ ჟორიკა რურუას პოლიტპატიმრად შერაცხვა იქნებოდა თავმოყვარე ხელისუფლებისთვის იმის საბაბი, რომ იმაზე მაინც დაფიქრებულიყო, ვისთან ვთამაშობთ სტრატეგიულ პარტნიორობანას და იქნებ ისიც გახსენებოდათ, ამ თამაშმა ნგრევის, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის, აგვისტოს სამარცხვინო ომის მეტი რომ არაფერი არ მოგვიტანა**

**დავით მხეიძე**

საქართველო დღეს
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გვქონდა სწავლების მოდელი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მუშაობდა. იმ მოდელით სკოლადამთავრებულები განათლებასაც იღებდნენ და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტის მაგივრად მეგობრობას, თანადგომას, ურთიერთგატანას, სუსტის მფარველობას, სულგრძელობასა და კეთილშობილებას სწავლობდნენ და ისისხლხორცებდნენ. იმ განათლების სისტემით ადამიანი ადამიანისთვის ამხანაგად, მეგობრად და ძმად ყალიბდებოდა. ის განათლების სისტემა მოვშალეთ თუ მოგვაშლევინეს, დაგვინერგეს „პროგრესული“ — ხან ამერიკული, ხან ევროპული და ხან კიდევ, ვინ იცის, სადაური განათლება და შედეგსაც ვიმკით: ახალგაზრდები, ფაქტიურად, ჯერ კიდევ ბავშვები მცირე საბაბის გაჩენისთანავე სასიკვდილოდ იმეტებენ ერთმანეთს.

# ცხოვრება ტრაგედიიდან ტრაგედიამდე

**მორიგი ტრაგედია საქართველოში: 19 წლის გიორგი შაქარაშვილი თანატოლებმა სასიკვდილოდ გაიმეტეს (ან საფრთხისგან გაქცევისას უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა; ვნახოთ, რას დაადგენს გამოძიება). არ აქვს მნიშვნელობა, ვინ 20 წლის იყო, ვინ ერთით მეტის ან ნაკლების, ერთი თაობის ყმაწვილები არიან. ჰო, ყმაწვილები და არა კაცები. უფროსებმა ხომ ვიცით, რომ ამ ასაკში ყველაფერი სხვანაირად გვეჩვენება, მერე და მერე ვხვდებით, რომ ბავშვურ ილუზიებში ვიყავით.**

## სწავლება მიდის იქით, რომ ბავშვს ჩააგონონ: მთავარია, შენ იყო კარგად და გარშემო მყოფთ კისერიც უტეხიათ...



გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალებამდე იყო **დავით სარალიძისა** და **ლევან დადუნაშვილის** სასტიკი მკვლელობები და მაშინაც მხარეების კამათში სამეგობრო ჩაერია — მივიდნენ, გაშველებაშერიგების (როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე, „ბნელი საბჭოეთის“ დროს) ნაცვლად ხელახლა გააღვივეს კონფლიქტი და, თუ სარალიძე და დადუნაშვილი დანებით დაჩეხეს, შაქარაშვილი, დიდი ალბათობით, რკინის ხელკეტებით გაიმეტეს სასიკვდილოდ. მართალია, ჯერჯერობით გამოძიებას კონკრეტული დეტალები არ უთქვამს, მაგრამ ყველაფერი აქეთ მიდის. პროკურატურის მიერ გავრცელებულ ვიდეოკადრებშიც ჩანს, რომ შინ მიმავალ ბიჭებს თავს დაესხნენ. ვიღაცამ გაქცევით უშველა თავს, ვიღაცამ გაქცევა ვერ შეძლო და კიდევ ერთი სიცოცხლე შეწყდა ნაადრევად.

საზოგადად, სკოლაში არსებული პრობლემები ისე თვალსაჩინოა, ჩაკირკიტებაც არ უნდა. მხოლოდ ის რად ღირს, განათლების ყველა ახალმა მინისტრმა საგანმანათლებლო სისტემის საკუთარ თარგზე მოჭრა რომ გადაწყვიტა: ზოგმა ამერიკული მოდელის დამკვიდრება სცადა, ზოგმა — ფრანგულის. არადა, **გვქონდა სწავლების მოდელი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში მუშაობდა. იმ მოდელით სკოლადამთავრებულები განათლებასაც იღებდნენ და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტის მაგივრად მეგობრობას, თანადგომას, ურთიერთგატანას, სუსტის მფარველობას, სულგრძელობასა და კეთილშობილებას სწავლობდნენ და ისისხლხორცებდნენ. იმ განათლების სისტემით ადამიანი ადამიანისთვის ამხანაგად, მეგობრად და ძმად ყალიბდებოდა. ის განათლების სისტემა მოვშალეთ თუ მოგვაშლევინეს, დაგვინერგეს „პროგრესული“ — ხან ამერიკული, ხან ევროპული და ხან კიდევ, ვინ იცის, სადაური განათლება და შედეგსაც ვიმკით: ახალგაზრდები, ფაქტიურად, ჯერ კიდევ ბავშვები მცირე საბაბის გაჩენისთანავე სასიკვდილოდ იმეტებენ ერთმანეთს.**

თუმცა, ის, რაც ხდება, მხოლოდ სკოლის პრობლემა არ არის. ტელევიზიები ავიღოთ. საკმარისია, ტელეკომპანიებმა რომელიმე ფილმს მიაწერონ +18 და ყველანაირ ვალდებულებას იხსნიან. მერე აღარ აქვს მნიშვნელობა, ფილმი სასტიკ მკვლელობაზეა, არასრულწლოვნის გაუპატიურებაზე თუ ძარცვა-ყაჩაღობაზე. ტელევიზია პასუხისმგებლობას იხსნის და მშობელს აკისრებს. ჰო, მშობელს, რომელმაც უნდა შეხედოს ეკრანს, დაინახოს, რომ აწერია +18 და არასრულწლოვან შვილს აუკრძალოს ფილმის ყურება. ეს რომც გააკეთოს ნებისმიერმა ჩვენგანმა, გამოსავალი მაინც არ არის. ბავშვი იმავე ფილმს ზუსტად ორ წუთში იპოვის ინტერნეტში, ტელეფონში, პლანშეტში... ფაქტია, „ცივილიზებულ“ სამყაროში ყველა და ყველაფერი ცუდი იოლი ხელმისაწვდომია. ათ წლამდე ბავშვი კომპიუტერში მულტფილმების ყურებისას მოულოდნელად შეიძლება პორნოსაიტზე აღმოჩნდეს, იმიტომ, რომ ე.წ. მეკობრული ვებგვერდები თავიანთ რეკლამას ტენიან ყველგან და ყველაფერში. იმავე ბავშვს უსასტიკესი მკვლელობების ნახვაც შეუძლია, რადგან ვიღაცამ სადღაც რაღაც გადაიღო, ატვირთა და... ხელები დაიბანა. ეს, შესაძლოა, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ **ამ ყველაფრის ერთ-ერთი მოტივატორი ლიბერალიზმია. თავს მოხვეული ლიბერალიზმი, რომელმაც უკვე არეულობისა და ქაოსის ჭაობში ჩაითრია ამერიკის შეერთებული შტატები — ზესახელმწიფო და ხომ წარმოგიდგენიათ, ჩვენ რა დაგვემართება?!**

ორი წლის წინათ მეგობარმა თავისი 6 წლის შვილი სუპერმარკეტში შეიყვანა, იქიდან გამოსულმა კი მამობრივად, ძმაკაცურად, რაც გნებავთ, ის დაარქვით, მსუბუქი ჭიტლაყი უთავაზა. პირადად ვნახე ეს ვიდეო სათვალთვალო კამერებიდან ამოღებული, ბავშვიც ხალისობს, მამა ფეხს კი არ ურტყამს, უბრალოდ, ახლოს მიაქვს, მაგრამ... მანქანა გაჩერდა, იქიდან ვიღაც გოგო გადმოხტა, არასამთავრობო ვარო, პატრული გამოიძახა, ბავშვის უფლებები დაირღვაო და სასამართლოში იჩივლა. მოკლედ, ამ ჩემს მეგობარს 2-წლიანი პირობითი სასჯელი მისცეს იმისთვის, რომ თურმე ამ ქმედებით ბავშვის თავმოყვარეობა შეურაცხყო. და ახლა რა ხდება? შესაძლოა ხუმრობით, შესაძლოა ქვეცნობიერის ზეგავლენით, მაგრამ ბავშვი კვირაში ერთხელ მაინც უმეორებს მამამისს: ამას თუ არ მიყიდი, პატრულში დავრეკავ და ვიტყვი, რომ მჩაგრავო. ანუ, ჭირვეული გახდა, მიხვდა 8 წლის მოზარდი, რომ შეიძლება მშობელს არ დაემორჩილოს და, მამა თუ გაჯიუტდა და წესიერებისკენ მაინც მოუწოდა, პატრულში დარეკოს და მშობელს პრობლემები შეუქმნას. მივა ის ბავშვი 14-15 წლამდე, როცა სამყარო შენი წინააღმდეგი გგონია, და არავინ იცის, როგორ მოიქცევა იგი. ასეთი შემთხვევა ათასობითაა და არა მხოლოდ შინ და ქუჩაში, არამედ სკოლაში, თანაც ყველაზე მძაფრად. **მასწავლებელს მოსწავლისთვის შენიშვნის მიცემის ეშინია, მანდატური ლამის ჟანდარმის ფუნქციას ასრულებს და მასწავლებლებს სამსახურის დაკარგვის შიშით ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა უწევთ. მათ აღარ აქვთ მეორე მშობლის ფუნქცია — ლიბერალურმა მიდგომამ წაართვა, ჩვენ წავართვით, იმ მშობლებმა წაართვეს, ბავშვის დატუქსვის გამო მასწავლებლის სკოლიდან გაშვება რომ მოითხოვეს და საწადელსაც მიაღწიეს.** სწორედ ამის შემდეგ ირწმუნეს ბავშვებმა თავიანთი უძლეველობა და ამის შემდეგ დაიწყეს ლიბერალიზმით მიღებული ვითომ პრივილეგიების სრულად გამოყენება.

იქამდე მივედით, რომ **დღეს საქართველოში შვილის დატუქსვა „ტეხავს“, იმიტომ, რომ მეზობელმა არ თქვას, — მოძალადე მშობელიაო. სკოლებში სპეციალური პროგრამებით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ტვინს ურეცხავენ მომავალ თაობას, უფროსების პატივისცემას კი არა, დაუმორჩილებლობას ასწავლიან, უპირველესად კი — მშობლის უპატივცემულობას. რეალურად, სწავლება მიდის იქით, რომ ბავშვს ჩააგონონ, მთავარია, შენ იყო კარგად და გარშემო მყოფთ კისერიც უტეხიათ...**

ფილმებით იწამლებიან ბავშვები, უყურებენ, როგორ ხოცავენ პატარები ერთმანეთს, როგორ ძალადობენ, აუპატიურებენ, მერე ციხეში როგორ რომანტიკულ გარემოში ცხოვრობენ, პრაქტიკულად „ექსტრიმია“ ლამაზად გადმოცემული და ამიტომ არ ეშინიათ, არ ფიქრობენ. მაგალითიც ბევრი აქვთ, **აბერ, გირგვლიანის მკვლელებს შერჩათ, ცოტა ხანს ისხდნენ ციხეში, გამოვიდნენ და „გულაობენ“; მანამდე რობაქიძის მკვლელობის დამფარველ-გამპრავებლებიც მარტივად გამოძვრნენ და ასე, გამოძრომის იმედად არიან კვლავაც და იოლად სჩადიან დანაშაულს.** სოციალურ ქსელს თუ გადაავლებთ თვალს, არა ერთ და ორ კომენტარს ნახავთ, რომ 17 დაკავებულიდან დამნაშავე მხოლოდ ერთი ან ორი იქნება, დანარჩენები რა შუაში არიანო და აგორდება ამბავი, იქნება სალაპარაკო და მერე ყველას მიავიწყდება. ზუსტად ისე, როგორც დადუნაშვილი და სარალიძე ახსოვთ მხოლოდ მათ ოჯახებს და რამდენიმე ათეულ კაცს, თორემ საზოგადოებას, კარგა ხანია, არ გახსენებია და არც გაახსენდება.

საინტერესო, იცით, კიდევ რა არის? ღამის 12 საათზე 19-20 წლის ყმაწვილები თბილისიდან მცხეთაში „მერსედესებით“ რომ დაქრიან, მშობლები კი არ კითხულობენ, სად არიან. შვილი ღამის 12 საათზე შინიდან გარეთ რომ გადის, მშობელმა რატომ არ ჰკითხა — სად და რისთვის მიდიხარო? იმიტომ, რომ ლიბერალიზმია, თავისუფლება. მშობლებს კი არაფერი უთხრეს პრობლემის შესახებ იმიტომ, რომ ესეც „ტეხავს“, არ უნდა იცოდნენ მშობლებმა პრობლემა რომ არსებობს, დიდი ბიჭები არიან, თვითონ მოაგვარებენ და აჰა, მოაგვარეს — თანატოლის სიცოცხლე შეიწირეს.

ისევ შტატებს დავუბრუნდეთ. მოსახლეობის დიდი ნაწილი მიხვდა, რომ ლიბერალიზმი იდიოტიზმში გადავიდა და მას ისეთი სახელმწიფოს წაქცევაც კი შეუძლია, როგორიც ამერიკაა. კბილებით იბრძვის ახლა ამერიკელი ხალხი იმისთვის, რომ ცხოვრების ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდეს, მაგრამ არ გამოვა ეს ასე მარტივად (თუ გამოვიდა, საერთოდ). **ლიბერალებმა კარგად იციან, რომ ახლა გადამწყვეტი მომენტია, თუ ამერიკას წააქცევენ, საქართველოსნაირ სახელმწიფოებს ხურდაში ისე მიაყოლებენ, თითის განძრევაც არ დასჭირდებათ. და ახლა, ამ დროს, ასეთ პირობებში ჩვენ კვლავ ლიბერალიზმს ამოფარებულები ვცდილობთ, შვილები არაფერში შევზღუდოთ, არაფერი დავუშალოთ, მეზობელმა რამე რომ არ თქვას, თანამშრომელმა ცუდად რომ არ შემოგვხედოს. ვწირავთ მასწავლებელს და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ერთად მოვითხოვოთ განათლების სისტემის ისე შეცვლა, რომელიც სწორედ ჩვენს შვილებზე იქნება მორგებული და არა რომელიმე მიმდინარეობაზე.**

მანამდე კი წელიწადში ერთხელ, ორჯერ ან სამჯერ მთელი ერი ტირის საჯიშე ბიჭებს, გლოვობს, მარხავს. შემდეგ კი ეს ყველაფერი გვავიწყდება და ასე ვცხოვრობთ ტრაგედიიდან ტრაგედიამდე. გავა რამდენიმე თვე და ეს ანგელოზივით ბიჭიც მხოლოდ მის მშობლებსა და ათამდე ადამიანს ემახსოვრებათ.

**ბესო ბარბაქაძე**

**ლიბერალებმა კარგად იციან, რომ ახლა გადამწყვეტი მომენტია: თუ ამერიკას წააქცევენ, საქართველოსნაირ სახელმწიფოებს ხურდაში ისე მიაყოლებენ, თითის განძრევაც არ დასჭირდებათ. და ახლა, ამ დროს, ასეთ პირობებში, ჩვენ კვლავ ლიბერალიზმს ამოფარებულები ვცდილობთ, შვილები არაფერში შევზღუდოთ, არაფერი დავუშალოთ, მეზობელმა რამე რომ არ თქვას, თანამშრომელმა ცუდად რომ არ შემოგვხედოს. ვწირავთ მასწავლებელს და არ ვფიქრობთ იმაზე, რომ ერთად მოვითხოვოთ განათლების სისტემის ისე შეცვლა, რომელიც სწორედ ჩვენს შვილებზე იქნება მორგებული და არა რომელიმე მიმდინარეობაზე**

**„საატესტატო გამოცდები გააუქმეს და ბავშვებს, რომლებსაც ისედაც არ ჰქონდათ აკადემიური მოსწრების მაღალი დონე, ფაქტობრივად, დაუკარგეს სკოლაში სიარულის ყველანაირი მოტივაცია. მიმაჩნია, რომ ეს არის დანაშაული, რომლის უკანაც დგანან წინა ხელისუფლებისდროინდელი კადრები და, თუ საქართველოს ოდესმე ეყოლება ნორმალური ხელისუფლება, ამ ადამიანებს პასუხი უნდა მოეთხოვოს“.**

განათლების სისტემა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მანანა ნიკოლაიშვილი: ვეკითხები განათლების სამინისტროს — როგორ უნდა ანაზღაურდეს გაცდენილი საათები?

**ამ დღეებში პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის საჭირო ცვლილებებზე ისაუბრა და დასძინა, რომ რეფორმების ძირითადი მიზანი ყოველდღიური ცხოვრების მაქსიმალურად დაახლოება უნდა იყოს ევროპულ სტანდარტებთან. მისი განმარტებით, განსაკუთრებულ მიდგომებსა და ეფექტიან ცვლილებებს დღეს განათლების სისტემა საჭიროებს. ეს ის სეგმენტია, რომელიც ყველაზე მეტადაა დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის ხარისხთან: „განათლების სისტემა პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის ხარისხთან. ადამიანური კაპიტალის ხარისხი პირდაპირაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის როგორც ეკონომიკის შემდგომ განვითარებასთან, ისე ყველა სფეროს განვითარებასთან...“**

პრემიერმა იქვე აღნიშნა, რომ ქვეყანა ასევე მზად უნდა იყოს ხანგრძლივი რეფორმებისთვის, ეს კი რთული და შრომატევადი პროცესია. მეტიც, მისი თქმით, მომდევნო 10-15 წელი, შესაძლოა, ცლილებებისა და გარდაქმნების წელიწადი იყოს, რაც საბოლოოდ მიგვიყვანს იქამდე, რომ კიდევ უფრო მეტად დავუახლოვდებით ევროპულ ოჯახს, ევროპულ ღირებულებებსა და ფასეულობებს.

**ცნობისთვის:** საქართველოში „გასატარებელი რეფორმების“ აუცილებლობაზე (მათ შორის განათლების სფეროშიც) ევროპარლამენტის მიერ ამას წინათ მიღებულ რეზოლუციაშიც ვრცლად იყო საუბარი. კერძოდ, დოკუმენტში, რომელიც რეკომენდაციებთან ერთად ბევრ დირექტივასაც შეიცავდა, ხაზგასმით ეწერა, რომ ქვეყანაში მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას, სხვადასხვა პოლიტიკური ფონდის კიდევ უფრო გააქტიურებასა და „ეფექტიანი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას...“

თუმცა რეზოლუციაში არ იყო დაკონკრეტებული, რა ცვლილებები სჭირდება დღეს ამ სისტემას, რაზე უნდა იყოს ეს პროცესი საბოლოოდ გათვლილი და კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მათ განსახორციელებლად.

რა მოუტანა საქართველოს განათლების სისტემას მოქმედი თუ წინა ხელისუფლებების მიერ დღემდე განხორციელებულმა ე.წ. რეფორმების ტალღებმა და რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ მომავალში პრემიერის განცხადების კვალდაკვალ, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ექსპერტი განათლების საკითხებში, „საქართველოს განათლების ლიგის“ თავმჯდომარე **მანანა ნიკოლაიშვილი.**

**— ქალბატონო მანანა, რამდენიმე დღის წინათ პრემიერმა გიორგი გახარიამ პარლამენტში განაცხადა, რომ განათლების სისტემა ერთ-ერთი ის სფეროა, რომელშიც რეფორმები აუცილებელია. მისი თქმით, სწორი და ეფექტიანი ცვლილებები კიდევ უფრო დაგვაახლოებს ევროპულ ფასეულობებთან, რომელიც თურმე ჩვენი არჩევანია. რა ცვლილებებზე საუბრობდა პრემიერი და რა შედეგები მოიტანა, როგორც წინა, ისე მოქმედი ხელისუფლების მიერ დღემდე ჩატარებულმა რეფორმებმა?**

— რეფორმები, რა თქმა უნდა, აუცილებელია და ამაზე, ალბათ, ყველა ვთანხმდებით, მაგრამ, როცა ცვლილებებზე ვსაუბრობთ, ესა თუ ის ცვლილება საფუძველშივე უნდა იყოს გათვლილი კონკრეტულ საჭიროებებსა და საგანმანათლებლო სისტემის დახვეწაზე, და უნდა გულისხმობდეს, როგორც ხარვეზების აღმოფხვრას, ისე სტუქტურულ რეორგანიზაციას განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება პრემიერის გამოსვლასა და განცხადებას, რომ რეფორმები კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გაგრძელდება, რომლებიც, თურმე, მოგვიტანს სერიოზულ წინსვლასა და წარმატებებს, დავიწყოთ იმით, რომ რეფორმა ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს გარდაქმნას, მაგრამ საკითხავია: ესენი რას გულისხმობენ გარდაქმნაში? იმას ხომ არა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გატარებული რეფორმების შედეგად საშუალო განათლების სისტემაში უამრავი შეუსაბამობაა, მათ შორის პროგრამულ დონეზე, ან იმას ხომ არა, რომ სკოლებში მთელ რიგ საგნებზე, პრაქტიკულად, განახევრდა სასწავლო საათები, ზოგი საგანი თითქმის აღარ ისწავლება...

**— რა ცვლილებებს გულისხმობთ?**

— პირველი და მთავარი: როცა საგამოცდო სისტემაში ცვლილებები განხორციელდა, საშუალო განათლების სისტემა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, თავდაყირა დადგა. გაუქმდა საატესტატო გამოცდები და შემოვიდა ახალი მოდელი, რომელიც ატესტატების გაცემას მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონის მიხედვით გულისხმობდა...

რაც შეეხება დანარჩენ ცვლილებებს, **სააკაშვილის** პერიოდში გაცდენების ზღვარი 25% იყო. ეს ნიშნავდა, რომ ნებისმიერ მოსწავლეს, ასეთ შემთხვევაში, კლასიდან კლასში გადასასვლელად ექსტერნი გამოცდები უნდა ჩაებარებინა. ეს ზღვარი 30-მდე ასწიეს და ბავშვს, ასე ვთქვათ, მეტი „ფუფუნება“ მისცეს. იცით, ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ, როდესაც ბავშვს 30%-იანი გაცდენა აქვს, სასწავლო პროცესის მესამედს არ არის დასწრებული და არათუ განათლებას ვერ იღებს, საერთოდ მოწყვეტილია პროგრამას. აი, ეს ცვლილებები გატარდა თავის დროზე ხელის ერთი მოსმით და არა მხოლოდ ეს. ასევე ძალიან დიდი შეცდომა იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა, რომელმაც პედაგოგები, უბრალოდ, გააგიჟა.

**— ეს ყველაფერი განათლების ხარისხზე როგორ აისახა? თუ არსებობს რამე სტატისტიკა, რომელიც ამ სურათს ციფრებში აჩვენებს?**

**— ნებისმიერი პედაგოგი, რომელსაც მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და იცის, რა დონე გვქონდა წლების წინათ, როცა ბავშვები 9 და 12 გამოცდას აბარებდნენ ატესტატის მისაღებად, გეტყვით, რომ განათლების ამჟამინდელი დონე კრიტიკას ვერ უძლებს. ან რა განათლებაზეა საუბარი, როცა წლების წინათ, ვთქვათ, მათემატიკას 12 საათი ეთმობოდა კვირაში, ქართულ ენასა და ლიტერატურას — 12-14 და ახლა ეს ყველაფერი სასაცილო მინიმუმამდეა დაყვანილი. საუბარია 4-5 საათზე.**

რაც შეეხება კონკრეტულად **საშუალო განათლების სისტემას, აქ პრაქტიკულად სასიკვდილო დარტყმა იყო ის, რომ საატესტატო გამოცდები გააუქმეს და ბავშვებს, რომლებსაც ისედაც არ ჰქონდათ აკადემიური მოსწრების მაღალი დონე, ფაქტობრივად, დაუკარგეს სკოლაში სიარულის ყველანაირი მოტივაცია. მიმაჩნია, რომ ეს არის დანაშაული, რომლის უკანაც დგანან წინა ხელისუფლებისდროინდელი კადრები და, თუ საქართველოს ოდესმე ეყოლება ნორმალური ხელისუფლება, ამ ადამიანებს პასუხი უნდა მოეთხოვოს...**

**— გიორგი გახარიამ სიტყვით გამოსვლისას ასევე აღნიშნა, რომ რეფორმების ძირითადი მიზანი ქვეყნის დაახლოება უნდა იყოს ევროპულ ფასეულობებთანო. განათლების სისტემაში მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი რეფორმები ხომ არ არის გარედან ნაკარნახევი იმ ცვლილებების ნაწილი, რომლებიც ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების კვალდაკვალ სხვადასხვა „ლიბერალურ“ გარდაქმნას გულისხმობს?**

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში პრემიერს მხედველობაში არ ჰქონდა ის უარყოფითი მხარეები, რომლებიც თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციას და, შესაძლოა, განათლების სისტემასაც ნეოლიბერალური იდეოლოგიის სახით აქვს. მაგრამ ის, რომ წლების წინათ სააკაშვილის გუნდს ე.წ. საგანმანათლებლო რეფორმებს გარკვეული გარე ძალები კარნახობდნენ და მხარს უჭერდნენ, ცხადზე ცხადია. ეს იყო მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, სოროსის ფონდი, რომელიც ერთ-ერთი დიდი ფინანსური კონტრიბუტორი იყო ამ პროცესის და ა.შ. რაც შეეხება განათლების ხარისხსა და შედეგებს, **როდესაც სკოლებში საატესტატო გამოცდები გაუქმდა, სკოლა, როგორც საშუალო განათლების საფუძველი, პრაქტიკულად, სტრუქტურულად მოიშალა. გარდა ამისა, მთელი რიგი საგნებისა ამოიღეს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებიდან და დატოვეს მხოლოდ ოთხი — ქართული, ისტორია, მათემატიკა და უცხო ენა...** ამ საგნების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ რატომ უნდა აბარებდეს ბავშვი მხოლოდ მათემატიკას, როცა ქიმიის განხრით მიდის და რატომ არ უნდა აბარებდეს ქიმიას — უშუალოდ სპეციალობას?! ან რატომ უნდა აბარებდეს ინგლისურს, როცა გეოგრაფიულზე ირიცხება და არა გეოგრაფიას... ეს ყველაფერი არის მავნებლობა, რომელიც ანგრევს განათლების სისტემას და, როგორც გითხარით, ამაზე ადრე თუ გვიან აუცილებლად პასუხი უნდა მოეთხოვოთ კონკრეტულ პირებს, რომლებიც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდნენ ამ ყველაფერს...

**«ნებისმიერი პედაგოგი, რომელსაც მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და იცის, რა დონე გვქონდა წლების წინათ, როცა ბავშვები 9 და 12 გამოცდას აბარებდნენ ატესტატის მისაღებად, გეტყვით, რომ განათლების ამჟამინდელი დონე კრიტიკას ვერ უძლებს. ან რა განათლებაზეა საუბარი, როცა წლების წინათ, ვთქვათ, მათემატიკას 12 საათი ეთმობოდა კვირაში, ქართულ ენასა და ლიტერატურას — 12-14 და ახლა ეს ყველაფერი სასაცილო მინიმუმამდეა დაყვანილი. საუბარია 4-5 საათზე»**

**«როდესაც სკოლებში საატესტატო გამოცდები გაუქმდა, სკოლა, როგორც საშუალო განათლების საფუძველი, პრაქტიკულად, სტრუქტურულად მოიშალა»**

**— როგორ უნდა აღმოიფხვრას განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები?**

— უწინარესად, საჭიროა განათლების ეროვნული დოქტრინა, რომელიც კანონის დონეზე იქნება დამტკიცებული და რომელიც საფუძვლად დაედება ყველა პროცესს, ყველა ცვლილებასა და რეფორმას ამ სფეროში. დღეს ჩვენ ეს არ გვაქვს და, შესაბამისად, ყველაფერი, რაც კეთდება, კანონგარეშეა. მეორე — ნორმატიული აქტის სახით უნდა არსებობდეს დოკუმენტი, რა კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტული თანამდებობის პირი, მაგალითად, მინისტრი, მინიტრის მოადგილე, დეპარტამენტის თავმჯდომარე ან თუნდაც სკოლის დირექტორი და ა.შ. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ **არ შეიძლება, უწყების ხელმძღვანელად ინიშნებოდეს ადამიანი, რომელმაც არ იცის არც განათლება, არც კულტურა და წარმოდგენა არ აქვს ამ სფეროზე.** სხვათა შორის, აქვე მინდა გამოვეხმაურო იმ საკითხს, რომ პანდემიის ფონზე განათლების სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობს, ბავშვები შინ დარჩნენ და სწავლება გაგრძელდეს დისტანციურად, რომლითაც ამაყობენ კიდეც, რომ თურმე ამ პრაქტიკამ გაამართლა. მინდა, გითხრათ, რომ სწავლების ეს ფორმა აბსოლუტურად უვარგისია, სკოლების შემთხვევაში მაინც. და მოგახსენებთ, რატომ: ჩემს თანამოაზრეებთან ერთად გამოვიანგარიშე, გაკვეთილების რამდენი საათი ჩატარდა დისტანციურად მას შემდეგ, რაც სასწავლო პროცესი შეწყდა და რამდენი დარჩა ჩაუტარებელი. მოკლედ გეტყვით (შემდეგ ამაზე უფრო ვრცლადაც შეიძლება საუბარი): იმიტომ, რომ ძალიან დიდი თემაა. ერთი სიტყვით, რამდენიმე ციფრს მოვიყვან კლასების მიხედვით. მაგალითად, **პირველ კლასში ქართულში ჩასატარებელი იყო 70 საათი, ჩატარდა 16, დარჩა 54 საათი ჩაუტარებელი. მათემატიკაში ჩასატარებელი იყო 40 საათი, ჩატარდა 16; სახვითი ხელოვნებაში ჩასატარებელი იყო 20 საათი, ჩატარდა 8, ბუნებისმეტყველებაში ჩასატარებელი იყო 20 საათი, ჩატარდა მხოლოდ 8. წლიურად სულ იყო 704 საათი ჩასატარებელი, ჩატარდა 220.** კარანტინის შემდეგ ჩატარდა 80 და გაცდა 140 საათი. კიდევ ვიმეორებ, აქ საუბარია პირველ კლასზე და, ციფრებში რომ ავიღოთ ეს ყველაფერი, რეალობა ასეთია: ჩატარდა გაკვეთილების მხოლოდ 36%, არ ჩატარდა 64... ახლა ვეკითხები განათლების სამინისტროს: გამობრძანდით და გვიპასუხეთ, როგორ უნდა შეივსოს ეს გაცდენილი საათები?! სხვა კლასებზე არაფერს ვამბობ, მაგალითად, მეორე კლასში, სადაც ქართულში 90 საათი უნდა ჩატარებულიყო და ჩატარდა მხოლოდ 20 საათი? **პრაქტიკულად ხომ ჩავარდა სასწავლო წელი?! აი, ეს არის „წარმატებული რეფორმები“ და დისტანციური სწავლება, რომლითაც ასე ამაყობს დღევანდელი ხელისუფლება.**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკაში ელიტები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ლიბერალები, როტშილდები და ა.შ. პრეზიდენტს ერჩიან. მსოფლიო ელიტების დაპირისპირების მსხვერპლია. ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები დიდწილად განსაზღვრავს მსოფლიო პოლიტიკას. დონალდ ტრამპი მოიგებს ამ არჩევნებს და დაასრულებს ლიბერალების თარეშს. მსოფლიო ძალიან არეულ-დარეულია, ამიტომ ჩვენი პატარა ქვეყანა ფრთხილად უნდა იყოს“.**



# თამარ კიკნაძე: საქართველოს ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ რუსეთის გარეშე აფხაზებსა და ოსებთან არანაირი ურთიერთობა არ გამოვა

**მალე ოცდაათი წელი შესრულდება, რაც აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს იურისდიქციაში აღარ არის, თუმცა მხოლოდ ექვსი თვეა, რაც ამ რეგიონებში მცხოვრები ქართველებისთვის ჩაიკეტა საქართველოს ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გადმოსასვლელი გზები და დედასამშობლოს მოწყვეტილ მიწაზე მცხოვრებ ქართველებთან ოფიციალურ თბილისს მიმოსვლაც აღარ აქვს...**

## «ჩვენი ქვეყანა დასავლეთზეა მიჯაჭვული, საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც ნიშნავს იმას, რომ თავისუფალი არჩევანის საშუალება არ გვაქვს»

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „საქართველო უმიზეზოდ აფართოებს ანტირუსულ, ანტიაფხაზურ და ანტიოსურ რიტორიკას, მათ შორის ბორდერიზაციაზე. რუსეთის მხრიდან გამოითქვა შეშფოთება ოფიციალური თბილისის დესტრუქციული ხაზის გამო. გრძელდება კოვიდ-19-ის გავრცელების საწინააღმდეგო მოქმედების თემით პოლიტიკური სპეკულაცია და ამ ფონზე არ შეიძლება, წუხილს არ იწვევდეს საქართველოს ხელისუფლების უარი სოხუმსა და ცხინვალთან არსებული პრობლემების გადასაჭრელად კონსტრუქციული დიალოგის წარმოებაზე, პირველ რიგში, სასაზღვრო დოსიეზე. რუსეთისა და ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარეების პოზიციები ემთხვევა, რაც მაქსიმალურად ქმედითი დიალოგის არხების მხარდაჭერას ნიშნავს. მნიშვნელოვანია ჟენევის დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების ფორმატის რთული სამუშოს გაგრძელება მხარეების სტიმულირების მიზნით, რათა გამოავლინონ თავშეკავება და ეძებონ პოზიციების კომპრომისული ურთიერთგაცვლა ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებებისთვის“.

**აფხაზეთსა და ოსეთთან „გაყინულ“ ერთიერთობებზე, რუსეთის მიმართ დესტრუქციულ ქმედებებსა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე გვესაუბრება:**

— „ქართული ოცნება“ წინა ხელისუფლებისგან იმით გამოირჩევა, რომ რუსეთის მიმართ აგრესიული რიტორიკა არ აქვს. სააკაშვილი რუსეთის ხელისუფლებას მიზანმიმართულად ლანძღავდა, რაც დასავლეთის წისქვილზე ასხამდა წყალს, რადგან ქართული სახელმწიფოს ინტერესებში ეს არ შედიოდა.

სააკაშვილის მიერ დატოვებული კუდები **გვარამია-გაბუნიას** სახით იმ საქმეს განაგრძობენ, რომელსაც მათი ლიდერი აკეთებდა. გვარამია-გაბუნიას ტანდემს დავალებული აქვს დესტრუქციული ქმედებები. მათ სურთ, რუსეთის პროვოცირება, რათა მეზობელმა ქვეყანამ აგრესია გამოიჩინოს, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, რუსეთის ხელმძღვანელობა ამ ორ ფიგურას სერიოზულად არ აღიქვამს და მათ საქციელზე მკაცრი რეაქცია არ აქვს. ვისურვებ, საქართველოს ხელისუფლება უფრო მკაცრი იყოს გვარამია-გაბუნიების მიმართ, რადგან მათი დესტრუქციული ქმედება საფრთხეს უქმნის ჩვენს ქვეყანას. რაც შეეხება აფხაზეთსა და ოსეთთან გაყინულ ურთიერთობებს, ძალიან მინდა, რომ შიდა დინებები მიმდინარეობდეს, რომელიც გარეშე თვალისთვის შეუმჩნეველი იქნება, მაგრამ საქმისთვის სასიკეთო. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს და მინდა, მჯეროდეს, იცის კიდეც, რომ **რუსეთის გარეშე აფხაზებსა და ოსებთან არანაირი ურთიერთობა არ გამოვა.**

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანებით, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დსთ-ის ქვეყნების, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული საქმეების ფედერალური სააგენტოს თავმჯდომარედ **ევგენი პრიმაკოვის** შვილიშვილი, უმცროსი **ევგენი პრიმაკოვი** დაინიშნა. ჩვენთვის, საქართველოსთვის, ეს იმედისმომცემი ფაქტია. ის თავისი საქმის პროფესიონალი და ქართველების პატივისმცემელია. შესაძლოა, არსებული სურათი დიდად ვერ შეცვალოს, მაგრამ ქართულ მხარეს მასთან ლაპარაკის საშუალება ექნება.

**— ეს ძალიან კარგი ამბავია, მაგრამ საქართველოს თუ ექნება ევგენი პრომაკოვთან ლაპარაკის სურვილი? მოგვცემენ ამის საშუალებას?**

— საქართველოს ძალიან გაუჭირდება დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა. ჩვენი ქვეყანა დასავლეთზეა მიჯაჭვული. საქართველომ ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თავისუფალი არჩევანის საშუალება არ გვაქვს. ევროპა და ამერიკა მილიარდობით დოლარით გვეხმარება და ჩვენ უფრო და უფრო ვხდებით მათზე დამოკიდებულნი.

მხოლოდ ერთი რამის იმედის მაქვს — მსოფლიო წესრიგის ცვლილების.

**დონალდ ტრამპმა** განაცხადა, რომ აშშ აღარ იქნება მსოფლიო პოლიციელი, გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელის** თქმით კი, აშშ-ს აღარ აქვს სურვილი, იყოს ჰეგემონი სახელმწიფო. ეს ყველაფერი იძლევა იმედს, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი ჩვენს სასარგებლოდ შეიცვლება. ამერიკის პრეზიდენტს არაერთხელ უთქვამს, რომ სურს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებას დასავლეთიც შეეცდება, რადგან ამ უზარმაზარი სახელმწიფოს ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. სწორედ ამ კონტექსტში მაქვს იმედი, რომ საქართველოც შეეცდება, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებით ისარგებლოს. მესმის ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების, რომ მათ ახლა არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. მოვლენების დაჩქარება, შესაძლოა, საქართველოსთვის სასარგებლო არ აღმოჩნდეს, რადგან ცვლილებები, რომლებიც მალე დაიწყება მსოფლიოში, ნამდვილად წაგვადგება და კარგ პოზიციაზე ვიქნებით.

**— თქვენი ოპტიმიზმი გასაგებია, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ჩვენს ხელისუფლებას მხოლოდ დასავლეთის ვასალის როლში ხედავს, რადგან რიგითი კონგრესმენების ბრძანებებსაც კი უსიტყვოდ ასრულებს...**

— საქართველო თავის ქმედებებში არ არის დამოუკიდებელი, ეს ვიცით და ამაზე აღარ ვდაობთ, მაგრამ მალე ჩამოყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, რომლის მიხედვით ყველაფერი ახლებურად გადანაწილდება. ეს პროცესი საქართველოსთვის საიმედოა. კიდევ ვიმეორებ: საქართველოს ამ ეტაპზე მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა არ გამოადგება (შეიძლება დაგვღუპოს კიდეც), ჩვენი ხელისუფლება უნდა დააკვირდეს, როგორი იქნება ახალი მსოფლიო წესრიგი და მერე მოქმედების უფრო დიდი საშუალება მიეცემა.

**— ბევრს საუბრობენ, რომ პანდემიის გამო ახლა დასავლეთს ჩვენთვის არ სცალია. ამ, ასე ვთქვათ, მოუცლელობის ჟამს, არ შეიძლებოდა, საქართველოს შექმნილი ვითარებით ესარგებლა და კულუარული ურთიერთობები მაინც დაემყარებინა ჩრდილოელ მეზობელთან?**

— კულუარული ურთიერთობები აუცილებელია პოლიტიკაში და ამაზე გამუდმებით ვსაუბრობ. ამის გაკეთება პანდემიის გარეშეც შეიძლებოდა.

პანდემიამ მართლაც დიდი გავლენა იქონია მსოფლიო პოლიტიკაზე და ე.წ. ახალი გადანაწილების პროცესიც დააჩქარა. **ამერიკაში ელიტები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ლიბერალები, ფინანსისტები და ა.შ. პრეზიდენტს ერჩიან, მსოფლიო ელიტების დაპირისპირების მსხვერპლია. ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები დიდწილად განსაზღვრავს შემდგომ მსოფლიო პოლიტიკას. დონალდ ტრამპი მოიგებს ამ არჩევნებს და დაასრულებს ლიბერალების თარეშს. მსოფლიო ძალიან არეულ-დარეულია და ჩვენი პატარა ქვეყანა ფრთხილად უნდა იყოს.** იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი მთავრობის მეთაური პროფესიონალია, მისნაირი კიდევ რამდენიმე რომ გვყავდეს, თავისუფლად შეიძლება არსებული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანა და გადარჩენა.

**— რატომ თქვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ, რომ საქართველო უმიზეზოდ აფართოებს ანტირუსულ, ანტიაფხაზურ და ანტიოსურ რიტორიკას?**

— **მარია ზახაროვა** საუბრობს ჟენევაში შეწყვეტილ ურთიერთობებზე, თუმცა ვფიქრობ, რომ არც ჟენევის ფორმატი და არც **კარასინისა** და **აბაშიძის** შეხვედრები არ არის საკმარისი აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემების მოსაგვარებლად. ყველანაირი შეხვედრა შეჩერებულია, თუმცა შესაძლებელი იყო ვიდეოჩართვები და ტელეხიდების მოწყობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდება. **საქართველოს ამ წუთში საშინაო პრობლემებიც აქვს, ხელისუფლებას დაძაბული ურთიერთობა აქვს ე.წ. ოპოზიციასთან, რომელიც გლობალიზაციის სულისჩამდგმელების მოკავშირეა და ჩვენი ქვეყნის საზიანოდ მოქმედებს.**

**— დღეს სოციალურ ქსელში ვრცელდება მოსაზრება, რომ რუსეთთან აუცილებლად უნდა გვყავდეს ლობი...**

— დიახ, **აუცილებელი იყო, რუსეთში გვყოლოდა ლობი.** წინა ხელისუფლებამ ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა — საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდა. **რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთ გადაცემაში ვთქვი, რომ საჭიროა რუსეთთან საერთო ენის გამოძებნა-მეთქი და ნაციონალებმა მიპასუხეს: უნდა ჩათვალოთ, რომ რუსეთი არ არსებობს; უნდა იფიქროთ, რომ იქ არის ოკეანეო. ვუპასუხე, რომ ასე თუ მოვიქცეოდით, ის ოკეანე წაგვლეკავდა.**

ჩემისთანა ადამიანებზე, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად რუსეთთან ლაპარაკი აუცილებელია, ისინი ამბობენ, რუსეთუმეები არიან და ჩუმად იყვნენო. არადა, პირიქითაა — თავიანთი დესტრუქციული ქმედებებით აიძულებენ რუსეთის ფედერაციას, საქართველოს მიმართ აგრესია გამოიჩინოს. სააკაშვილი იყო ქვეყნის მტერი და მის დაწყებულ საქმეს გვარამია-გაბუნიები განაგრძობენ. არ შეიძლება ბირთვული იარაღის მქონე ქვეყანა და მისი პრეზიდენტი ასე შეურაცხყო. **საერთაშორისო სამართალში არსებობს ასეთი ცნება — ვიქტიმიზაცია, რომელიც ნიშნავს მსხვერპლად ყოფნას და ჩვენ მიზანმიმართულად ვცდილობთ, გავაღიზიანოთ რუსეთი და ვიყოთ მსხვერპლის პოზიციაში, რომ დასავლეთს, ლიბერალებს რუსეთის საწინააღმდეგო კოზირი მივცეთ. ასე მოხდა 2008 წელსაც, როდესაც რუსეთთან ომი დაიწყო. მახსოვს, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარე შოთა მალაშხია ამბობდა, — რუსეთთან ომს დავიწყებთო. მაშინ მეგონა, ხუმრობდნენ ან ვერ იყვნენ კარგად, მაგრამ ფაქტია — ყველაფერი შეასრულეს, რასაც ამბობდნენ.**

ნაციონალებმა საქართველო ათეული და, შესაძლოა, ასეული წლით უკან დახიეს ტერიტორიული პრობლემების თვალსაზრისით, ქართველებს, ფაქტობრივად, მინუსებიდან აქვთ სამშობლოსთვის ბრძოლა დასაწყები ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. სააკაშვილის მმართველობა სათანადოდ უნდა შეფასებულიყო, მისთვის კრიმინალის სტატუსი კი არ უნდა მიეცათ, არამედ სამშობლოს მოღალატის.

**— ექვსი წელიწადი გავიდა ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან, ამ ღონისძიებიდან მხოლოდ შალახოს ჰანგები მახსოვს... რა მივიღეთ ასოცირების ხელშეკრულების შემდგომ?**

— ქვეყანას ოფიციალურად აქვს გაცხადებული დასავლური კურსი, შესაბამისად, **ასოცირების ხელშეკრულებით მივიღეთ უვიზო მიმოსვლა, რომელიც, სადავოა, კარგი იყო თუ ცუდი.**

ცოტა ხანში, შესაძლოა, ასოცირების ხელშეკრულებამაც დაკარგოს აზრი და ბევრმა სხვა რამემაც. კიდევ ვიმეორებ: მიდის მსოფლიოს ახალი გადანაწილება და ჯერ არავინ იცის, ვინ რომელ ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ზოლში მოხვდება. საქართველო დიდი გამოწვევის წინაშე დგას და ფრთხილად უნდა იყოს, უნდა ვეცადოთ, პოლიტიკურ ლაბირინთებში არ დავიკარგოთ. არ დავიკარგოთ კი არა, რამდენიმე გასასვლელიდან ჩვენთვის ყველაზე უკეთესი უნდა გამოვარჩიოთ და ამ გზით ვიაროთ. უმოქმედობა დამღუპველია, თუ არ გავინძრევით, ჩვენს ბედს სხვები გადაწყვეტენ ჩვენს უკითხავად და სადმე პერიფერიაზე უუფლებოდ და უყველაფროდ მიგვაგდებენ და როცა გადანაწილების პროცესი დასრულდება, — და ეს მალე მოხდება, — მერე უკვე ვერაფერს ველარ შევცვლით, ყველა ადგილი დაკავებული იქნება.

**«მალე ჩამოყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი, რომლის მიხედვით ყველაფერი ახლებურად გადანაწილდება. ეს პროცესი საქართველოსთვის საიმედოა. კიდევ ვიმეორებ: საქართველოს ამ ეტაპზე მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა არ გამოადგება (შეიძლება დაგვღუპოს კიდეც). ჩვენი ხელისუფლება უნდა დააკვირდეს, როგორი იქნება ახალი მსოფლიო წესრიგი და შემდეგ ჩვენს ქვეყანას მოქმედების უფრო დიდი საშუალება მიეცემა»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„რამდენიც უნდა ილაპარაკონ სენატორებმა, საქართველოს ნატოში აუცილებლად მიიღებენო, ყველას გვახსოვს წლების წინათ ანგელა მერკელის პირით გახმოვანებული ნატოს პოზიცია, რომ კონფლიქტის მქონე ქვეყნები ალიანსის წევრები ვერ გახდებიან. მორჩა! ეს არის რეალობა. დანარჩენი კი პოლიტიკური რომანტიზმია, რომელიც ვიღაცას სჭირდება“.

თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გივი იუკურიძე:

# საქართველოს პორტებში აშშ-ის გემების ხშირად გამოჩენას კრემლი რეაგირების გარეშე არ დატოვებს

## «როცა მსოფლიო, პრაქტიკულად, კატასტროფის ზღვარზეა, რაღაც გაუგებარ წვრთნებში მილიონებს არ უნდა ხარჯავდნენ»

**საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ 26 ივნისს პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას ყურადღება გაამახვილა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ქვეყნის ინტეგრაციაზე და აღნიშნა, რომ, მიუხედავად მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევებისა, რომლებიც პოლიტიკურ დღის წესრიგში ცვლილებებს გულისხმობს, ქვეყნის უმთავრესი მიზანი კვლავ ნატოსკენ სწრაფვა და ალიანსის სრულფასოვანი წევრობაა. მისი თქმით, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა მომავალში კიდევ უფრო გაღრმავდეს ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ბლოკთან თანამშრომლობა, გაძლიერდეს ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან შავი ზღვის აკვატორიაში მეტი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად: „ჩვენ უნდა გავაძლიეროთ კონცენტრირებული მუშაობა ყველა იმ ფორმატში, რომლებიც დღეს ჩვენ გაგვაჩნია. ეს გახლავთ ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა, ნატო-საქართველოს ურთიერთობის არსებითი პაკეტი, რომელიც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ნატოში საქართველოს ინტეგრაციისთვის;**
**ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ შავი ზღვის ქართულ პორტებში ნატოსა და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების წარმომადგენლობით გამოჩენა იყოს უფრო და უფრო ხშირი, სტაბილური...“**

პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს მხრიდან ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის გაღრმავება ქვეყნის სუვერენული არჩევანია და იგი რომელიმე პოლიტიკური ცენტრის წინააღმდეგ მიმართული არ არის.

შეგახსენებთ, რომ შავ ზღვაში ნატოსა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წარმომადგენლობის გაზრდის ყველა მცდელობას ოფიციალური მოსკოვის მხრიდან უმწვავესი რეაქცია ჰქონდა ხოლმე. კერძოდ, საპასუხოდ კრემლმა, რომელიც პოტენციურ მოწინააღმდეგედ სწორედ ნატოს ისახავდა, გააძლიერა სამხედრო კონტინგენტი კავკასიაში (მათ შორის სომხეთში განლაგებულ გიუმრის 102-ე სამხედრო ბაზაში) და დაიწყო წვრთნები. პარალელურად **სერგეი ლავროვმა** მედიასთან განაცხადა, რომ რუსეთი არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს ნატოს პოციზიების გაძლიერებას შავ ზღვაში... თუმცა, მიუხედავად ამ გზავნილებისა, რომლებიც, უწინარესად, საქართველოს ხელისუფლებისთვის უნდა ყოფილიყო საყურადღებო, „ქართული ოცნების“ პოზიცია უცვლელი დარჩა — ხელისუფლება კვლავ იმეორებს, რომ ნატოსკენ საქართველოს სწრაფვას ალტერნატივა არ გააჩნია, ხოლო ნატოს შემოსვლა შავ ზღვაში ქვეყნის უსაფრთხოების ერთადერთი გარანტიაა...

**არის თუ არა დღეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და, საერთოდ, დასავლეთი მზად, უზრუნველყოს საქართველოს უსაფრთხოება და რა შედეგების მომტანია რიტორიკა, რომ საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა უფრო ხშირად მიიღოს პორტებში ამერიკის სამხედრო გემები — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება საქართველოს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალ-მაიორი გივი იუკურიძე.**

**— ბატონო გივი, პრემიერმინისტრ გიორგი გახარიას თქმით, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ჩვენს პორტებში ხშირად ვიხილოთ ნატოს სამხედრო გემები. რა მიზანს ემსახურება პრემიერმინისტრის ეს განცხადება იმ პირობებში, როცა ალიანსის გაფართოება, ყოველ შემთხვევაში ამჟამად, დღის წესრიგში არ დგას?**

— ამ საკითხზე იმ აუცილებლობიდან გამომდინარე საუბრობენ, რომელსაც დასავლეთის წინაშე გარკვეული ვალდებულებები გულისხმობს. მხედველობაში, უწინარესად, მაქვს ის ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც პანდემიის ფონზე მივიღეთ და ეს, ალბათ, გასაკვირი არც არის, იმიტომ, რომ ამ მხარდაჭერისა თუ დახმარების ერთ-ერთი პირობა ერთგვარი პოლიტიკური მადლიერების გამოხატვაა. სხვა გათვლა და ამოცანა ამის უკან არ არის. როგორც შეკითხვაში აღნიშნეთ, ნატოს გაფართოების საკითხი დღის წესრიგში ამჟამად არ დგას და კარგა ხანს არ დადგება. არ დადგება თუნდაც იმიტომ, რომ ალიანსის წამყვანი ქვეყნები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელის** განცხადება. მან ჯერ კიდევ 2008 თუ 2009 წელს განაცხადა, რომ ქვეყნები, რომლებსაც შიდა კონფლიქტები აქვთ, ვერ მოიპოვებენ ალიანსის წევრობას. აი, ეს არის რეალობა და ამ რეალობას მაღალი ტრიბუნიდან გაკეთებული ოპტიმისტური განცხადებებით ვერავინ შეცვლის. რაც შეეხება შავ ზღვაში ნატოს გემების ხშირად გამოჩენას, ჯერ ერთი, სამ-ოთხ თვეში ერთხელ რამდენიმე გემის გამოჩენა აქ უსაფრთხოების თვალსაზრისით ვითარებას არსებითად ვერ შეცვლის და მეორე — **არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ შავი ზღვის ქართულ პორტებში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემოსვლა ალიანსში გაწევრების პერსპექტივასთან მიგვაახლოებს. ნატო არის კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია, რომლის ინტერესიც, ოფიციალურად გაცხადებული პოლიტიკით, პირველ რიგში, არის საკუთარი საზღვრების უსაფრთხოება და მის ამ ინტერესს ჯერჯერობით არ ემთხვევა საქართველოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა.** იმიტომ, რომ ნატოს მიერ საქართველოს გარშემო უსაფრთხოების რკალის შექმნა ნიშნავს რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებთან შეჯახებას. ეს კი თვით ნატოს წევრ სახელმწიფოებს დააყენებს სერიოზული გამოწვევების წინაშე... ისე, ფაქტია, რომ ამ გლობალური პანდემიისა და პანიკის ფონზე, რომელიც მსოფლიოში მძვინვარებს, ნატოს ხელმძღვანელობა, ცოტა არ იყოს, უცნაურად იქცევა და რაღაც სწავლებებს ატარებს, მათ შორის, შავ ზღვაშიც.

**— რას გულისხმობთ?**

— რას და იმ დროს, როცა დედამიწაზე ჯოჯოხეთი ტრიალებს და მსოფლიო კატასტროფის ზღვარზეა, რაღაც გაუგებარ წვრთნებში მილიონებს არ უნდა ხარჯავდნენ. რეალურად ეს არის ძალის დემონსტრაცია და სხვა არაფერი.

**— დასაწყისში პოლიტიკური მადლიერების გამოხატვა ახსენეთ და თქვით, რომ ნატოსკენ სწრაფვაზე გამუდმებით საუბარი, მათ შორის მთავრობის მეთაურის, ამ მადლიერების გამოვლენაა. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს დასავლეთი საქართველოს საშინაო საქმეებშიც უხეშად ერევა, მაგალითად, მართლმსაჯულების პროცესში, რომლის მაგალითიც უგულავასა და ოქრუაშვილის გათავისუფლების კატეგორიული მოთხოვნა იყო, ხომ არ ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნების“ მხრიდან პოლიტიკური მადლიერება ხშირად პოლიტიკური მაამებლობის ხასიათს იძენს?**

— არ მინდა, ვინმე შეურაცხვყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ის, რაც თქვენ ახსენეთ, ნამდვილად არის რაღაც არასრულფასოვნების გამოვლენა, რომელიც, უკვე წლებია, ერთგვარ პოლიტიკურ პრაქტიკად იქცა. რომელიღაც პოლიტიკურ ვექტორს ექსკლუზიური უფლება აქვს, რომ საქართველოში უგულებელყოს ყველაფერი, რაზეც დგას დასავლური დემოკრატია. წარმოიდგინეთ, უგულავასა და ოქრუაშვილის გათავისუფლებაზე როცა იყო საუბარი, ლამის თითის ქნევით მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას და მერე აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ კონგრესმენს, რომლებიც ხელს აწერდნენ წერილს, ბოლომდე არც ჰქონდათ ის წაკითხული... რა ჰქვია ამას, თუ არა, სახელმწიფო ინსტიტუტების ფეხქვეშ გათელვა. ახლა წარმოიდგინეთ, ამერიკის შეერთებულ შტატებში რომ სცადოს ვინმემ მართლმსაჯულებაზე ზეგავლენის მოპოვება, რა მოხდება. სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მის წინააღმდეგ...

**— აქ კიდევ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი — როდესაც ნატოში ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, დასავლეთის პირველი პირები (მაგალითად, ტრამპი, მაკრონი, მერკელი და სხვები) აცხადებენ, რომ შიდა ან რეგიონული კონფლიქტების მქონე სახელმწიფოები ალიანსის წევრები ვერ გახდებიან. საპირისპირო რიტორიკა გვესმის შედარებით დაბალი პოლიტიკური რგოლებიდან. რით არის ეს ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები განპირობებული?**

— ვფიქრობ, ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს, მაგრამ ერთ-ერთი არის ის, რომ პირველი პირების განცხადებებს უფრო დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს. ანუ, შეუძლებელია, მაგალითად, **ტრამპმა** ან **მაკრონმა** — დიდი სახელმწიფოების პირველმა პირებმა — გააკეთონ რაღაც განცხადება და ის არ მიესადაგებოდეს რეალურ პოლიტიკურ ამოცანებს. ახლა რატომ არის ხშირად საპირისპირო, ვთქვათ, რომელიმე კონგრესმენისა და ევროპარლამენტარის განცხადება. პირველი და მთავარი: ეს ადამიანები გაცილებით თავისუფალი არიან თავიანთ განცხადებებში, იმიტომ, რომ მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობა შედარებით დაბალია; და მეორე — ისინი ხშირად წარმოადგენენ ანტისახელისუფლო ძალებს, რომლებსაც დისონანსი შეაქვთ თავიანთი ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების იმ კონგრესმენებისა და სენატორების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ყველაზე მეტ ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებს საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივაზე, დაპირისპირებულია ტრამპის ადმინისტრაციასთან. სანდოობას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, პირველი პირების განცხადებები რეალური პოლიტიკის გამომხატველია. გამომდინარე აქედან, **რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ სენატორებმა, რომ საქართველოს ნატოში აუცილებლად მიიღებენ, ყველას გვახსოვს წლების წინათ ანგელა მერკელის პირით გახმოვანებული ნატოს პოზიცია, რომ კონფლიქტის მქონე ქვეყნები ალიანსის წევრები ვერ გახდებიან. მორჩა! ეს არის რეალობა. დანარჩენი კი პოლიტიკური რომანტიზმია, რომელიც ვიღაცას სჭირდება...**

**— ისევ პრემიერის გამოსვლაზე შეგეკითხებით: ნატოში ინტეგრაციაზე საუბრისას მან განაცხადა, რომ საქართველოს მხრიდან ეს ნაბიჯი არავის საწინააღმდეგოდ მიმართული არ არის. გასაგებია, ვისზეც მიანიშნა. როგორ ფიქრობთ, იმ შემთხვევაში, თუ ნატოს გემები ხშირად გამოჩნდებიან საქართველოს პორტებში, რა ნაბიჯებს გადადგამს რუსეთი?**

— რუსეთის პოზიცია ნატოს გაფართოებაზე ცნობილია, ამიტომ ვფიქრობ, რომ ნატო აღმოსავლეთის მიმართულებით არასდროს არ გადადგამს იმ ნაბიჯს, რომელიც, ფაქტობრივად, წითელი ხაზის გადაკვეთა იქნება. საერთოდ, ნატოს არსებობა, როგორც ორგანიზაციისა, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და მას, დიდი ალბათობით, ახლო მომავალში რეორგანიზაცია დასჭირდება. რაც შეეხება რუსეთის შესაძლო გაღიზიანებას, ცხადია, **საქართველოს პორტებში ამერიკის შეერთებული შტატების გემების ხშირად გამოჩენას კრემლი რეაგირების გარეშე არ დატოვებს.** როგორ და რა ფორმით, ძნელი მისახვედრი, ალბათ, არ არის. ყოველ შემთხვევაში სტრატეგიული მიზნების განხორციელება ამ რეგიონში არ გაუჭირდება. აი, ეს არის რეალობა და ვფიქრობ, ამ ვითარებაში ნებისმიერი ნორმალური ხელისუფლებისთვის ერთადერთი მიდგომა ასეთი უნდა იყოს — ეს ჩვენ რას მოგვიტანს. ანუ, **როდესაც** რაღაც პოლიტიკურ რისკზე მივდივართ და ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ, მთავარი საზომი უნდა იყოს ის, თუ სანაცვლოდ რას მივიღებთ. ამის გარეშე ნებისმიერი კურსი, უბრალოდ, არის ბრმა ნაბიჯი, რომელიც ქვეყნის ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე ვიღაცის ინტერესებს ემსახურება; ან მეორე — უბრალოდ, არის პოლიტიკური თვითმიზანი. ერთიცა და მეორეც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით წამგებიანია.

«როდესაც რაღაც პოლიტიკურ რისკზე მივდივართ და ქვეყნის უსაფრთხოებას კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ, მთავარი საზომი უნდა იყოს, სანაცვლოდ რას ვიღებთ. ამის გარეშე ნებისმიერი კურსი, უბრალოდ, არის ბრმა ნაბიჯი, რომელიც ქვეყნის ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე ვიღაცის ინტერესებს ემსახურება»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროცესების ანალიზი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარი პარტია სცენაზე არ ჩანს. იგი კულისებშია და იქიდან მართავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს. მისი უმთავრესი საზრუნავი კაპიტალისტური შინაარსისა (ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის) და დემოკრატიული ფასადის (მრავალპარტიულობა, არჩევნები, სიტყვის თავისუფლება) ერთმანეთთან შეთავსება-შენარჩუნებაა. ამერიკელი ხალხი ამგვარად ჩატარებული არჩევნების გზით საბოლოოდ იღებს მონათმფლობელურ შინაარსს დემოკრატიის ფორმით.**

# «ოქროს კვეთა»



**ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია**

**მეთერთმეტე გადაცემა**

# არჩევნები ამოყირავებულ დედამიწაზე



**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო, ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

არსებობს ერთი ჯადოსნური სიტყვა — არჩევნები, რომელიც გაისმის მთელ ცისქვეშეთში და კაცობრიობას მოსვენებას უკარგავს. მრავალი სწორედ ამ სიტყვასთან აკავშირებს გამარჯვებას, რწმენას, იმედს, მომავალს, კეთილდღეობას, სამართლიანობას...

ბოლოს და ბოლოს, რა არის ეს არჩევნები?

რასა და რას შორის კეთდება არჩევანი?

ვინ აკეთებს არჩევანს?

ერთი შეხედვით, დასმული შეკითხვებიც ბანალურია და პასუხებიც, რომლებიც მათ უნდა მოჰყვეს:

* არჩევნები არის ხალხის მიერ პოლიტიკური ნების გამოხატვა ქვეყნის საზოგადოებრივ მოწყობაზე;

* არჩევანი კეთდება პოლიტიკურ მიმართულებებსა და ეკონომიკურ სისტემებს შორის;

* არჩევანს აკეთებს ხალხი.

თითქოს მარტივია ყველაფერი, მოვა ხალხი და, რომელ პროგრამასაც უმრავლესობა მიიჩნევს უკეთესად, იმას მისცემს ხმას. ამის შემდეგ, მომავალ არჩევნებამდე, უმრავლესობაც და უმცირესობაც იცხოვრებს იმ წესითა და იმ პროგრამით, რომელმაც ხმათა უმრავლესობით გაიმარჯვა. მომავალ არჩევნებში კი კვლავ ხალხი (უმრავლესობით) გადაწყვეტს — რა და როგორ...

კი, მარტივია თითქოს, მაგრამ... ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. არჩევნები რთული მოვლენა რომ არის, ამას ცნობილ მოღვაწეთა შემდეგი ციტატებიც მოწმობს:

**ბერნარდ ბარუხი, ამერიკელი მილიარდერი და სახელმწიფო მოღვაწე:** — ხმა მიეცით მათ, ვინც ნაკლებს გპირდებათ, ნაკლები გულისწყვეტა გექნებათ.

**ჯორჯ ნათანი, ამერიკელი პუბლიცისტი:** — ცუდ სახელმწიფო მოხელეებს ირჩევენ კარგი მოქალაქეები, რომლებიც არჩევნებში არ მონაწილეობენ.

**ედგარ უინსტონ ჰაუ, ამერიკელი მწერალი და პუბლიცისტი:** — არჩევნებში მხოლოდ ამომრჩევლები მარცხდებიან.

**მიხეილ გუსკოვი, მწერალი, პოეტი, ჟურნალისტი:** — პრეზიდენტი რატომ უნდა აირჩიოს უმრავლესობამ, თუკი ცნობილია, რომ ჭკვიანები უმცირესობას წარმოადგენენ.

**აკრამ მურთაზაევი, უზბეკი ჟურნალისტი:** ელექტორატი — ერთჯერადი ხალხი.

**ვიქტორ კორნილოვი, რუსი ექიმი და საზოგადო მოღვაწე:** — არჩევნების შედეგები ყოველთვის გულდასაწყვეტია, მაგრამ ვინ გვიშლის ხელს, რომ დავტკბეთ პროცესით?!

**მორტ სალი, ამერიკელი სატირიკოსი:** — **რონალდ რეიგანმა** გაიმარჯვა იმიტომ, რომ მისი მოწინააღმდეგე **ჯიმი კარტერი** იყო. კონკურენტი საერთოდ რომ არ ჰყოლოდა, იგი აუცილებლად დამარცხდებოდა.

**არკადი დავიდოვიჩი, რუსი მწერალი:** — ხალხი წყევლის ხელისუფლებას, რომელსაც ელექტორატი ირჩევს.

**იუჯინ მაკარტი, ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე:** — წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას მთავარია, ისეთი არაფერი წამოგცდეს, რაც ხალხს დაამახსოვრდება.

**ჯონ კენედი, აშშ პრეზიდენტი:** — პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას როდესაც შევუდექი, გამაოცა იმან, რომ საქმე მართლაც ისე ცუდად აღმოჩნდა, როგორც მას ჩვენ წინასაარჩევნოდ წარმოვაჩენდით.

**ლინდონ ჯონსონი, აშშ პრეზიდენტი:** — მე მჭირდება, რომ ვერც ერთმა ამომრჩეველმა ვერ შეძლოს ტუალეტში ქაღალდის გამოყენება, რომელზეც ჩემი გამოსახულება არ იქნება.

**თომას ჯეფერსონი, აშშ პრეზიდენტი:** — არჩევის უფლება მხოლოდ იმ ხალხს აქვს, რომელიც მუდმივად საქმის კურსშია.

**ჩარლზ კრაუტჰამერი, პოლიტიკური მიმომხილველი, აშშ:** — ხმათა რაც უფრო დიდი რაოდენობითაა არჩეული მმართველი, მით უფრო ტირანია იგი.

**ოტო ფონ ბისმარკი, გერმანიის პირველი რაიხსკანცლერი:** — არასოდეს იმდენს არ ტყუიან, რამდენსაც ნადირობის შემდეგ, ომის დროს და არჩევნების წინ.

**ვალერი კვარაცხელია:** — ბურჟუაზიულ არჩევნებზე, როგორც პოლიტიკურ ფარსზე, ბევრი რამაა ნათქვამი, მაგრამ ეს ამონარიდებიც შესანიშნავად გვიჩვენებს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

რისი შეცვლა შეიძლება ბურჟუაზიული არჩევნებით? ალბათ, ფასადის, მაკიაჟის, იერსახის, მაგრამ შინაარსისა და თვისების — არა!

**სად, როდის, რომელ სახელმწიფოში შეცვლილა პოლიტიკური სისტემა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია არჩევნებით? მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ რატომ ჩაწერეს ასე კატეგორიულად და ერთმნიშვნელოვნად: „კომუნისტებს სამარცხვინოდ მიაჩნიათ, დამალონ თავიანთი შეხედულებანი და განზრახვანი. ისინი ამბობენ, რომ მათი მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ არსებული საზოგადოებრივი წყობილების ძალდატანებითი დამხობის გზით. დაე, გაბატონებული კლასები ძრწოდნენ კომუნისტური რევოლუციის შიშით. მასში პროლეტარები არაფერს დაჰკარგავენ, გარდა საკუთარი ბორკილებისა“.**

ეს სიტყვები იმიტომ დაიწერა, რომ რევოლუცია კლასთა ბრძოლის უმაღლესი ფორმაა. **არც მონათმფლობელობის, არც ფეოდალიზმის, არც კაპიტალიზმის პირობებში, მჩაგვრელი კლასი ჩაგრულ კლასს სხვა გზას არ უტოვებს, თუმცა თავის მტაცებლურ ბუნებას განსხვავებულ დროსა და ეპოქებში განსხვავებულად ნიღბავს. მონათმფლობელობის ეპოქაში მჩაგვრელი კლასი თუ პირდაპირ აცხადებდა, რომ მონა ადამიანი არ არის და, აქედან გამომდინარე, მას უფლებები არ გააჩნია, ახლა პირიქით, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების შესახებ ხმის ჩახლეჩვამდე გაჰყვირის, მაგრამ ამით მონათმფლობელობის მხოლოდ გარეგნულ სახეს, ანუ მის რეკლამას ცვლის, შინაარსს კი ხელუხლებლად ტოვებს.**

ავიღოთ აშშ-ის პოლიტიკური და საარჩევნო სისტემა. ამერიკელი პოლიტიკური ბოსები კი გაიძახიან, რომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი დემოკრატია ავაშენეთ, რომელსაც მრავალპარტიული საარჩევნო სისტემა განაპირობებსო, მაგრამ შექმნეს ორპარტიული სისტემა, რომელიც სინამდვილეში ერთპარტიულია. **დემოკრატები და რესპუბლიკელები, რეალურად, პარტიები კი არა, ერთი დიდი კაპიტალისტური პარტიის ფრაქციები არიან, რომლებიც მორიგეობით კი მოდიან ხელისუფლებაში, მაგრამ მათი მონაცვლეობით მმართველი პარტიის სახელების გარდა არაფერი იცვლება, ვინაიდან მთავარი (კაპიტალისტური) პარტია, მისი ფუნდამენტური ღირებულებებით, რაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების დაშვებასა და, აქედან გამომდინარე, ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ექსპლოატაციის ნებადართულ (კონსტიტუციურ) უფლებამოსილებაში გამოიხატება, ორივე შემთხვევაში ადგილზე რჩება.**

მთავარი პარტია სცენაზე არ ჩანს. იგი კულისებშია და იქიდან მართავს პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს. მისი უმთავრესი საზრუნავი კაპიტალისტური შინაარსისა (ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის) და დემოკრატიული ფასადის (მრავალპარტიულობა, არჩევნები, სიტყვის თავისუფლება) ერთმანეთთან შეთავსება-შენარჩუნებაა. ამერიკელი ხალხი ამგვარად ჩატარებული არჩევნების გზით საბოლოოდ იღებს მონათმფლობელურ შინაარსს დემოკრატიის ფორმით.

**რა შეიძლება ამგვარ ვითარებაში არჩევნებმა შეცვალოს? — არაფერი, აბსოლუტურად არაფერი! კიდევ ათასი წელიწადი რომ ატარონ ეს ბითური ბურჟუაზიული არჩევნები, ვერაფერს შეცვლიან. ბურჟუაზიული არჩევნები ცხოვრების წესის შეცვლის გზა კი არ არის, უსამართლო და უკანონო ცხოვრების წესის გაძლიერებული დაკანონებისა და პერიოდული ლეგიტიმაციის გზაა, სხვა არაფერი.** აქ გამონაკლისი არ არსებობს. ასეა ყველგან, მთელ კაპიტალისტურ სამყაროში. ასეა ევროპაშიც, ასეა ამერიკაშიც, ასეა რუსეთშიც. ამიტომ აფეთქდა ამერიკა და ევროპა ერთდროულად.

**ის, რაც ახლა ევროპასა და ამერიკაში ხდება, არ არის გააზრებული და მეცნიერულად ორგანიზებული სოციალისტური რევოლუცია, მაგრამ ეს მისი წინა პერიოდია — თუნდაც სტიქიური, ქვეცნობიერი და იმპულსური, თუნდაც რასობრივი შეუთავსებლობის ნიად-** ▶

**საქართველოში ტრამპის ერთგვარი კულტი შემოგვეპარა. ტრამპი (რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად) კონსერვატიული ღირებულებების დამცველია, ბაიდენი კი (დემოკრატიულ პარტიასთან ერთად) ლიბერალური ღირებულებების მიმდევარი, რომელიც გარყვნილებისა და უზნეობის მედროშედ მოგვევლინებაო. ეს უაღრესად გულუბრყვილო მსჯელობაა. უსამართლობის, უგუნურებისა და უზნეობის მედროშე დემოკრატიული პარტია და ბაიდენი კი არა, კაპიტალიზმია**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დაკარგული ტერიტორიები, განახევრებული მოსახლეობა, საკუთარ ქვეყანაში დევნილებად ქცეული თითქმის ნახევარი საქართველო, შიმშილს გაქცეული და სამშობლოდან გადახვეწილი არმია ჩვენი თანამემამულეებისა, მასობრივი დეპრესია და სრული უპერსპექტივობა — აი ბურჟუაზიული არჩევნებისა და ბურჟუაზიული რევოლუციების, ანუ სახელმწიფო გადატრიალებების სავალალო შედეგი ყოფილ სოციალისტურ და აყვავებულ საქართველოში.**

# რამდენი არჩევნები და სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი და ეთნოკონფლიქტი გამოვიარეთ — ეროვნული მოძრაობა და თავისუფლებაო, ძირს სოციალიზმი და გაუმარჯოს კაპიტალიზმსო, გამსახურდიაო, შევარდნაძეო, სააკაშვილიო, ივანიშვილიო, დემოკრატიული გადატრიალებაო, «ვარდების რევოლუციაო»... ეშველა საქართველოს? ისე თქვენს მტერს ეშველოს!

**◀აგზე ალმოცენებული, მაგრამ მაინც წინა პერიოდი გარდაუვალი სოციალური და სოციალისტური აფეთქებისა, რომელსაც გარკვეული წერტილის მიღწევის შემდეგ ვერანაირი ჯებირი ვეღარ შეაკავებს; იმ აფეთქებისა, როდესაც შავკანიანებიც და თეთრკანიანებიც ერთდროულად აღმოაჩენენ, რომ ერთმანეთის მტრები კი არა, ერთი დიდი უბედურების (კაპიტალისტური სისტემის) მიერ ჩაგრული ძმები არიან.** მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიხვდებიან ისინი, რომ მათი ძალა, ენერგია და, თუ გნებავთ, დასაღვრელი სისხლი არა ერთმანეთის წინააღმდეგ, არამედ მათი საერთო დიდი მტრის — **მჩაგვრელი კლასის** წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ეს ყველგან მოხდება, ვინაიდან კაპიტალიზმის პირობებში, რითაც გინდა შენიღბონ და ვითომ სოციალურად ორიენტირებული გახადონ სისტემა, მთავარ წინააღმდეგობას, რომელსაც ანტაგონისტურ კლასებად დაყოფა ჰქვია, ვერ ასცდებიან. ეს კი ის ნაღმია, რომელიც ბოლოს აუცილებლად ფეთქდება, ვინაიდან ცალკეული ადამიანებიც და ადამიანთა დიდი ჯგუფებიც, მაშინაც, როდესაც შიათ და, მაშინაც, როდესაც არ შიათ, ანუ საარსებო მინიმუმი გააჩნიათ, სამართლიანობას უმაღლეს ღირებულებად სახავენ და მისთვის ისევე აღიძვრიან, როგორც ოჯახში შემოვარდნილი მკვლელი მანიაკის ან სამშობლოზე იერიშის მიმტანი მტრის წინააღმდეგ აღიძვრიან მთელი გულითა და მთელი არსებით.

ჰო, არჩევნები. **რა შეუძლია არჩევნებს აშშ-ში? არც არაფერი! რაც მთავარია, არჩევნებს არ შეუძლია სისტემის შეცვლა. ამის გარეშე კი პერსონების გარდა არაფერი შეიცვლება. შეიცვლებიან პიროვნებები, მაგრამ უსამართლობა არ შეიცვლება სამართლიანობით, უგუნურება არ შეიცვლება გონიერებით, უზნეობა არ შეიცვლება ზნეობით, ბოროტება არ შეიცვლება სიკეთით.**

მაშ, რისთვის მიმდინარეობს ომი, რისთვისაა ქაოსი, რისთვისაა რასობრივი დაპირისპირება, რისთვისაა ძეგლებთან ბრძოლა? ჩვენ ხომ ვიცით, რომ **ამერიკული ქაოსის უკან ამერიკული პოლიტიკა დგას, ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში დემოკრატები ცდილობენ, რომ ეს ყველაფერი ტრამპის ბაიდენით ჩასანაცვლებლად გამოიყენონ, მაგრამ ამით ამერიკელ ხალხს რა — ყველაფერი იგივე, რაც აქამდე ჰქონდათ, ოღონდ ამჯერად ბაიდენის ხელმძღვანელობით?** ესეც შენი ბურჟუაზიული არჩევნები, როელშიც ხალხის მილიარდები იხარჯება, შედეგად კი ახალი სახელისა და გვარის მეტი არაფერი მოაქვს. **ანუ, კონკრეტული სახელების ნაცვლად, ზოგადი სახელები რომ გამოვიყენოთ, პეტრეს პავლე ჩაანაცვლებს და ამით მორჩება ყველაფერი.**

საქართველოში ტრამპის ერთგვარი კულტი შემოგვეპარა. ტრამპი (რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად) კონსერვატიული ღირებულებების დამცველია, ბაიდენი კი (დემოკრატიულ პარტიასთან ერთად) — ლიბერალური ღირებულებების მიმდევარი, რომელიც გარყვნილებისა და უზნეობის მედროშედ მოგვევლინებაო. ეს უაღრესად გულუბრყვილო მსჯელობაა. უსამართლობის, უგუნურებისა და უზნეობის მედროშე, დემოკრატიული პარტია და ბაიდენი კი არა, კაპიტალიზმია. როგორი სუფთა და უმწიკვლო პიროვნებებიც უნდა იყვნენ ტრამპი ან ბაიდენი, კაპიტალისტური ურჩხული მაინც გარყვნილების, ძალადობის, მოგება-წაგებისა და უსამართლობის გზით განვითარდება, ვინაიდან მას განვითარების სხვა რესურსი არ გააჩნია.

ერთ დეტალს დააკვირდით: **დღევანდელ რუსეთში ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა აკრძალულია. ეს სოციალისტური წარსულის ინერციით განპირობებული საზოგადოებრივი განწყობაა. ისტორიულად ძალიან მოკლე პერიოდში რუსული კაპიტალიზმიც, ალბათ ისევე დალპება, როგორც დასავლური კაპიტალიზმი. მაშინ რუსეთშიც ისევე აფეთქდება და აყვავდება უზნეობა, როგორც ახლა დასავლეთში ყვავის, მაგრამ ახალგაზრდა კაპიტალიზმის პირობებში რუსეთში ჯერ კიდევ ტრადიციული ღირებულებები დომინირებს, რომელთა წყალობითაც საზოგადოებრივ აღვირახსნილობას ჯერ არ მიუღწევია დასავლური მასშტაბებისთვის.**

მაშ, რა უფლებით გადმოფინეს რუსეთში აშშ-ის საელჩოს შენობაზე ჰომოსექსუალთა დროშა, რომელიც სიდიდით ამერიკის სახელმწიფო დროშას სჭარბობდა? **რუსეთში, სადაც, როგორც ვთქვი, გეიპროპაგანდა აკრძალულია, რა უფლებით უფრიალებენ ჰომოსექსუალთა დროშას ცხვირწინ რუსულ საზოგადოებას გარყვნილი იდეოლოგიის მქონე ქვეყნები — დიდი ბრიტანეთი და აშშ, ან სად ხედავთ აქ ტრამპის კონსერვატიულ ვნებებსა და მიდრეკილებებს?! კაპიტალიზმის დეგრადაციას ტრამპის კონსერვატიზმი კი არა, ღვთისმშობლის სისპეტაკეც ვეღარ უშველის.**

ამერიკული პოლიტიკური სისტემა არა მხოლოდ დალპა, არამედ ყველა იმ სახელმწიფოს ალპობს, რომლებშიც ფეხს შედგამს და ცხვირს შეყოფს.

რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილმა სენსაციური განცხადება გააკეთა.

**მიხეილ სააკაშვილი, უკრაინის რეფორმების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:** — უკრაინაში აღარ არსებობს სახელმწიფო, უკრაინაში არსებობენ ჩინოვნიკები, რომლებიც მოქმედებენ არარსებული სახელმწიფოს სახელით.

**ვალერი კვარაცხელია:** — დიდებული ნათქვამია, ერთ წინადადებაში მთელი უკრაინული ტრაგედიაა ჩატეული! **რამდენი არჩევნები ჩატარდა და რამდენი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა უკრაინაში, რომლებსაც რევოლუციებად ნათლავდნენ — კრავჩუკიო, კუჩმაო, იუშჩენკო-ტიმოშენკოო, იანუკოვიჩიო, პოროშენკოო, ზელენსკიო, „ნარინჯისფერი რევოლუციაო“, მაიდანიო და სხვა ათასი უბედურება... ეშველა უკრაინას? ისე თქვენს მტერს ეშველოს! გამოვიდა აგერ კაცი და, სადღაა უკრაინა და უკრაინული სახელმწიფოო. აღარ არის უკრაინა.** ვინც ზემოთ ჩამოვთვალე უკრაინის „მხსნელები“ და „გადამრჩენები“, ყველა მილიონერია, უკრაინა კი აღარ არის. ესაა ბურჟუაზიული არჩევნებისა და ბურჟუაზიული რევოლუციების, ანუ სახელმწიფო გადატრიალებების სავალალო შედეგი ყოფილ სოციალისტურ და აყვავებულ უკრაინაში.



რაღა შორს მივდივართ, საკუთარი მწარე მაგალითი აგერ არ გვაქვს?

**რამდენი არჩევნები და სახელმწიფო გადატრიალება, სამოქალაქო ომი და ეთნოკონფლიქტი გამოვიარეთ — ეროვნული მოძრაობა და თავისუფლებაო, ძირს სოციალიზმი და გაუმარჯოს კაპიტალიზმსო, გამსახურდიაო, შევარდნაძეო, სააკაშვილიო, ივანიშვილიო, დემოკრატიული გადატრიალებაო, „ვარდების რევოლუციაო“... ეშველა საქართველოს? ისე თქვენს მტერს ეშველოს!**

დაკარგული ტერიტორიები, განახევრებული მოსახლეობა, საკუთარ ქვეყანაში დევნილებად ქცეული თითქმის ნახევარი საქართველო, შიმშილს გაქცეული და სამშობლოდან გადახვეწილი არმია ჩვენი თანამემამულეებისა, მასობრივი დეპრესია და სრული უპერსპექტივობა — აი ბურჟუაზიული არჩევნებისა და ბურჟუაზიული რევოლუციების, ანუ სახელმწიფო გადატრიალებების სავალალო შედეგი ყოფილ სოციალისტურ და აყვავებულ საქართველოში.

რატომ ვიხსენებ და ვალაგებ გვერდიგვერდ ყოველივე ამას? იმიტომ, რომ შეკითხვა დავსვა — **რას ელოდებით არჩევნებისგან, იმას, რომ რომელიღაც ახალი სახელი გამოჩნდება — პეტრე ან პავლე, რომელიც ისეთივე წარმატებით გახდება მილიარდერი, როგორც შევარდნაძე გახდა, როგორც სააკაშვილი გახდა?** ივანიშვილი საქართველოში ჩამოსვლამდეც მილიარდერი იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მისი მილიარდები აქაც ხომ გამრავლდა შევარდნაძისა და სააკაშვილის მილიარდებივით? ამას ელოდებით? იქნებ იმას ელოდებით, რომ კვლავ ძველი სახელები და გვარები ჩაანაცვლებენ ერთმანეთს? **სააკაშვილი ან უკრაინაში გახდება პრეზიდენტი, ან საქართველოში, ან ორივეგან — ერთდროულად. რა მნიშვნელობა აქვს მისთვის, რაკი სამშობლო არ გააჩნია, ყველგან მისი სამშობლოა, მაგრამ ამით ან უკრაინას რა და ან საქართველოს რა?** ან ძველებსა და ან ახლებს შორს ვინ გეგულებათ აქ, რომელიც მოვა და თვისებრივ ცვლილებებს განახორციელებს? **რომელ პოლიტიკურ ძალას ხედავთ საქართველოში, რომელიც იტყვის: საქართველოს მძარცველებო, აგერ თქვენთვის „დეკრეტი ნაციონალიზაციის შესახებ“, რომლის ძალითაც ნაძარცვი ქონება საქართველოს მოსახლეობას უნდა დაუბრუნოთ, თქვენ კი სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეთო. ხედავთ ან გეგულებათ ასეთი პოლიტიკური ძალა საქართველოში? არა, ხომ? მაშ, რა იმედითა და სულის კანკალით ელოდებით არჩევნებს? ან ძველი გაუმაძღრები გააგრძელებენ იმ ქონების თქვლეფას, ოდესღაც თქვენ რომ გეკუთვნოდათ, ან — ახლები, სხვა რა უნდა შეცვალოს არჩევნებმა?!**

ასეთი, უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს უდიდეს ნაწილში.

ყოველმხრივ ღრმა კრიზისში შესული დასავლური კაპიტალიზმი, ნაცვლად იმისა, რომ გზას სოციალიზმს უთმობდეს, პირიქით, გააფთრებული ებრძვის მის ყოველ კონკრეტულ გამოვლენას.

**რადიო SPUTNIK:** — აშშ-ის პრეზიდენტის თანაშემწე **რობერტ ო’ბრაიენმა** განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეთაური **სი ძინპინი**, პოლიტიკური აზრით, შეიძლება საბჭოთა კავშირის ლიდერის, **იოსებ სტალინის,** საქმის გამგრძელებლად ჩაითვალოს.

ამერიკელი მაღალჩინოსნის აზრით, სი ძინპინი და ჩინეთის კომუნისტური პარტია მთლიანად მიზნად ისახავენ მსოფლიო საზოგადოების გარდაქმნას, კომუნისტური განვითარების მაგალითებიდან გამომდინარე.

რობერტ ო’ბრაიენის აზრით, ჩინეთის ეკონომიკური განვითარება, ნაცვლად იმისა, რომ ჩინეთის დემოკრატიის რელსებზე გადასვლის წინაპირობა ყოფილიყო, საწინააღმდეგო მოვლენად იქცა და ჩინეთმა კომუნისტური სცენარის მიხედვით ცხოვრება დაიწყო.

ტრამპმა ცოტა ხნით ადრე ხელი მოაწერა კანონს, რომელიც აშშ-ის ადმინისტრაციას უფლებას აძლევს, დააწესოს სანქციები ჩინელი ჩინოვნიკების წინააღმდეგ.

**ვალერი კვარაცხელია:** — ასეთია აბსოლუტური შეუთავსებლობა და დაპირისპირება უკვე საბოლოოდ დამპალ კაპიტალისტურ სისტემასა და სამართლიანობის უდიდესი პერსპექტივის მქონე სოციალისტურ სისტემას შორის. **ეს შეუთავსებლობა და დაპირისპირება კაპიტალიზმის სრული კრახით რომ დამთავრდება, მეცნიერულად დასაბუთებულია, მაგრამ მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის აგონია, მისი საბოლოო აღსასრულის დადგომამდე, ბირთვული იარაღით გატენილ პლანეტაზე რა სახის კატაკლიზმებს გამოიწვევს, ძნელი სათქმელია. ჩვენ კი ვდგავართ და ბურჟუაზიულ არჩევნებს იმედით ველოდებით...**

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

**P.S. „ის, რასაც ახლა განვიცდით, ესაა ნატოს ტვინის სიკვდილი. ახლა ევროპა უფსკრულის პირას დგას და, თუკი თავისი თავის, როგორც დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური ძალის, განხილვას არ დაიწყებს, შესაძლებელია, შეწყვიტოს საკუთარი ბედის კონტროლი!“ — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა.**

**ამერიკულმა მედიამ აღმოაჩინა შოკისმომგვრელი ვითარება. „ბლუმბერგის“ მტკიცებით, გერმანიის მთავრობა ამზადებს დოკუმენტს, რომელშიც გათვალისწინებულია სანქციები აშშ-ის წინააღმდეგ იმ შემთხვევისთვის, თუკი ვაშინგტონში გადაწყვეტენ, დააწესონ „ჯოჯოხეთური სანქციები“ (ტრამპის ტერმინი) „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობის მონაწილეთა წინააღმდეგ.**

**იაპონიამ შეაჩერა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების (Aigis Ashore) განთავსება კურილიის კუნძულებთან. ამის შესახებ შეთანხმება ჯერ კიდევ 2017 წელს შედგა და განცხადება იაპონიის თავდაცვის მინისტრმა გააკეთა. იაპონიის მთავრობამ, მოსახლეობის მძაფრი პროტესტის შემდეგ, აგრეთვე, უარი თქვა ანალოგიური სისტემის განთავსებაზე ქალაქ აკიტაში.**

**აშშ-ის დროშებს დედამიწის ხუთივე კონტინენტზე რომ წვავდნენ, ეს არავის უკვირდა, მაგრამ ამერიკელთა ამაყი დროშა ახლა თვით აშშ-ში ვნახეთ აბრიალებული, სიმწრის ნაპერწკლებს რომ ყრიდა აქეთ-იქით. ეს აშკარად რაღაც ახლის მომასწავებელია.**

**პოლიტიკური თვალსაზრისით, დედამიწა ამოყირავდა...**

**ვალერი კვარაცხელია**

ფინანსური რევოლუცია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელი კანონმდებლები რუსეთს SWIFT-დან გათიშვით 2014 წლიდან, სანქციების ომის დაწყებიდან, ემუქრებოდნენ. საპასუხოდ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა შეიმუშავა ფინანსური ინფორმაციების გადაცემის საკუთარი სისტემა. 2020 წლის 1 იანვრისთვის ამ სისტემას 391 მომხმარებელი იყენებდა. შარშან სისტემის მონაწილეებმა 12,9 მლნ ანგარიშსწორება განახორციელეს. უფრო ადრე ჩინეთში გაჩნდა CHINA INTERNATIONAL PAYMENTS SISTEM-ი (CIPS). 2019 წელს კი ბრიჩს-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) სამიტზე, რომელიც ნოემბერში გაიმართა, რუსეთმა და ჩინეთმა მოილაპარაკეს საგადასახადო სისტემის გაერთიანებაზე საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის.**

# ჩინეთმა დოლარს ომი გამოუცხადა

**ჩინეთი უნდა მოემზადოს ანგარიშსწორების გლობალურ ქსელ SWIFT-იდან გათიშვისთვის, — განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ფასიან ქაღალდებზე კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ფან სინხაიმ. პეკინის კიდევ ერთი მიზანი არის „იუანის ინტერნაციონალიზაცია“, ანუ საკუთარი ვალუტით დოლარის ჩანაცვლება საერთაშორისო გარიგებებში.**

## სახიფათო სისტემა

SWIFT-ში (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunications-ში) ჩართულია მსოფლიოს 200 ქვეყნის 11 ათასზე მეტი ორგანიზაცია. წლის დასაწყისიდან დღემდე ამ სისტემაში გაიარა 4 მილიარდზე მეტმა.

**SWIFT-ი ფორმალურად კერძო ორგანიზაციაა, მაგრამ, რადგან ანგარიშსწორებები წარმოებს დოლარში, ის სასიცოცხლოდ დამოკიდებულია აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემაზე და, შესაბამისად, ამერიკის ხელისუფლებაზე.**

„ჩვენ წინასწარ უნდა მოვემზადოთ SWIFT-იდან გათიშვისთვის ნამდვილად და არა მხოლოდ ფსიქოლოგიურად“, — თქვა **ფან სინხაიმ** და დასძინა, რომ „დღეს ჩინეთს დააზიანებს აშშ-ის მხრიდან სანქციების დაწესება“.

**ჩინეთის დემარშის საბაბი არის ვაშინგტონის განზრახვა — სანქციები დაუწესოს ჩინელ თანამდებობის პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მუსლიმანების უფლებების დარღვევაში. შესაბამის კანონპროექტს ტრამპმა 17 ივნისს მოაწერა ხელი.**

ერთი კვირით ადრე კი რესპუბლიკელმა კონგრესმენებმა წარმოადგინეს 120-გვერდიანი მოხსენება „ამერიკის გაძლიერება და გლობალურ საფრთხეებთან დაპირისპირება“, რომელშიც შეთავაზებულია 130-მდე შესაძლო ზომა „აშშ-ის რეალური მოწინააღმდეგეების“ — რუსეთის, ჩინეთისა და ირანის — წინააღმდეგ.

ამ ზომებიდან ერთ-ერთია SWIFT-ის მიმართ მოთხოვნა, შეწყვიტოს არამეგობარ ქვეყნებთან თანამშრომლობა. ამ საკითხზე რესპუბლიკელებმა, ჩინეთში მუსლიმების უფლებების დარღვევა გაიხსენეს.

ასე რომ, **პეკინს აქვს საფუძველი, პერსონალური სანქციების შემდეგ ეკონომიკურსაც ელოდოს, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩინელებმა დასწრებაზე ითამაშეს და სერიოზულად ემზადებიან SWIFT-იდან გათიშვისთვის.**

## იუანი დოლარის ნაცვლად

მაგრამ არის მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი — შიში დოლარის პერსპექტივის მიმართ. **როგორც ფან სინხაიმ აღნიშნა, დიდია ამერიკული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების ალბათობა, რაც შეიძლება ძალიან ნეგატიურად აისახოს ჩინეთზე. რამდენიმე დღის წინათ ანალოგიური რამ თქვა ჩინეთის საბანკო და სადაზღვევო საქმიანობის კომისიის თავმჯდომარე გო შუცინმა. მან შანხაიში გამართულ ფორუმზე განაცხადა, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა, რომელიც დე ფაქტო მსოფლიოს ბანკია, ბოლო პერიოდში ძალიან გაერთო ფულის ბეჭდვით.**

„ზოგიერთი ამბობს: შიდა ვალი — ეს არ არის ვალი, რეალური ვალი მხოლოდ საგარეო ვალია, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საგარეო ვალიც კი არ არის ვალი. ეს მუშაობდა ათწლეულების განმავლობაში, მაგრამ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ“, — განაცხადა გომ. მისი აზრით, ამერიკის ეკონომიკაში დოლარების „ჩატუმბვამ“ საფონდო ბირჟების სარეკორდო გააქტიურება გამოიწვია, რომლებმაც დაკარგეს კავშირი რეალობასთან. „დამახინჯების მასშტაბი უპრეცედენტოა, — აღნიშნა გო შუცინმა. — ჩვენ, ყველა, უნდა ვერიდოთ დევალვაციას“.

და ასეთი თვალსაზრისი მხოლოდ ჩინელებს არ აქვთ. **საბეჭდი დაზგის შეუჩერებელი მუშაობის ფონზე აშშ-შიც კი დაიწყეს ლაპარაკი დოლარის, როგორც მსოფლიოს ძირითადი სარეზერვო ვალუტის, ეპოქის დასასრულზე.**

„2021 წელს დოლარი შეიძლება 35%-ით გაუფასურდეს“, — გვაფრთხილებს Morgan Stanley Asia-ს ყოფილი ხელმძღვანელი **სტივენ როუჩი.** ამას გამოიწვევს მოსახლეობის დანაზოგების შემცირება და სახელმწიფო ვალის მატება ეკონომიკაში არაფრით უზრუნველყოფილი ფულის სარეკორდო „ჩატუმბვით“.



**«2021 წელს დოლარი შეიძლება 35%-ით გაუფასურდეს», — გვაფრთხილებს Morgan Stanley Asia-ს ყოფილი ხელმძღვანელი სტივენ როუჩი. ამას გამოიწვევს მოსახლეობის დანაზოგების შემცირება და სახელმწიფო ვალის მატება არაფრით უზრუნველყოფილი ფულის სარეკორდო «ჩატუმბვით» ეკონომიკაში**





მხოლოდ 2008 წელს აშშ-ის ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ დაბეჭდა დაახლოებით 8 ტრილიონი დოლარი და მიმდინარე წელს ამას კიდევ აპირებს.

ჩინეთს, რომელმაც აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებში ტრილიონ დოლარზე მეტი ჩადო, დევალვაცია კოლოსალური დანაკარგებით ემუქრება, ამიტომ სურს პეკინს დოლარის ჩანაცვლება იუანით და ამით რისკის მინიმუმამდე შემცირება.

„ჩვენი უცხოური აქტივები იუანებში რომ იყოს, ასეთი შიში არ იქნებოდა, — განმარტა ფონ სინ ხაიმ, — იუანის ინტერნაციონალიზაცია საგარეო ფინანსური ზემოქმედების კომპენსაციის საშუალებას მოგვცემს“.

## ალტერნატივა

ამერიკელი კანონმდებლები რუსეთს SWIFT-იდან გათიშვით 2014 წლიდან, სანქციების ომის დაწყებიდანვე, ემუქრებოდნენ. საპასუხოდ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა შეიმუშავა ფინანსური ინფორმაციების გადაცემის საკუთარი სისტემა. 2020 წლის 1 იანვრისთვის ამ სისტემას 391 მომხმარებელი იყენებდა. 2019 წელს სისტემის მონაწილეებმა 12,9 მლნ ანგარიშსწორება განახორციელეს. უფრო ადრე ჩინეთში გაჩნდა China International Payments Sistem-ი (CIPS). 2019 წელს კი ბრიჩს-ის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) სამიტზე, რომელიც ნოემბერში გაიმართა, რუსეთმა და ჩინეთმა მოილაპარაკეს საგადასახადო სისტემის გაერთიანებაზე საერთაშორისო ანგარიშსწორებისთვის. რუსეთის ფინანსური ინფორმაციების გაცვლითი სისტემა ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს რუბლში, CIPS-ი — იუანში. ამით რუსეთი და ჩინეთი თავიდან აიცილებენ ანგარისწორებას ამერიკული ვალუტით და დაასუსტებენ დოლარის პოზიციებს.

**finobzor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ერთ დღეში 1,3 ტრილიონი ევრო დაბეჭდა



**ევროპის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე კრისტინ ლაგარდს, როგორც ჩანს, ფულის მოჭრის ჩარხის გათიშვის მექანიზმი გაუფუჭდა და ევროს ზონა ისტორიაში არნახული რაოდენობის უფასო ფულით აავსო.**

რამდენიმე დღის წინათ ევროპის ცენტრალურმა ბანკმა თავისი არსებობის 22 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი რეფინანსირება განახორციელა — 724 ბანკმა რეგულატორისგან 1,308 ტრილიონი ევროს სესხი მიიღო ხანგრძლივი კრედიტების პროგრამის (TLRO) ფარგლებში. საპროცენტო განაკვეთი წელიწადში მინუს 1%-ს შეადგენს.

ექსპერტთა აზრით, ივლის-აგვისტოში ევრო შეიძლება გამყარდეს დოლარის მიმართ 1,15-მდე, მაგრამ კურსის კიდევ აწევა ძალიან გაჭირდება.

**Finanz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებში ბაიდენის ორატორულ ოსტატობას დითირამბებს უმღეროდნენ ჟურნალისტები, თვითონ ბაიდენი თავს დიდ ორატორად არ მიიჩნევს. მან მეტსახელიც კი მოიგონა საკუთარი თავისთვის — „შეცდომების მანქანა“ და ამით მიანიშნა, რომ ბევრ შეცდომას უშვებს საზოგადოების წინაშე გამოსვლისას. მაგრამ ბაიდენი თვითირონიამ ვერ იხსნა ტრამპის დაცინვისგან, რომელმაც „მძინარე ჯო“ შეარქვა და ხშირად შეაქვს ეჭვი მის გონებრივ შესაძლებლობებში (ტრამპის გარემოცვის აზრით, ბაიდენს დემენცია სჭირს).

„მძინარე ჯო“

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპის მთავარი მოწინააღმდეგე ჯო ბაიდენი იქნება, მაგრამ მისი კანდიდატურა ძალიან ბევრ კითხვას აჩენს. პოლიტიკოსი უკვე დაადანაშაულეს ჰარასმენტსა (საქციელი, რომელიც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ან ვნებს სხვა ადამიანს — გ.გ.) და 2016 წელს უკრაინის იმჟამინდელი პრეზიდენტის, პეტრე პოროშენკოს, მოსყიდვაში, ახლა კი ადანაშაულებენ რასიზმში, დასცინიან პირდაპირ ეთერებში უცნაური გამონათქვამების გამო და ეჭვობენ, რომ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან დაავადებულია დემენციით — მოხუცებულობით გამოწვეული ჭკუასუსტობით.

# «შეცდომების მანქანა»

## ჭკუასუსტობა და ჰარასმენტი — რით მიდის არჩევნებზე ტრამპის მთავარი მოწინააღმდეგე?



**მარტში ამომრჩევლების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ყოფილ ვიცეპრეზიდენტს ცოლი და და ერთმანეთში აერია, თებერვალში კი განაცხადა, რომ პრეზიდენტის პოსტისთვის კი არა, სენატორობისთვის იბრძვის. მანამდე კი თქვა, რომ 2007 წლიდან დღემდე 150 მლნ ამერიკელი დაიღუპა ცეცხლსასროლი იარაღით (ამერიკაში სულ 327 მლნ ადამიანი ცხოვრობს)**



ბაიდენი და ტარა რიდი

### ზომიერი ვეტერანი

ბაიდენს თამამად შეიძლება ეწოდოს ამერიკის პოლიტიკის ვეტერანი. ის დელავერის შტატის სენატორად 1972 წელს აირჩიეს და ამ შტატის უცვლელი წარმომადგენელი იყო 36 წლის განმავლობაში. შემდეგ ვიცეპრეზიდენტის პოსტი ეკავა **ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის პერიოდში. ეს საპრეზიდენტო რბოლა მისთვის პირველი არ არის — 1998 და 2008 წლებშიც ცდილობდა პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებას, მაგრამ ამაოდ. ამჯერად კი დემოკრატიული პარტიის ელიტამ ფსონი ბაიდენზე დადო. დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის სტატუსს ბაიდენი განიმტკიცებს დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, რომელიც ივლისში გაიმართება.

პარტიის წევრები ფიქრობენ, რომ ბაიდენმა, გამოცდილმა პოლიტიკოსმა, ოვალური კაბინეტიდან უნდა გააგდოს რესპუბლიკელი პრეზიდენტი და კონგრესში დააბრუნოს დემოკრატიული უმრავლესობა. პარტიის წევრების აზრით, სწორედ ჯო ბაიდენმა უნდა მოიპოვოს შავკანიანი მოსახლეობისა და ქალების მხარდაჭერა.

შავკანიანი მოსახლეობა ყოველთვის მხარს უჭერს დემოკრატიული პარტიის კანდიდატს, ბაიდენს კი პირველ აფროამერიკელ პრეზიდენტთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. რაც შეეხება ქალებს, ბაიდენს დამატებითი ხმები უნდა მოეპოვებინა იმ მხარდაჭერით, რომელიც არაერთხელ გამოხატა მოძრაობა #MeToo-ს მიმართ, მაგრამ ეს ყველაფერი რთული აღმოჩნდა.

### „შენ ჩემთვის არაფერი ხარ“

ამა წლის მარტის ბოლოს ბაიდენის ყოფილმა თანაშემწე **ტარა რიდმა** პოლიტიკოსი სექსუალურ დევნაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ეს მოხდა 1993 წლის გაზაფხულზე, როცა ბაიდენს სენატორის პოსტი ეკავა. იმ დღეს რიდს სთხოვეს, სენატორისთვის გადაეცა ჩანთა, ისინი ერთმანეთს სენატის ერთ-ერთ შენობაში შეხვდნენ. „შეხვედრისას, — იხსენებს ქალი, — სენატორმა კედელთან მიმიმწყვდია, ძალით მაკოცა, ერთი ხელი ბლუზის ქვეშ შემიყო, მეორე — ქვედაკაბის ქვეშ“. ბაიდენს გაუკვირდა, თანაშემწემ ხელი რომ ჰკრა, შემდეგ გაიღიმა და ქალს განუცხადა, მეგონა, მოგწონდიო.

„შემდეგ მან თითი მატაკა და მითხრა: „შენ არაფერი ხარ ჩემთვის, არაფერი“, — განაცხადა ტარა რიდმა. მისი თქმით, ამ ინციდენტამდე უკვე ნათქვამი ჰქონდა უფროსობისთვის ბაიდენის საეჭვო შეხებებსა და გადაკრულ სიტყვებზე, მაგრამ მის ნათქვამს ყურადღება არავინ მიაქცია, პირიქით — რიდს განუცხადეს, დაკისრებულ მოვალეობებს ცუდად ასრულებო და სამსახურიდან დაითხოვეს.

ამ ამბის გახმაურების შემდეგ ბაიდენის მომხრეებმა ქალი სიცრუეში დაადანაშაულეს და ბრალი დასდეს „იდეალური რეპუტაციის მქონე ღირსეული კანდიდატის“ სახელის ლაფში ამოსვრის მცდელობაში. ბაიდენმა კი, რომელიც კარგა ხანს დუმდა, ბოლოს განაცხადა, რომ არ ახსოვს ეს ქალი და ასეთი რამ არ მომხდარა. შემდეგ თანდათან გამომზეურდა საქმის სხვა დეტალები. გაირკვა, რომ ტარა რიდსა და კიდევ 7 ქალს, რომლებიც ადრე ბაიდენთან მუშაობდნენ, საჯაროდ ჰყავდათ დადანაშაულებული პოლიტიკოსი ჰარისმენტში. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი შემთხვევა 2019 წელს მოხდა. ყოფილი თანაშემწის ნათქვამი დაადასტურეს მოწმეებმა, მათ თქვეს, რომ რიდმა მომხდარის შესახებ 1990-იან წლებში განაცხადა. გაირკვა, რომ ბაიდენის სავარაუდო სექსუალური ძალადობის შესახებ იცოდნენ ტარა რიდის მეზობელმა, აგრეთვე, ტარას დაქალმა, ძმამ და დედამ. თანაც რიდის დედამ ყველაფერი, რაც მის ქალიშვილს შეემთხვა, 1993 წელს **ლარი კინგის** შოუში მოყვა, თუმცა სენატორის ვინაობა არ გაუმხელია. მოგვიანებით დადგინდა, რომ ბრალდება წერილობითაც იყო გაფორმებული. დოკუმენტში მითითებულია, რომ რიდზე ჰარასმენტი განხორციელდა ბაიდენის ოფისში, მაგრამ მოძალადე დასახელებული არ ყოფილა. ეს სამხილები საკმარისი აღმოჩნდა ბაიდენის მოწინააღმდეგეებისთვის. განსაკუთრებით აღშფოთდნენ მოძრაობა #MeToo-ს წარმომადგენლები. „შენ არ გაქვს უფლება, მოიქცე ასე, ვინც უნდა იყო — **ტრამპი, ბაიდენი** თუ **ჰარვი**“, — განაცხადა ყოფილმა მსახიობმა და პროდიუსერმა **ლუიზეტ გეისმა**, რომელმაც ჰარისმენტში დაადანაშაულა ჰოლივუდელი პროდიუსერი **ჰარვი ვაინშტეინი.** დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები შიშობდნენ, რომ ბაიდენისთვის წაყენებული ბრალდებები შეარყევდა მის და, საერთოდ, დემოკრატიული პარტიის პოზიციებს. ეს შიში გამართლდა. რესპუბლიკელებმა სწრაფად ისარგებლეს შესაძლებლობით და დემოკრატები ფარისევლობასა და ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში დაადანაშაულეს.

### შავი ხმები

ბაიდენმა თავის რეპუტაციასა და პარტიის პოზიციებს მეორედ თვითონ დაარტყა. მაისის ბოლოს რადიოშოუ The Breakfast Club-ს ესტუმრა. პოლიტიკოსი იმედოვნებდა, რომ მიიპყრობდა გადაცემის აუდიტორიის — ახალგაზრდა აფროამერიკელების — ყურადღებას და პოპულარობას მოიხვეჭდა, მაგრამ მისი მდგომარეობა გაუარესდა.

ინტერვიუს მიმდინარეობისას ბაიდენმა შავკანიან რადიოწამყვან **ლენარდ მაკელვის** განუცხადა, რომ მან თავს არ უნდა უწოდოს შავკანიანი, თუკი მხარს ტრამპს დაუჭერს. რეაქციამ არ დააყოვნა — სოციალურ ქსელებში ბაიდენი მყისვე დაადანაშაულეს, რომ ცდილობს, აფროამერიკელებს ჭკუა ასწავლოს და ეჭვი შეაქვს რასობრივ აუთენტურობაში. ბაიდენის კრიტიკას მხარი აუბეს რესპუბლიკელებმა, ტრამპის შტაბში კი ბაიდენის ნათქვამი რასიზმის გამოხატულებად მიიჩნიეს. სკანდალზე გაუგებარი რეაქციით ვითარება დაამძიმა ბაიდენის საარჩევნო შტაბმა — პოლიტიკოსის პარესმდივანმა **საიმონ სანდერსმა** (სხვათა შორის, აფროამერიკელმა) განაცხადა, რომ ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა, უბრალოდ, იხუმრა.

ცეცხლზე ნავთი დაასხა მასმედიამ. New York Post-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ბაიდენი „პრიმიტიულ რასიზმში“ დაადანაშაულეს. მასალაში აღნიშნულია, რომ ბაიდენის გამონათქვამი წელს ქვემოთ დარტყმა იყო აფროამერიკელებისთვის და ეს მას „შავი ხმების“ დიდ ნაწილს დააკარგვინებს.

მოკლე ხანში ბაიდენს საკუთარი თავის რეაბილიტაციის შესაძლებლობა მიეცა, როცა მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყო მინეაპოლისში შავკანიანი **ჯორჯ ფლოიდის** მკვლელობის გამო. ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა დაგმო სამართალდამცველების მოქმედება და განაცხადა, რომ ასეთი სისასტიკის წინააღმდეგ ხმის ამოღება „მართებული და სამართლიანია“. პოლიტიკოსი ქალაქ უილმინგტონში (დელავერის შტატი) გამართულ დემონსტრაციასაც კი დაესწრო და შეხვდა ადგილობრივი შავკანიანების ლიდერებს, თუმცა, ექსპერტთა აზრით, თავისი შელახული იმიჯის აღსადგენად ბაიდენს ვიცეპრეზიდენტად აფროამერიკელის დასახელება მოუწევს.

### „დიდი ორატორი“

The Breakfast Club-ში გამოსვლამ ნათლად წარმოაჩინა ბაიდენის კიდევ ერთი სუსტი მხარე — მისი უუნარობა, მკაფიოდ უპასუხოს დასმულ შეკითხვებს და ნათლად ჩამოაყალიბოს აზრი. პოლიტიკოსმა ჯერ დელავერის შავკანიანი მოსახლეობის რაოდენობის მონაცემი ზუსტად ვერ დაასახელა, შემდეგ კი განაცხადა, რომ ამ მაჩვენებლით შტატი ქვეყანაში მეშვიდეა, სინამდვილეში კი 33-ე ადგილზეა. კაზუსი ბაიდენს არაერთხელ მოსვლია — მაისში ვირტუალურ მრგვალ მაგიდასთან სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ **აშშ-ში კორონავირუსმა მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა,** არადა, იმ მომენტისთვის დაღუპულთა რაოდენობა 85 ათასი იყო. როგორც გაირკვა ბაიდენმა უმუშევრად დარჩენილთა რაოდენობა დაღუპულთა რაოდენობაში აურია.

მარტში ამომრჩევლების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ყოფილ ვიცეპრეზიდენტს ცოლი და და ერთმანეთში აერია, თებერვალში კი განაცხადა, რომ პრეზიდენტის პოსტისთვის კი არა, სენატორობისთვის იბრძვის. მანამდე კი თქვა, რომ 2007 წლიდან დღემდე 150 მლნ ამერიკელი დაიღუპა ცეცხლსასროლი იარაღით (ამერიკაში სულ 327 მლნ ადამიანი ცხოვრობს).

მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებში ბაიდენის ორატორულ ოსტატობას დითირამბებს უმღეროდნენ ჟურნალისტები, თვითონ ბაიდენი თავს დიდ ორატორად არ მიიჩნევს. მან მეტსახელიც კი მოიგონა საკუთარი თავისთვის — „შეცდომების მანქანა“ და ამით მიანიშნა, რომ ბევრ შეცდომას უშვებს საზოგადოების წინაშე გამოსვლისას. მაგრამა თვითირონიამ ბაიდენი ვერ იხსნა ტრამპის დაცინვისგან, რომელმაც მას „მძინარე ჯო“ შეარქვა და ხშირად შეაქვს ეჭვი მის გონებრივ შესაძლებლობებში (ტრამპის გარმოცვის აზრით, ბაიდენს დემენცია სჭირს).

ცალკე თემაა ბაიდენისა და უკრაინის ექსპრეზიდენტ **პეტრე პოროშენკოს** სკანდალური სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც ბაიდენი პოროშენკოს მილიარდ დოლარს სთავაზობს უკრაინის გენპროკურორ **ვიქტორ შოკინის** პოსტიდან დათხოვნისა და კომპანია „ბურისმას“ უკანონო მოღვაწეობაზე გამოძიების შეჩერებისთვის. ამ კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი ჯო ბაიდენის შვილი **ჰანტერ ბაიდენი** იყო. და, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური კიევი თავს შორს იჭერს ამ საქმისგან, სკანდალი მძლავრად დაარტყამს ბაიდენისა და დემოკრატიული პარტიის რეპუტაციას. ჯერჯერობით კი ბაიდენი ცოტა სხვაობით უსწრებს ტრამპს რეიტინგში, მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, გამოკითხვის შედეგები ყოველთვის არ ასახავს რეალობას. წინა არჩევნებზე ყველა გამოკითხვაში **ჰილარი კლინტონი** ლიდერობდა, მაგრამ გაიმარჯვა დონალდ ტრამპმა.

**Lenta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლენინსა და მის დაჯგუფებას ძალიან კრიტიკული, სიძულვილამდე მისული დამოკიდებულება ჰქონდათ ინტელიგენციის, სამღვდელოებისა და მეფის არმიის მიმართ. დამცირება, შეურაცხყოფა, დაშინება, შევიწროება ნორმად იყო ქცეული ინტელიგენციისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მიმართ. ამ ხაზს არათუ ლენინის სიცოცხლეში, მისი სიკვდილის შემდეგაც მიჰყვებოდნენ „მამალი“ ტროცკისტები, სტალინისა და მისი მომხრეებისთვის კი ეს მიუღებელი იყო.**

**პარტიის ძირითადი ბირთვი, რომელმაც 1917 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო, ხოლო შემდგომ უამრავ ხიფათს გამოატარა ახალშექმნილი ულარიბესი ქვეყანა, თავისი ხარისხითა და ხასიათით ორ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა — ბოლშევიკებად და კომუნისტებად, რომლებმაც თავიანთი ხასიათი და საზოგადოებისადმი დამოკიდებულება დღემდე შეინარჩუნეს.**

# სტალინი განათლებასა და კულტურაზე საბჭოთა კავშირში

ბოლშევიკები ნაციონალურ ფესვებზე აღმოცენებული მებრძოლი ჯგუფია, რომელიც იცავს ტრადიციებს. კომუნისტები უფრო ინტერნაციონალისტები არიან, რომლებიც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტიურ ნაწილს წარმოადგენენ, ნაკლებად ეროვნულს, ნაკლებად ტრადიციულსა და ტოლერანტულს. პარტიაში ბოლშევიკების ხაზის გამტარებელი **სტალინი** და მისი დაჯგუფება იყვნენ, კომუნისტური მიმართულების კი — **ლენინი, ტროცკი** და მათი მიმდევრები. კომუნისტებს არცთუ კარგი დამოკიდებულება ჰქონდათ მეფის რუსეთის ინტელიგენციასა და ცარიზმის დადებით ტრადიციებთან. სტალინის მიერ ლენინის მოწაფედ გამოცხადების თეორია, ყალბია. **ლენინსა და სტალინს ყოველთვის ჰქონდათ განსხვავებული აზრი ყველა სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების მიღებისას და, თუ საბოლოოდ მაინც თანხმდებოდნენ, ეს მხოლოდ რუსული შოვინიზმისა და ლენინის განუსაზღვრელი ავტორიტეტის შედეგი იყო.** აღნიშნული თემა სულ სხვა მსჯელობის საგანია და სხვა დროს განვიხილავთ. ახლა კი ძირითად თემას დავუბრუნდეთ — დამოკიდებულებას განათლებისა და კულტურის მიმართ.

ლენინსა და მის დაჯგუფებას ძალიან კრიტიკული, სიძულვილამდე მისული დამოკიდებულება ჰქონდათ ინტელიგენციის, სამღვდელოებისა და მეფის არმიის მიმართ. დამცირება, შეურაცხყოფა, დაშინება, შევიწროება ნორმად იყო ქცეული ინტელიგენციისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მიმართ. ამ ხაზს არათუ ლენინის სიცოცხლეში, მისი სიკვდილის შემდეგაც მიჰყვებოდნენ „მამალი“ ტროცკისტები, სტალინისა და მისი მომხრეებისთვის კი ეს მიუღებელი იყო.

მეხუთე კოლონისგან ქვეყნის გაწმენდის შემდეგ სტალინმა 1938 წლის 14 ნოემბერს პოლიტბიუროს დადგენილებაში, რომელიც გაეგზავნა ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ჩაწერა: **„გაასამართლეთ ყველა, ვინც მხეცურ, ხულიგნურ და აგდებულ დამოკიდებულებას გამოიჩენს ინტელიგენციის მიმართ“.** სტალინმა მკვეთრად შეცვალა დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ. მან შეუტია ლენინის ბრძანებულებებსა და მათ შემსრულებლებსაც: „დედაბერი, რომელიც მიყრუებულ სოფელში ზის და უჭირს, თავისი დარდის გასაქარვებლად რაიკომში მივა და იქ დაიწყებს პირჯვრის გადაწერას? ჩვენ გვჭირდება მღვდლები, მაგრამ გვჭირდება საბჭოთა მღვდლები“.

სტალინმა ქირურგიაში მიღწეული წარმატებებისთვის სტალინური პრემია მიანიჭა პროფესორ **ვოინო-იასენეცკის,** რომელიც ცნობილი იყო, როგორც სიმფეროპოლელი მიტროპოლიტი **ლუკა.**

**იური ჟდანოვი (ანდრია ჟდანოვის** შვილი) იგონებს: „შემატყობინეს, რომ როსტოვში ჩამოდის ცნობილი **ვოლფ მესინგი.** მთხოვეს, მოვაწყო სასტუმრო „როსტოვის“ ლუქსში საცხოვრებლად. შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და თვითონ დავხვდი სტუმარს დანიშნულ ადგილზე. მინდოდა, ნათელმხილველი და ტელეპათი მესინგი პირადად გამეცნო. საუბრისას ვოლფ მესინგმა მითხრა: „პოლონეთში გერმანელების შემოჭრის გამო ქვეყნიდან გაქცევა მომიწია და თავი მოსკოვს შევაფარე. ჩემდა გასაკვირად, მეორე დღესვე სტალინთან მიმიწვიეს სასაუბროდ, იქ გავიცანი მამათქვენი, ძალზე საინტერესო და სიმპათიური ადამიანი. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე თქვენთან შეხვედრა. სტალინმა კარგად მიმიღო, ეტყობა, იცოდა ჩემი არსებობა. მთხოვა, აზრი გამომეთქვა **რუზველტზე, ნერუსა** და სხვა ლიდერებზე, რაც, რა თქმა უნდა, მონდომებით მოვახსენე და დავძინე, რომ მზად ვარ, ვემსახურო საბჭოთა კავშირს. სტალინმა მადლობა გადამიხადა შეთავაზებისთვის და მითხრა: **„დიდი მადლობა, მაგრამ ბოლშევიკებს ისედაც გვადანაშაულებენ მისტიციზმში“.**

სტალინს არ უყვარდა ზოგადი საუბრები. მაგალითად, თუ ვინმე იტყოდა, „ისინი საუბრობენ“ ან „ისინი მიდიოდნენ“, აუცილებლად მოითხოვდა დაზუსტებას — „ვინ არიან ისინი?“ სტალინი მოითხოვდა თეორიის განახლებას და მისი საფუძვლების განუხრელად შესწავლას. „თეორიის გარეშე სიკვდილი გველის!“ — ეს სიტყვები ცნობილმა მეცნიერმა **რიჩარდ კოსოლაპოვმა,** ცკ-ის პრეზიდიუმის წევრმა, ჩაწერა თავის წიგნში „სიტყვა ეძლევა ამხანაგ სტალინს“.

**დიმიტრი შეპილოვთან** საუბარში სტალინმა განაცხადა: „დღეს მდგომარეობა ასეთია — **ან მოვამზადებთ ჩვენს კადრებს, ხალხს, ხელმძღვანელ კადრებს ეკონომიკაში მეცნიერულ საფუძვლებზე, ან დავიღუპებით.“ პარტიის ხელმძღვანელი კადრების განათლების დაბალი დონე თავიდანვე აღელვებდა სტალინს. მან 1924 წელს პარტიის VIII ყრილობაზე ტრიბუნიდან განაცხადა: „ერთი სახიფათო ნაკლი ჩვენს პარტიაში არის ხელმძღვანელი კადრების განათლების დაბალი დონე“.**

ხელმძღვანელი კადრების განათლების დაბალი დონე კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ. სტალინი ხვდებოდა, რომ ცოდნის გარეშე ადამიანები ვერ დაეუფლებოდნენ ხალხის მართვისა და ქვეყნის ალმშენებლობის რთულ მექანიზმებს. მან მეცნიერებს შესთავაზა, მოენახათ გზა, რომლითაც ადამიანი იქნებოდა კულტურული, განათლებული და ახალი ცხოვრებისთვის მომზადებული. 1947 წელს მან მეცნიერებათა აკადემიას დაავალა, შეექმნათ საზოგადოება „ცოდნა“, რომელსაც სახელგანთქმული მეცნიერი, აკადემიის პრეზიდენტი **ნიკოლოზ ვავილოვი** ჩაუდგებოდა სათავეში, რათა ორგანიზაცია ავტორიტეტული და უფრო შრომისუნარიანი ყოფილიყო. საზოგადოება „ცოდნის“ პრესტიჟის ასამაღლებლად, მას ცკ-ის შენობის გვერდით გამოუთავისუფლეს პოლიტექნიკური მუზეუმის შენობა. მასვე გადაეცა საგამომცემლო საქმიანობისთვის საჭირო ფინანსები და ტექნიკური საშუალებები (სტამბები, საამქროები და სხვ.).

იმავე წელს **სტალინის ინიციატივით დაარსდა კიდევ ერთი უწყება, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საზღვარგარეთული ტექნიკური და მხატვრული ლიტერატურის თარგმნა და გამოცემა. საბჭოთა ახალგაზრდობას უნდა მიეღო უცხოური ლიტერატურა ფიზიკის, ასტრონომიის, ქიმიის, ბიოლოგიის, გენეტიკის დარგებში.**

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო საღამოზე სტალინმა ბრძანა, შემოეღოთ ლომონოსოვის ორდენი მეცნიერ-მოღვაწეთა დასაჯილდოებლად განსაკუთრებული მიღწევებისთვის, მენდელეევის ორდენი — ქიმიის დარგში, პავლოვის ორდენი — ბიოლოგიის დარგში. 1947 წლიდან ქვეყანაში ფართოდ გაიშალა დისკუსიები სხვადასხვა სამეცნიერო სფეროში. მან გარკვეული როლი ითამაშა სამეციერო საქმიანობაში მეცნიერთა ჯგუფების მასობრივად ჩასაბმელად. ამ პროცესში, აგრეთვე, მონაწილეობდა საზოგადოების არამეცნიერ ნაწილი, რომელსაც არანაკლები წვლილი შეჰქონდათ ზოგიერთ საკითხში აზრის განსამტკიცებლად. სტალინს აწუხებდა მეცნიერებაში მონოპოლიების დამკვიდრება, რომლებსაც მეცნიერების ბორკილებად მიიჩნევდა. პირველად სწორედ სტალინმა დაიწყო ბრძოლა სამეცნიერო მონოპოლიების წინააღმდეგ და შენიშვნები გამოთქვა **ნიკო მარის** მიმდევართა მიმართ. მან, აგრეთვე, გააკრიტიკა **იოსებ ორბელი.** სტალინი აქტიურად უჭერდა მხარს **ტროფიმ ლისენკოს,** რომელიც ქვეყნის პურით მომარაგების საკითხით იყო დაინტერესებული, მაგრამ ლისენკოს წარუმატებელი საქმიანობის გამო 1952 წელს გამოსცა მითითება: „ლიკვიდირებული იქნას ლისენკოს მონოპოლია ბიოლოგიურ მეცნიერებაში. შეიქმნას სოფლის მეურნეობის აკადემიაში ერთობლივი ბირთვი კოლექტიური ხელმძღვანელობისთვის, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ლისენკოს მოწინააღმდეგეები — **ნიკოლოზ ციცინი** და **ანტონ ჟებრაკა“.**

სტალინის განკარგულებით, ცენტრალური გაზეთი „პრავდა“ ნომრიდან ნომერში აქვეყნებდა მეცნიერთა მიღწევებს, განსაკუთრებით, პავლოვის აღიარებულ მეცნიერულ გამოკვლევებს. სტალინი ყველგან და ყველაფერში ეძებდა გამომგონებელს, სიახლის მაძიებელს, ეძებდა და პოულობდა კიდეც, მაგრამ ერთეულებს: „მეცნიერებაში ერთეულები გვყავს, ისეთი ნოვატორები, როგორებიც არიან პავლოვი და ტიმირიაზევი, დანარჩენები კი მთელი ზღვაა ისეთი ადამიანებისა, რომლებმაც მცირე შრომით მოიწყვეს თავიანთი ცხოვრება და თავის შეწუხება აღარ უნდათ“.

1942 წლის 24 მარტს სტალინმა დეპეშა გაუგზავნა სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ **ვლადიმერ კომაროვს:** „გამოვთქვამ ღრმა რწმენას, რომ, მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომლებშიც ჩაგვაყენა ომმა, სამეციერო საქმიანობა მეცნიერებათა აკადემიაში უზრუნველყოფს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რომლებიც დგას მეცნიერებათა აკადემიის წინაშე. სტალინი“.

ერთი თვეც არ გასულა და სტალინმა მეორე დეპეშა გაუგზავნა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს: „მთავრობა სიამოვნებით იღ- ▶



**დიმიტრი შეპილოვთან საუბარში სტალინმა განაცხადა: «დღეს მდგომარეობა ასეთია — ან მოვამზადებთ ჩვენს კადრებს, ხალხს, ხელმძღვანელ კადრებს ეკონომიკაში მეცნიერულ საფუძვლებზე, ან დავიღუპებით». პარტიის ხელმძღვანელი კადრების განათლების დაბალი დონე თავიდანვე აღელვებდა სტალინს. მან 1924 წელს პარტიის VIII ყრილობაზე ტრიბუნიდან განაცხადა: «ერთი სახიფათო ნაკლი ჩვენს პარტიაში არის ხელმძღვანელი კადრების განათლების დაბალი დონე»**



მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინი ხვდებოდა, რომ ცოდნის გარეშე ადამიანები ვერ დაეუფლებოდნენ ხალხის მართვისა და ქვეყნის ალმშენებლობის რთულ მექანიზმებს. მან მეცნიერებს შესთავაზა, მოენახათ გზა, რომლითაც ადამიანი იქნებოდა კულტურული, განათლებული და ახალი ცხოვრებისთვის მომზადებული. 1947 წელს მან მეცნიერებათა აკადემიას დაავალა, შეექმნათ საზოგადოება „ცოდნა“, რომელსაც სახელგანთქმული მეცნიერი, აკადემიის პრეზიდენტი ნიკოლოზ ვავილოვი ჩაუდგებოდა სათავეში, რათა ორგანიზაცია ავტორიტეტული და უფრო შრომისუნარიანი ყოფილიყო.**

◀ ებს თქვენს წინადადებას, ყოველმხრივ განავითარონ მოღვაწეობა აკადემიკოსებმა და აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა იმ მიმართულებით, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერება. კმაყოფილი ვიქნებით, თუ სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემია გააჩაღებს ნოვატორულ მოძრაობას მეცნიერების კუთხით. საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ დიდი სამამულო ომის მკაცრ პირობებში საბჭოთა ხალხი და მეცნიერებათა აკადემია, თქვენი ხელმძღვანელობით, პატიოსნად მოიხდის პატრიოტულ ვალს სამშობლოს წინაშე. სტალინი“.

1944 წლის 13 ნოემბერია. ჩვენი ჯარები წარმატებით იბრძვიან ფრონტის ყველა უბანზე. საბჭოთა ქვემეხები გრგვინავენ ევროპის სხვადასხვა ქალაქის გასათავისუფლებლად. მეცნიერების, კონსტრუქტორების, რადიოლოკაციების, საარტილერიო, სატანკო თუ საჰაერო სივრცე დაპყრობილია საბჭოთა მეცნიერების მიღწევებითა და გმირული შემართებით. ბედნიერია საბჭოთა ჯარისკაცი, ბედნიერია საბჭოთა ხალხი, ბედნიერია უმაღლესი მთავარსარდალი და აი, მთავარსარდლის კაბინეტში აუდიენციაზე შედის სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ვლადიმერ კომაროვი. მიღების ჟურნალში ჩაიწერა „18 სთ. 45 წთ“.

საუბარი ზუსტად ერთ საათს გაგრძელდა. აი, მისი ჩანაწერიც:

**„კომაროვი:** — მინდა, ვისარგებლო თქვენთან საუბრით და რჩევა გკითხოთ რამდენიმე საკითხზე. ჩვენმა აკადემიამ ფილიალები გახსნა მოკავშირე რესპუბლიკებში და მათმა თავაუღებელმა შრომამ ეს ფილიალები აკადემიებად გადააქცია. ვფიქრობთ, შევქმნათ ხელმძღვანელობის ერთიანი სისტემა, რათა უფრო ახლოს მივიდეთ მათ საქმიანობასთან და დავეხმაროთ სამეცნიერო საქმიანობაში. შევხვდი და ვესაუბრე მოკავშირე რესპუბლიკების პარტიულ ხელმძღვანელებს. მათ დიდი სურვილი გამოთქვეს აღნიშნულ საკითხზე. ახლა კი თქვენგან მინდა თანხმობა იმისა, რომ შევქმნათ ერთიანი ხელმძღვანელობისთვის აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც იქნებიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტები. ისინი ერთად განიხილავენ და გადაწყვეტენ საბჭოთა სამეცნიერო პოტენციალის ზოგიერთ სერიოზულ საკითხს. რას მირჩევდით?

**სტალინი:** — სრულიად ვეთანხმები თქვენს წინადადებას, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკების აკადემიებს ხელმძღვანელობდეს საკავშირო აკადემია, როგორც ჩვენი საკავშირო პარტიული ნომენკლატურა ხელმძღვანელობს რესპუბლიკურ ორგანიზაციებს. კარგია, რომ ქმნით საბჭოს, მაგარამ ეს საბჭო უნდა იყოს საკავშირო აკადემიის სტრუქტურაში.

**კომაროვი:** — შემდეგი კითხვა ასეთია: 1945 წელს სრულდება მეცნიერებათა აკადემიის 220 წლისთავი. 200 წლის იუბილე 1925 წელს გადავიხადეთ. გვინდა, გაისად აღვნიშნოთ 220 წლისთავი, როგორც დიდი სამეცნიერო დღესასწაული.

**სტალინი:** — რა თქმა უნდა, ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

**კომაროვი:** —შეიძლება თუ არა მეცნიერები მოვიწვიოთ უცხოეთიდან?

**სტალინი:** — შეიძლება.

**კომაროვი:** — მიმაჩნია, რომ ეს არის უზარმაზარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დღესასწაული, რადგან წარუდგენს მსოფლიოს იმ წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია რუსულმა სამეცნიერო სკოლამ. ამასთანავე, ნაჩვენები იქნება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის როლი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში.

**სტალინი:** — სრულიად ვეთანხმები თქვენს წინადადებებს და მხარს ვუჭერ თქვენს წამოწყებებს.

**კომაროვი:** — 1945 წელს უსრულდება 100 წელი გეოგრაფიულ საზოგადოებას, რომელიც საკავშირო აკადემიასთან არსებობს. ვფიქრობ, საჭიროა, აღვნიშნოთ ეს თარიღი.

**სტალინი:** — მართალია. მოითხოვს აღნიშვნას.

**კომაროვი:** — ვფიქრობ, აუცილებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარება. მინდა, გაგაცნოთ უხუცესი მეცნიერების — **ვერნადსკისა** და **ზელინსკის** წერილი, რომლებიც მირჩევენ, რომ შეიქმნას საბუნებისმეტყველო ისტორიის ინსტიტუტი და ასევე მირჩევენ, გამოიცეს კრებული „სამეცნიერო მემკვიდრეობა“.

**სტალინი:** — გაოცებული ვარ, რომ სამეცნიერო აკადემიაში დღემდე არ არსებობდა მსგავსი ინსტიტუტი. ამის შექმნა აუცილებელია, რადგან ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს მეცნიერების ისტორია. სრულიად გიჭერთ მხარს ამ წამოწყებაში.

**კომაროვი:** — ახლა, ნება მიბოძეთ, გადავიდე ნავთობის სამრეწველო სამეცნიერო საკითხზე. ბაქოში, ამხანაგ **ბაგიროვთან** საუბრის შემდეგ, გადავწყვიტე სამეცნიერო აკადემიაში ჩამოვაყალიბო სპეციალური კომისია, რომელიც დახმარებას გაუწევს ნავთობის მრეწველობას ამა თუ იმ საკითხებში. ამ მიზნით აფშერონის ნახევარკუნძულზე უკვე გავგზავნეთ ორი სამეცნიერო ექსპედიცია. რას გვირჩევთ ამ საკითხზე?

**სტალინი:** — ეს აუცილებელია, მაგრამ უმჯობესი იქნება, ნავთობის მოსაპოვებლად ექსპედიციის გაგზავნა დაიწყოთ ნაკლებად ღრმა ადგილებიდან და აქვე მინდა, შემოგთავაზოთ მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნას ბუნებრივი სიმდიდრეების — რკინის, ქვანახშირისა და სხვათა აღმოსაჩენი ბაზა, რაც ხელს შეუწყობს მრეწველობას.

**კომაროვი:** — ომამდე მეცნიერებათა აკადემიას, კერძოდ, აკადემიკოს **ალექსანდრე ფერსმანს** ჰქონდა მსგავსი მიღწევები გეოლოგიაში და ჩვენ კვლავ დავავალებთ მას და სხვა მეცნიერებს, გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით. ვიმედოვნებ, მალე წარმოგიდგენთ სასურველ შედეგებს.

**სტალინი:** — სწორედ ახლაა საჭირო საბჭოთა მეცნიერების უზრუნველყოფა იმ უცხოური ლიტერატურით, რომელიც გამოიცემა საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში, რათა საბჭოთა მეცნიერებს ჰქონდეთ წარმოდგენა ამა თუ იმ მიღწევაზე მეცნიერებაში, როგორც ჩვენს მოკავშირე ქვეყნებში, ასევე მტრულად განწყობილ ქვეყნებშიც. მოიფიქრეთ გზები და საშუალებები, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიეწოდოს საბჭოთა მეცნიერებს საჭირო ლიტერტურა. ამ საკითხშიც მხარში ამოგიდგებით. სიტყვამ მოიტანა და, მაინტერესებს, თქვენი შეფასება, თუ რა დონეზეა მეცნიერება გერმანიაში.

**კომაროვი:** — როგორც ვიცი, გერმანია დაინტერესებულია სამხედრო ტექნიკის განვითარებით და ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ჩვენც გვაინტერესებს. თუმცა, გერმანელებმა ისეთი ადამიანები განდევნეს ქვეყნიდან და ის ნაწილი ამოწყვიტეს, რომლებიც საუკეთესო მეცნიერებად ითვლებოდნენ ქვეყანაში, ამიტომ, მეცნიერების მხრივ, გერმანია თითქოს გაცამტვერდა კიდეც. მაგალითად, გენიალური მეცნიერის დაკარგვით, როგორიც არის **აინშტაინი,** გერმანიამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. თუ შესაძლებელი იქნება, სასურველია, სამეცნიერო ექსპედიციის გაგზავნა სამხრეთის ქვეყნებში, რათა ლენინგრადში არსებული ბოტანიკის ინსტიტუტი განახლდეს, სხვადასხვა ეგზოტიკური მცენარეებით, რადგან ინსტიტუტმა საკმაო ზარალი განიცადა დაბომბვების შედეგად.

**სტალინი:** — მითხარით, ლენინგრადის კლიმატური პირობები იძლევა ბოტანიკური ბაღის განვითარების საშუალებას?

**კომაროვი:** — ლენინგრადის ბოტანიკური ბაღი. უკვე 120 წელია, არსებობს, მაგრამ თქვენს შეკითხვას უფრო ჩავუღრმავდები.

**სტალინი:** — ის, რაზეც დღეს ვიმსჯელეთ, სახელმწიფოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხებია და ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ პირადად მომმართოთ“.

„1947 წლის 18 ოქტომბერს სოჭში ჩვენი ოჯახების ერთად დასვენების პერიოდში სტალინმა სასაუბროდ მიმიწვია, — წერს თავის მოგონებებში **იური ჟდანოვი.** — სტალინმა მითხრა: დადგა დრო, უმაღლეს სასწავლებლებში ავამაღლოთ სწავლის დონე. ჩვეულებრივი პედაგოგი ახალგაზრდა თაობას ისე ვერ შეასწავლის ამა თუ იმ საგანს მაღალ დონეზე, თუ თვითონ არ ექნება განვლილი სამეცნიერო გზა თავის პროფესიაში. **ვფიქრობ, მოსკოვის უნივერსიტეტს სუსტი ხელმძღვანელობა ჰყავს და სასურველია, მისი ორ ნაწილად გაყოფა. ერთში მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტები იქნება თავმოყრილი, ხოლო მეორეში — ისტორიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიისა და იურიდიული ფაკულტეტები. ჰუმანიტარული ფაკულტეტებისთვის აუცილებელია კარგად გარემონტდეს შენობა, ხოლო ტექნიკური ფაკულტეტებისთვის კი უნდა აშენდეს დიდი კორპუსი, რომელიც აღიჭურვება ყველა საჭირო ინვენტარით.** ქვეყანაში მეცნიერების დონემ იკლო. ბოლო პერიოდში არ მომხდარა მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენები. ომამდე ამ მხრივ მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, რადგან ხალხს სტიმული ჰქონდა. ამ საქმეს კი სჭირდება კარგი ორგანიზატორული შესრულება. მაგალითად, ავიღოთ ქიმია. ჩვენს პერიოდში ეს მეცნიერების უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. ხომ არ დავაარსოთ ქიმიის უმაღლესი სასწავლებელი ცალკე? ქვეყანაში რიგ თანამდებობებზე არიან ადამიანები, რომლებიც თავს შესანიშნავად გრძნობენ და ფიქრობენ, რომ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ასევე შესანიშნავად გრძნობს თავს...“

**P.S. მასალას იუმორით დავასრულებ.**

**ერთხელ სტალინმა წერილი მიიღო „რუსეთის მამასახლისად“ წოდებულ მიხეილ კალინინისგან. სტალინმა წერილს ლექსით უპასუხა:**

**Посвящение товарищу Калинину**

**Бокля, Милля, Конта, Канта**
**Сто раз легче прочитать**
**И дойти до их субстанта,**
**Чем Тебя,**
**Мой друг, понять.**
**(И.Ст. 21. 1. 1933)**

**სტალინის განკარგულებით, ცენტრალური გაზეთი «პრავდა» ნომრიდან ნომერში აქვეყნებდა მეცნიერთა მიღწევებს, განსაკუთრებით, პავლოვის აღიარებულ მეცნიერულ გამოკვლევებს. სტალინი ყველგან და ყველაფერში ეძებდა გამომგონებელს, სიახლის მაძიებელს, ეძებდა და პოულობდა კიდეც, მაგრამ ერთეულებს: «მეცნიერებაში ერთეულები გვყავს, ისეთი ნოვატორები, როგორებიც არიან პავლოვი და ტიმირიაზევი, დანარჩენები კი მთელი ზღვაა ისეთი ადამიანებისა, რომლებმაც მცირე შრომით მოიწყვეს თავიანთი ცხოვრება და თავის შეწუხება აღარ უნდათ»**


საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია


აკადემიკოსი ვლადიმერ კომაროვი

**«ვფიქრობ, მოსკოვის უნივერსიტეტს სუსტი ხელმძღვანელობა ჰყავს და სასურველი იქნებოდა, მისი ორ ნაწილად გაყოფა. ერთში მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტები იქნება თავმოყრილი, ხოლო მეორეში — ისტორიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიისა და იურიდიული ფაკულტეტები. ჰუმანიტარული ფაკულტეტებისთვის აუცილებელია, კარგად გარემონტდეს შენობა, ხოლო ტექნიკური ფაკულტეტებისთვის კი — აშენდეს დიდი კორპუსი, რომელიც აღიჭურვება ყველა საჭირო ინვენტარით»**

ახალი მსოფლიო წესრიგი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკონომიკის მართვის ბრეტონ-ვუდსის სისტემამ თავისი შესაძლებლობები სრულად ამოწურა. ბრეტონ-ვუდსის მოდელის არსი (მოქმედებს 1944 წლიდან) ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: იბეჭდება ფული, რომელიც გადაეცემა ბანკებს; ბანკები ამ ფულს ასესხებენ საინვესტიციო სტრუქტურებს, რომლებიც რაღაცას აშენებენ, ან — მოქალაქეებს რაიმეს შესაძენად, შედეგად „გაიფურჩქნება ასი ყვავილი“. ძირითადი მოგება, ბუნებრივია, ბანკებს რჩება.**

# «დაწყევლილი პერსპექტივა» თუ ახალი მსოფლიოს მშენებლობის წინადღე

**მარტის დასაწყისში ერთი შეხედვით წარმოუდგენელი რამ მოხდა: ნავთობზე ფასი უარყოფით მაჩვენებელზე დაბლა დაეცა — არნახულად გაიაფდა ნავთობი. მართალია, ცოტა ხნის შემდეგ შედარებით გაძვირდა, მაგრამ ყველასთვის ნათელი შეიქნა, რომ დიდი ფინანსისტებისთვის „მსუქანი წლები“ წარსულს ჩაბარდა. რა მოხდა?**
**მიზეზი არც ოპეკის ქვეყნებს შორის მოლაპარაკებაშია საძებარი, არც ნავთობის რეზერვუარების გადავსებაში და არც კორონაკრიზისში.**









რობასთან არსებული საფინანსო უნივერსიტეტის დოცენტი, ამბობს:

— მოდი, სერიოზულად განვსაჯოთ, — აცხადებს **ეკონომისტი მიხეილ ხაზინი,** — არსებობს ისეთი რამ, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო, რისი ინიციატორი, ვთქვათ ასე, კორონაკრიზისი იყო. **ეკონომიკის მართვის ბრეტონ-ვუდსის სისტემამ თავისი შესაძლებლობები სრულად ამოწურა. ბრეტონ-ვუდსის მოდელის არსი (მოქმედებს 1944 წლიდან) ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: იბეჭდება ფული, რომელიც გადაეცემა ბანკებს; ბანკები ამ ფულს ასესხებენ საინვესტიციო სტრუქტურებს, რომლებიც რაღაცას აშენებენ, ან — მოქალაქეებს რაიმეს შესაძენად, შედეგად „გაიფურჩქნება ასი ყვავილი“. ძირითადი მოგება, ბუნებრივია, ბანკებს რჩება.**

განგაშის პირველი ზარი დიდი ხნის წინათ გაისმა — 2002 წელს, შემდეგ — 2008 და 2014 წლებში, რომლებსაც ყოველთვის ერთი და იმავე ლონისძიებით უპასუხებდნენ: ახალდაბეჭდილი დოლარების დამატებითი ულუფით, მაგრამ ამ კერძით წარმოებას კი არ უმასპინძლდებოდნენ, არამედ საფონდო ბაზარზე გზავნიდნენ, სადაც ქაღალდის აქციები იყიდებოდა, ფაქტობრივად, ქაღალდის ფულზე.

ბოლო დიდი ემისიიდან, რომელიც წინ უსწრებდა ახლანდელ კრიზისს, რეალურ სექტორს არაფერი ერგო და 2020 წლის დასაწყისშივე საბოლოოდ გაირკვა, რომ ნავთობიცა და გაზიც იმდენად ნედლეული კი არ არის, რამდენადაც მის გასაყიდად გაფორმებული კონტრაქტები, რომლებსაც რეალობასთან კავშირი არ აქვს.

ამისთვის რამენაირად უნდა მოევლოთ.

— ნედლეულის ბაზრები დღეს მსოფლიოში არ არსებობს, — აცხადებს **ექსპერტი ალექსანდრე ლოსევი**, — ჩვენმა ამერიკელმა „კოლეგებმა და მეგობრებმა“ ნედლეულის ყველა ბაზარი ფინანსურ ბაზრად აქციეს. ნავთობით ვაჭრობის მოცულობა ბირჟაზე ასჯერ აჭარბებს დედამიწაზე არსებული ნავთობის საერთო რაოდენობას. ნავთობის ბაზარზე მუშაობენ მენავთობეები, რომლებიც ნავთობს ყიდიან; ნავთობტრეიდერები, რომლებიც ამ გაყიდულ ნავთობს სხვას მიჰყიდიან და ასე მიყოლებით. და კიდევ — სპეკულანტები. 2014 წელს ბარელი ნავთობი ღირდა 100 დოლარზე მეტი. ნავთობსაცავები სავსე იყო და ნავთობის ჭარბი რაოდენობა ბაზარზე აშკარად შეიმჩნეოდა, მაგრამ ნედლეული არ იაფდებოდა. სამაგიეროდ როგორც კი შეწყვიტეს ფულის ბეჭდვა და პროგრამის სტიმულირება, ბაზარი მყისვე ჩამოიშალა.

**ნავთობზე ფასის დაწესება, უწინარესად, პოლიტიკაა.**

## „კარგი“ თუ „ცუდი“ ნავთობი?

**„იუთუბის“ თვითნასწავლი ექსპერტების წრეში ღრმად გაიდგა ფესვები ფასწარმოქმნის ასეთმა ლოგიკამ: თუ ჩრდილოეთის ზღვაში მოპოვებული ბრენტის მარკის ნავთობი ეტალონურია, მაშასადამე, კარგია, მაგრამ, რადგან სხვაგან მოპოვებული ნავთობი, როგორც წესი, იაფია, უარესია, რადგან... იაფია.**

როცა წარმოუდგენლად სწრაფად იაფდება ეტალონური ნავთობი, ის დროა, გამოხვიდე ქუჩაში და იყვირო: — გვიშველეთ! მაგრამ ეს ყველაფერი, თურმე, სიცრუეა უცოდინართა. საკმარისია, ნამდვილ სპეციალისტებს დაელაპარაკო და დარწმუნდები, რომ **კარგი და ცუდი ნავთობი არ არსებობს.** ასეთი „კლასიფიკაცია“ გარკვეული მიზნებისთვის სჭირდებათ.

ტექნოლოგები ნავთობს არ ახარისხებენ კარგ და ცუდ ნედლეულად. ნავთობი სხვადასხვა ფრაქციას შეიცავს: ბენზინის ფრაქცია, ნავთის ფრაქცია, დიზელის ფრაქცია უმეტესად მსუბუქი ნავთობია. მძიმე ნავთობპროდუქტია ბიტუმი, მაზუთები და ა.შ., რომლებზეც მოთხოვნაა ნავთობის ბაზარზე.

კორონავირუსის პანდემიისას ნავთობპროდუქტების გაიაფება ლოგიკური იყო, რადგან მოთხოვნა კატასტროფულად შემცირდა — არ მოძრაობდა ავტოტრანსპორტი, შეწყდა ფრენები. აი მოთხოვნა ბიტუმზე მშენებლობისთვის, საწვავზე — ხომალდებისთვის, მაზუთზე არ შემცირებულა.



— შარშან აგვისტოში ბრენტი გაცილებით იაფი იყო, — ამბობს **ენერგეტიკის ეროვნული ინსტიტუტის გენერალური დირექტორის მოადგილე ალექსანდრე ფროლოვი,** — მაშინ სხვა ფასები იყო. ამჟამად სიტუაცია მეორდება, ანუ ნავთობგადამმუშავებელ ქარხნებს სჭირდება „რუსული ნავთობი“, იმ შემადგენლობის, რომელიც „ჩვენს ნავთობს აქვს“.

საუდის არაბეთმა არა მხოლოდ გააფორმა შეთანხმება ნავთობის საერთო მოპოვების შემცირების შესახებ, არამედ გადაწყვიტა, დამატებით შეამციროს მოპოვება, დღე-ღამეში დაახლოებით ერთი მილიონი ბარელის ოდენობით.

რატომ? იმიტომ, რომ საუდელებს უჭირთ თავიანთი ნავთობის მომხმარებლის პოვნა ამ შემცირებული მოცულობის პირობებშიც კი. ჩვენ — ვპოულობთ.

## რას ეყრდნობა ეკონომიკა

**წიაღისეულის მარაგები კვლავაც დარჩება მსოფლიო ეკონომიკის საფუძვლად. მათზე უარის თქმა უტოპიური სურვილია. მზის, ქარისა და წყლის ენერგიის გამოყენება შესანიშნავი რამაა, მაგრამ მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად კი, გვარწმუნებენ სპეციალისტები, პირიქით გამოდის. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ „მწვანე ენერგეტიკის“ გამოყენების დღევანდელი დონის უზრუნველსაყოფად დედამიწის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაგვჭირდება მზის ბატარეების განსალაგებლად, არამედ ის, რომ „მწვანე ენერგეტიკა“ ნავთობისა და ბუნებრივი აირის გარეშე წარმოუდგენელია.**

ელექტრომობილები, მზის პანელები, აკუმულატორები, რომლებიც იაფი ღირს, შესანიშნავია, მაგრამ მოპოვებული ნავთობის თითქმის ნახევარი პლასტიკატის საწარმოებლად იხარჯება. თითოეული ელექტრომობილი, ფაქტობრივად, ნავთობპროდუქტებიდან არის დამზადებული.

ეს ერთი. მეორე: განახლებადი ენერგიის გენერაცია, გაგიკვირდებათ და, ასევე შეიცავს პლასტიკებს. მსოფლიო ერთბაშად რომ „გავამწვანოთ“, გაზი და ნავთობი არ გაქრება. მათი დაწვა შემცირდება, მაგრამ გადამუშავება გაიზრდება.

**ამიტომ საუბარი რუსეთის რესურსების ამოწურვაზე, როგორც კრიზისმა დაგვანახვა, მხოლოდ ფუჭი ლაყბობაა.**

ცოტა ვინმე, ვინც დღევანდელ რუსეთში რესურსის პრობლემით არის დაინტერესებული, ინტერესდება საკითხით: **თუ პერსპექტივა აგრერიგად ცუდია, რატომ ზრდიან ნავთობის მოპოვებას ამერიკელი ნავთობმწარმოებლები? ასე დაჟინებით რატომ ცდილობენ, დაიპყრონ ბაზრები თავიანთი ნავთობის გასასაღებლად? რატომ სურთ საკუთარი ნებით ამ დაწყევლილი ნედლეულის ნემსზე დაჯდომა?**

ნავთობის მოპოვება XXI საუკუნეში არ არის მარტივი საქმე: ამოტუმბე — გაყიდე.

ეს არის ფრიად მაღალტექნოლოგიური და მეცნიერებატევადი პროცესები, რომლებიც ყველა ქვეყნის ეკონომიკას ეწევა, როგორც ბუქსირი ხომალდს.

ნავთობისა და გაზის თითოეული ახალი სადენი ნიშნავს ახალ დასახლებულ პუნქტს — სადმე ხომ უნდა იცხოვროს ამ ქარხნებისა და მილების მომსახურეების მასამ! აქვეა მეცნიერებაც — უმაღლესმა სასწავლებლებმა და კვლევითმა ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშაონ თავიანთი ტექნოლოგიები. თეატრები, მუზეუმები და საკონცერტო დარბაზები — ადამიანი მხოლოდ მუშაობისთვის არ არსებობს. და **ეს ყველაფერი კი არის გაზი და ნავთობი — ის, რაც აქვს რუსეთს და ძალიან სჭირდება სხვებს. ეს არის კოლოსალური კონკურენტული უპირატესობა და არა უპერსპექტივობა, როგორც ზოგიერთი „კეთილისმსურველი“ ექსპერტი იწყევლება, მაგრამ ნებისმიერ უპირატესობას ჭკვიანურად გამოყენება სჭირდება, მითუმეტეს იმ ვითარებაში, როცა მსოფლიო ბუქვალურად ჩვენ თვალწინ იცვლება.**

**ლეონიდ კრუტაკოვი,** რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული საფინანსო უნივერსიტეტის დოცენტი, ამბობს:

— დღევანდელ მსოფლიოს რომ ვუყურებ, ისეთი განცდა მიჩნდება, თითქოს მიმდინარეობდა ბინების შეკეთება და სამუშაოს დამთავრებამდე მუშებმა იქაურობას თავი მიანებეს, მობინადრეები თავიანთ ბინებში შეიხიზნენ, მაგრამ დაგვრჩა საერთო გამოყენების რაღაც ადგილები. ისეთი ვითარებაა, როგორიც დიდი განხეთქილების წინ იქმნება ხოლმე. და გაუგებარია, რა ვითარება შეიქმნება.

## მსოფლიო, რომელიც იცვლება

დღეს არსებული კომუნალურ-გლობალისტური პროექტი იმსხვრევა და მზად არის, თავის ნანგრევებში მოიყოლოს ყველა.

„ფერადი რევოლუციების“ სპეციალისტები კარანტინის გამო იძულებულნი არიან, შინ იმუშაონ, — ბოლო კვირების ამ ყველაზე მოსწრებულ ინტერნეტხუმრობაში მხოლოდ ნაწილია ხუმრობა.

გლობალური სამყაროს შექმნა ათწლეულების წინათ დაიწყო, მსოფლიოში, სადაც არ არსებობს ცნებები — დედ-მამა, ცოლ-ქმარი, სადაც ყველა ადაპტირებულია სანიმუშო მომხმარებლის ქცევასთან, დიდი ხნის განმავლობაში ანტიუტოპიად გვეჩვენებოდა. ომის შემდგომ წლებში გავიგონა, რომ ეს პროექტი სხვა რამეზეა და სხვაგან მუშაობს, მაგრამ, რაც უფრო იკვეთებოდა ახალი მსოფლიოს კონტურები, ბევრმა გაიხსენა **უილიამ შექსპირი**, რომელიც გვაფრთხილებდა: „ახალი საოცარი სამყარო ჯერ არ ჩანს“.

**— გლობალიზაციამ, რომლის შესახებაც დიდხანს ლაპარაკობდნენ, რომელმაც ძალიან ბევრი რეგიონი ფეხზე დააყენა და არაფრისგან საკმაოდ აყვავებულ ქვეყნებად აქცია, როგორც, მაგალითად, ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნები, დაშლა დაიწყო. ტრამპის მოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ ამერიკა მსოფლიოს გლობალიზაციის ბენეფიციარი აღარ არის,** — აცხადებს **საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ალექსანდრე ლოსევი**, — ამერიკა გლობალიზაციიდან ჩინეთზე გაცილებით ნაკლებ მოგებას იღებს. გლობალიზაცია თანდათან დასასრულისკენ მიდის, მაგრამ ჯერ არ მომკვდარა.

იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობს სისტემა ამჟამად, როგორ შემოუბრუნდა იგი გლობალიზაციაში ▶

**წიაღისეულის მარაგები კვლავაც დარჩება მსოფლიო ეკონომიკის საფუძვლად. მათზე უარის თქმა უტოპიური სურვილია. მზის, ქარისა და წყლის ენერგიის გამოყენება შესანიშნავი რამაა, მაგრამ მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად კი, გვარწმუნებენ სპეციალისტები, პირიქით გამოდის. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ «მწვანე ენერგეტიკის» გამოყენების დღევანდელი დონის უზრუნველსაყოფად დედამიწის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი დაგვჭირდება მზის ბატარეების განსალაგებლად, არამედ ის, რომ «მწვანე ენერგეტიკა» ნავთობისა და ბუნებრივი აირის გარეშე წარმოუდგენელია**

**ბატონმა გრიგოლმა პოლიტიკური პენალტი გაუტანა ყველას, ვისაც ჯერ არს. კერძოდ, ახლო წარსულში ცნობილ, მაგრამ ჩეხოვის პერსონაჟ ბელიკოვივით შიშით შეპყრობილ, მედროვე, ქამელეონებად გარდასახულ ისტორიკოსებს და, საერთოდ, ყველას, მათ შორის ძია სემსაც. საყურადღებოა, რომ ყოველივე ეს ბატონმა გრიგოლმა ჩვეული მსუბუქი იუმორით აღასრულა, რაც ყოველგვარ კრიტიკაზე აღმატებულია.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩართული ქვეყნების უმრავლესობას, ექსპერტები გვირჩევენ, დავაკვირდეთ **უკრაინას.**

მიხეილ ხაზინი, ეკონომისტი, რომელიც ჩვენი პუბლიკაციის დასაწყისში მოვიხმეთ, ამბობს, რომ ამ ქვეყნის მაგალითი გვიჩვენებს, რომ **უკრაინის მართვა ოფიციალური არხებით არ მიმდინარეობს:**

— **მმართველობას განახორციელებს უკრაინის კონკრეტული მოხელე, საწოვარა, რომლითაც იგი იკვებება სოროსის რომელიმე ფონდის მიერ. ყველა მათგანმა გაიარა სოროსის ეს ფონდები და ყველა მათგანმა ზუსტად იცის, რომ ნებისმიერ საკითხზე უნდა მიაკითხოს მაინცდამაინც „იქ“. მათ უთხრეს: თქვენ მოგანდეს ადგილები, რომლებიც უზრუნველყოფს თქვენს კარგ ცხოვრებას და ამიტომ უნდა შეასრულოთ მითითებები.**

სწორედ ამ სისტემას დაუპირისპირდა რუსეთი, ჩინეთი და, რაც ყველაზე უფრო გასაკვირია, ტრამპისდროინდელი აშშ. ვინ გაიმარჯვებს — გლობალიზატორები თუ სუვერენული ქვეყნების მომხრეები, დიდი პრობლემაა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მშვიდობიანი სულის მოთქმა ხანმოკლე იქნება, — გვარწმუნებენ პოლიტოლოგები.



მათგან ერთ-ერთი — **კირილ კოკტიში** მიიჩნევს, მთავარი იქნება როგორ დაიშლება ეს სისტემა:

— აშკარაა, რომ **წარმოიქმნება ორი პოლუსი — იქნება აშშ და იქნება ჩინეთი. აშკარაა, რომ აშშ მიითვისებს დასავლეთს სრულად. აშკარაა, რომ ჩინეთიც დიდ ზონას იგდებს ხელთ, მაგრამ დარჩება რუსეთი, დარჩება ინდოეთი, რომლებსაც არ გააჩნიათ ძალა, დამოუკიდებელ ცენტრებად ჩამოყალიბდნენ; იმას, ვისაც ისინი მიუერთდებიან, უთუოდ გაუჩნდება დომინირების შანსი ხვალინდელ მსოფლიოში.**

ამ დომინირების საფუძველი კვლავაც სამხედრო და ენერგეტიკული სიძლიერეა, მაშასადამე, ბუნებრივი აირი და ნავთობი. რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, საიდან სად გაივლის და როგორი სიძლიერის იქნება მილსადენები. სწორედ ამიტომ მილსადენების ჩამწყობი ხომალდი „აკადემიკოსი ჩერსკი“ „ჩრდილოეთის ნაკადის“ მშენებლობაზე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ბადრაგის თანხლებით გაემართა.

ბალტიის ფსკერზე გადებული მილი არა მხოლოდ საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობაა, არამედ სრულიად ახალი მსოფლიოს მოწყობის ჩონჩხი. სწორედ ამიტომ სცენაზე გამოვიდა ახალი პროექტი „ციმბირის ძალა“, რომელიც პირველთან ერთად იმის საშუალებას იძლევა, რომ ნედლეული როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთით გაიყიდოს. ერთი მყიდველის დიქტატი ამით დასრულდება, მაგრამ აქ წერტილის დასმა მაინც ნაადრევია.



**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორ ალექსეი მასლოვის** აზრით, ჩინეთი ძალიან ხისტი და ანგარიშიანი პარტნიორია ყიდვა-გაყიდვის საქმეში:

— მაშინაც კი, როცა „ციმბირის ძალა“ სრულად ამოქმედდება, ჩვენ ჩინეთისთვის მიყიდული გაზის რაოდენობის მხოლოდ 10 პროცენტის იმედი უნდა გვქონდეს, ისიც საუკეთესო შემთხვევაში, რადგან ჩინეთი უაქტიურეს მოლაპარაკებაშია ჩართული თურქმენეთიდან ბუნებრივი აირის მიღების საკითხში, ძალიან აქტიურად აფინანსებს ყაზახეთის ნავთობსაბადოებს და, საერთოდ, მთელ მსოფლიოს არის მოდებული, იმიტომ, რომ არ გაჩნდეს არც ერთი მონოპოლისტი ქვეყანა. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ იდეაზე, რომ თავი დავანებეთ დასავლეთს და ახლა აღმოსავლეთისკენ მივდივართ. დასავლეთ-აღმოსავლეთისკენ თავის ტრიალი ძალიან საშიშია ეკონომიკური კონცეფციისთვის. რუსეთი არ არის ის სახელმწიფო, რომელმაც ფლუგერივით უნდა იტრიალოს ტენდენციების ქარის გავლენით. ტენდენციები ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ.

ეკონომისტები ამ დებულებას ასე გვიშიფრავენ: უნდა გავბედოთ და ვისწავლოთ უცხოეთის დახმარების გარეშე არსებობა. ამის ყველა საშუალება რუსეთს აქვს, საჭიროა მხოლოდ კონტროლის სისტემის ამოქმედება, რომელიც საქმისთვის გამოყოფილ ფულს ქვეყნიდან გადინების ყველა გზას გადაუკეტავს. ამ ახალ ვითარებაში თამაშის წესები ბიზნესმა კი არ უნდა დაადგინოს, არამედ სახელმწიფომ საერთო სამომავლო კეთილდღეობისთვის.

**ტელეარხ ТВЦ-ს 22 ივნისის სპეციალური რეპორტაჟის — „საოცარი ახალი მსოფლიოს“ საგაზეთო ვერსია**



# ბატონი გრიგოლ ონიანი — სტალინის ურთულესი ფენომენის უბადლო მკვლევარი



## დღეს თბილისში აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის, სკამ-ძეგლი დგას; მეორე ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის, სახელს კი მაგისტრალური ქუჩა ატარებს, ხოლო ქალაქ გორიდან აღებული სტალინის ძეგლი სოფელ კარალეთში პირქვეა დამხობილი და ეკალ-ბარდები ფარავს; რა ვუწოდოთ ამ შემზარავ სინამდვილეს?




**წლების განმავლობაში დიდი გულისხმიერებით ვეცნობი დიდებულ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ გრიგოლ ონიანის მეტად ორიგინალურ პუბლიკაციებს, რომლებიც დიადი პოლიტიკოსის — იოსებ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება. ბატონი გრიგოლი ყოველგვარ საფრთხესა და შიშზე მაღლა დადგა და შეუძლებელი სინამდვილედ აქცია, რადგან სტალინის პორტრეტი ასე სიღრმისეულად, მრავალმხრივად და ჭეშმარიტად სრულყოფილად ჯერ არავის დაუხატავს. ბატონი გრიგოლი პირველია.**

ამ წერილის დაწერა მე, 91-ე წელში გადაბიჯებულ ისტორიკოს-პოლიტოლოგს, ბატონ გრიგოლ ონიანის მიერ „საქართველო და მსოფლიოს“ ამა წლის მე-14 ნომერში სტალინზე გამოქვეყნებული მორიგი წერილის („სტალინი — დიპლომატიის მონსტრი. რას ამბობდა სტალინზე მსოფლიო დონის პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი“) პირველივე წინადადებამ მიკარნახა.

დიახ, ბატონი გრიგოლ ონიანი პირველია, ვინც ზღვარი დაუდო ტყუილ-მართლის წერას კაცობრიობის გამოჩენილ ადამიანზე — იოსებ სტალინზე. თავისი რაინდული შემართებით, ლომგულობით, შიშზე მაღლა დგომით ბატონმა გრიგოლმა პოლიტიკური პენალტი გაუტანა ყველას, ვისაც ჯერ არს. კერძოდ, ახლო წარსულში ცნობილ, მაგრამ ჩეხოვის პერსონაჟ ბელიკოვივით შიშით შეპყრობილ, მედროვე, ქამელეონებად გარდასახულ ისტორიკოსებს და, საერთოდ, ყველას, მათ შორის ძია სემსაც. საყურადღებოა, რომ ყოველივე ეს ბატონმა გრიგოლმა ჩვეული მსუბუქი იუმორით აღასრულა, რაც ყოველგვარ კრიტიკას აღემატება.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ბატონმა გრიგოლმა დამნაშავე სააკაშვილის მიერ ქალაქ ფოთში აღებული სტალინის ძეგლი წაიღო და თავის სოფელში აღადგინა, რაც რაინდული გმირობის ტოლია; მედროვე-შარლატანებისა და თვით ძია სემის კარში გატანილი გოლია.

მიკვირს, წლები გადის და საქართველოს სამეცნიერო წრეები, უნივერსიტეტები, მეცნიერებათა აკადემიის მესვეურები დღემდე დუმან და ვერ ხედავენ ბატონ გრიგოლის მიერ სტალინზე შექმნილ და გამოქვეყნებულ მრავალტომეულს. ისინი ასევე ვერ ხედავენ და არ იციან, რომ არსებობს ყველაზე ობიექტური, სიმართლით გამორჩეული გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რომლის გვერდებიდანაც ჩამოისხა ეს მრავალტომეული.

ვფიქრობდი, საქართველოში უნივერსიტეტები ერთმანეთს შეეცილებოდნენ ბატონ გრიგოლ ონიანისთვის მეცნიერების საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებაში, ხოლო მეცნიერებათა აკადემია — საპატიო აკადემიკოსად აირჩევდა.

არ ვარ მიამიტი და კარგად ვხედავ, რომ აშშ-დასავლეთის მიერ დამონებულ-„დაჩმორებული“ საქართველოს ხელისუფალნი, ვაიოპოზიცია თუ სამეცნიერო წრეები ეთაყვანებიან ძია სემს, რომელსაც სტალინის სახელის ხსენებაც კი დაბლოკილი აქვს. სწორედ ძია სემის სურვილითა და ნებით აიღო დამნაშავე **სააკაშვილმა** სტალინის ძეგლები, გააუქმა მისი სახელი ქუჩებსა თუ სხვა ობიექტებზე.

დღეს თბილისში აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, **რონალდ რეიგანის,** სკამ-ძეგლი დგას; მეორე ყოფილი პრეზიდენტის, **ჯორჯ ბუშის,** სახელს კი მაგისტრალური ქუჩა ატარებს, ხოლო ქალაქ გორიდან აღებული სტალინის ძეგლი სოფელ კარალეთში პირქვეა დამხობილი და ეკალ-ბარდები ფარავს; რა ვუწოდოთ ამ შემზარავ სინამდვილეს? სახელი თქვენ დაარქვით...

1949 წლის დეკემბერში, როცა იოსებ სტალინს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, მილოცვები მსოფლიოს ყველა კუთხიდან ნიაღვარივით წამოვიდა, რომლებიც რუბრიკით „მისალმებათა ნაკადი“ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქვეყნდებოდა გაზეთების — მათ შორის ქართულ გაზეთ „კომუნისტის“ გვერდებზე. ეს მილოცვები იმისი დასტურია, რომ სტალინი პლანეტა დედამიწის სიდიადედ იქცა. იმედია, ბატონი გრიგოლი აღნიშნული მილოცვების გარკვეულ ნაწილს მკითხველს თავისი კომენტარებით წარუდგენს.

ასევე ცალკე თემაა იოსებ სტალინი, როგორც ადამიანთა სოციალური თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის, პიროვნების სოციალური დაცვის, სახელმწიფოს აღმაშენებელი მსოფლიოს ერთ მეექვსედ ტერიტორიაზე...

დღეგრძელობა და მადლობა ბატონ გრიგოლ ონიანს, რომელიც კვლავაც განაგრძობს სტალინის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მეცნიერული ნარკვევების გამოქვეყნებას.

მადლობა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ დიდებულ სარედაქციო კოლეგიას ობიექტურობისა და იმ სიმართლისთვის, რომელიც ჩვენ, მკითხველებს, უშურველად მოგვეწოდება.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

**მიკვირს, წლები გადის და საქართველოს სამეცნიერო წრეები, უნივერსიტეტები, მეცნიერებათა აკადემიის მესვეურები დღემდე დუმან და ვერ ხედავენ ბატონ გრიგოლის მიერ სტალინზე შექმნილ და გამოქვეყნებულ მრავალტომეულს. ისინი ასევე ვერ ხედავენ და არ იციან, რომ არსებობს ყველაზე ობიექტური, სიმართლით გამორჩეული გაზეთი «საქართველო და მსოფლიო», რომლის გვერდებიდანაც ჩამოისხა ეს მრავალტომეული. ვფიქრობდი, საქართველოში უნივერსიტეტები ერთმანეთს შეეცილებოდნენ ბატონ გრიგოლ ონიანისათვის მეცნიერების საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებაში, ხოლო მეცნიერებათა აკადემია — საპატიო აკადემიკოსად აირჩევდა**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„პუტინი არაფრის დიდებით არ დათანხმდება, რომ ნაციზმის განადგურებაში მისი ქვეყნის როლი დააკნინონ ან მას არ მოეპყრან სათანადო პატივისცემით“, — წერს „ფორბსი“ რუსეთის ლიდერის მიერ THE NATIONAL INTEREST-ში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული სტატიის კომენტარში.

# «ფორბსი»: პუტინმა მსოფლიოს შეახსენა, ვინ «დააყრევინა ნაწლავები» ფაშიზმს Forbes

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კორონავირუსის პანდემიის გამო იძულებული შეიქნა, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გამარჯვების აღლუმი 9 მაისიდან 24 ივნისისთვის გადაეტანა, მან მაინც არ დაივიწყა, დასავლეთისთვის შეეხსენებინა რუსეთის პოზიცია.**



ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ 22 ივნისს გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ მიმდინარე წელს გამარჯვების აღლუმი ჩატარდება იმ დღეს, რომელ დღესაც 75 წლის წინათ ჩატარდა, როცა საბჭოთა კავშირმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა მოკავშირეებთან ერთად ფაშისტების განადგურება იზეიმა, „მაგრამ ახლა, — აღნიშნავს ავტორი, — ყველაფერი სხვაგვარადაა. გამარჯვების პირველი აღლუმიდან სამი მეოთხედი საუკუნის შემდეგ თვით ის ისტორიული მოვლენები იქცა დაპირისპირების არენად საინფორმაციო ომში“.

**„პუტინი არაფრის დიდებით არ დათანხმდება, რომ ნაციზმის განადგურებაში მისი ქვეყნის როლი დააკნინონ ან მას არ მოეპყრან სათანადო პატივისცემით“, — წერს „ფორბსი“ რუსეთის ლიდერის მიერ The National Interest-ში ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული სტატიის კომენტარში.**

სტატიაში ვლადიმერ პუტინი წერს ისტორიული რევანშიზმის ხიფათზე, რომლის გამოვლინებაც შეიმჩნევა ახლა დასავლეთში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომისა და მისი შედეგების მიმართ.

„რუსეთის ლიდერს, უწინარესად, მხედველობაში აქვს ევროპარლამენტის 2019 წლის სექტემბრის რეზოლუცია, რომელშიც, როგორც ის წერს, „პირდაპირ არის დადანაშაულებული საბჭოთა კავშირი — ნაცისტურ გერმანიასთან ერთად — მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში“, — წერს „ფორბსის“ ჟურნალისტი, — პუტინს გამოაქვს მკაფიო და მკვეთრი დასკვნა: „ხსოვნის დაცინვა — ეს უნამუსობაა!“

იმაზე მსჯელობისას, 75 წლის წინათ დასრულებული ომის შემდეგ რატომ აქვს ამ საკითხებს ასეთი დიდი მნიშვნელობა, „ფორბსის“ ჟურნალისტი წერს: **„აღიარებული შეფასებებით, იმ ომში საბჭოთა კავშირმა 20 მლნ-ზე მეტი ადამიანი დაკარგა. თავის სტატიაში პუტინი წერს, რომ სსრკ-მა „თითქმის 27 მლნ მოქალაქე დაკარგა, დიდმა ბრიტანეთმა — 127-დან ერთი, აშშ-მა 320 მოქალაქიდან ერთი“.**

„სწორედ ამიტომ, — დასძენს ავტორი, — რუსეთს ასე სწყინს მეორე მსოფლიო ომში მისი როლის დაკნინება და იგნორირება“, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 2020 წლის 8 მაისს, როცა თეთრმა სახლმა ყველა დამსახურება აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს მიაწერა.

**«რუსეთის ლიდერს, უწინარესად, მხედველობაში აქვს ევროპარლამენტის 2019 წლის სექტემბრის რეზოლუცია, რომელშიც, როგორც ის წერს, «პირდაპირ არის დადანაშაულებული საბჭოთა კავშირი — ნაცისტურ გერმანიასთან ერთად — მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში», — წერს «ფორბსის» ჟურნალისტი, — პუტინს გამოაქვს მკაფიო და მკვეთრი დასკვნა: «ხსოვნის დაცინვა — ეს უნამუსობაა!»**



**«1945 წლის 8 მაისს ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა გაიმარჯვეს ნაცისტებზე». ამერიკის სულისკვეთება ყოველთვის იმარჯვებს. ასეც მოხდა», — ნათქვამი იყო თეთრი სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მილოცვაში, რომელმაც რუსეთის უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო კი დაინტერესდა — «ვინმე ხომ არ დაგავიწყდათ?»**

**„1945 წლის 8 მაისს ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა გაიმარჯვეს ნაცისტებზე“. ამერიკის სულისკვეთება ყოველთვის გაიმარჯვებს. ასეც მოხდა“, — ნათქვამი იყო თეთრი სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მილოცვაში, რომელმაც რუსეთის უკმაყოფილება გამოიწვია. რუსეთის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო კი დაინტერესდა — „ვინმე ხომ არ დაგავიწყდათ?“ — წერს ავტორი.**

„ფორბსის“ ჟურნალისტის აზრით, სწორედ ამიტომ ჩათვალა საჭიროდ ვლადიმერ პუტინმა, The National Interest-ში გამოქვეყნებულ სტატიაში ყველასთვის შეეხსენებინა ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **უინსტონ ჩერჩილის** მიმართვა, რომელიც მან 1944 წლის სექტემბერში გაუგზავნა საბჭოთა ლიდერ **იოსებ სტალინს.**

ჩერჩილი წერდა: „სახელდობრ რუსეთის არმიამ დააყრევინა ნაწლავები გერმანიის სამხედრო მანქანას“.

**Polit.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
ნიკა კორინთელმა**



# გერმანელი პოლიტოლოგი: ნატო ქაღალდზე შენარჩუნდება, თვით ალიანსი კი გაქრება

**გერმანელმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე რარმა გერმანიასა და აშშ-ს შორის ურთიერთობაზე ისაუბრა. სპეციალისტის აზრით, ევროპაში ძალთა განლაგება ბუნებრივი აირის კონფლიქტის გამო იცვლება.**

ადრე გერმანიისთვის შეიძლება გეწოდებინათ აშშ-ის გუბერნატორი ევროპაში. ბერლინი ვაშინგტონის მთავარი მოკავშირე იყო ბებერ კონტინენტზე, მაგრამ ახლა გერმანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, არ დაუჯეროს ოკეანისგაღმელ პარტნიორს რუსული ბუნებრივი აირის შესყიდვის საკითხში.

**ბერლინი იმედოვნებს, რომ აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი არჩევნების შემდეგ დატოვებს პოსტს და ვითარება დასტაბილურდება, მაგრამ, ალექსანდრე რარის აზრით, მოცემულ ვითარებაში ცვლილებების ლოდინი არც ისე ჭკვიანურია. თუ ამერიკის პრეზიდენტის პოსტს ჯო ბაიდენი დაიკავებს, გერმანიაზე წნეხი კვლავ შენარჩუნდება. დემოკრატი პრეზიდენტის რიტორიკა ცოტა შერბილდება, მაგრამ ვაშინგტონის მიზნები და ამოცანები არ შეიცვლება.**

**„ახლა ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს დიდი ისტორიული ცვლილება“,** — აღნიშნა პოლიტოლოგმა, — **აშშ პირდაპირ სამხედრო კავშირს ამყარებს პოლონეთთან გერმანიის გვერდის ავლით. თუ ტრამპი პოსტს შეინარჩუნებს, ცვლილებები გაგრძელდება“.**

რარის აზრით, ნატო მხოლოდ ქაღალდზე შენარჩუნდება, თვითონ ალიანსი კი გაქრება, აშშ პირდაპირ კავშირს დაამყარებს პოლონეთთან, რუმინეთსა და ბრიტანეთთან, რათა განაგრძოს რუსეთის შეკავება.

დონალდ ტრამპმა ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ სურს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, მაგრამ აშშ-ის პირობებზე რუსეთის დათანხმება, სპეციალისტების აზრით, ფუჭი ოცნებაა.

**Politexpert.net-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ბერლინი იმედოვნებს, რომ აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი არჩევნების შემდეგ დატოვებს პოსტს და ვითარება დასტაბილურდება, მაგრამ, ალექსანდრე რარის აზრით, მოცემულ ვითარებაში ცვლილებების ლოდინი არც ისე ჭკვიანურია. თუ ამერიკის პრეზიდენტის პოსტს ჯო ბაიდენი დაიკავებს, გერმანიაზე წნეხი კვლავ შენარჩუნდება. დემოკრატი პრეზიდენტის რიტორიკა ცოტა შერბილდება, მაგრამ ვაშინგტონის მიზნები და ამოცანები არ შეიცვლება**

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲪᲘᲡᲢᲣᲠ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘᲪ ᲡᲯᲔᲠᲝᲓᲐᲗ ᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ. ᲐᲛᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ ᲰᲣᲛᲑᲝᲚᲓᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲕᲔᲠ ᲟᲣᲚᲔᲛᲘ. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲐᲛ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ 1942 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲐᲜᲔᲜᲔᲠᲑᲔᲡ (ᲒᲔᲠ. AHNENERBE — „ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ“. ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ 1935-1945 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲜᲝᲠᲓᲣᲚᲘ ᲠᲐᲡᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲐᲓ) ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ ᲒᲠᲣᲞᲔᲜᲤᲘᲣᲠᲔᲠ ᲰᲔᲜᲠᲘᲮ ᲤᲝᲜ ᲛᲘᲢᲙᲔᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ. ᲔᲡ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲒᲖᲝ-ᲣᲙᲕᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ.

ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲐᲙᲕᲐᲜᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲠᲬᲐ

## ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲐ

**სამეცნიერო წრეებში დღემდე არსებობს თვალსაზრისი, რომ ევროპული რასის სამშობლო კავკასიაა. ამ თეორიას, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს გამოაქვეყნა ფიზიკური ანთროპოლოგიის შემქმნელმა იოჰან ფრიდრიხ ბლუმენბახმა, მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც.**

### ᲩᲕᲔᲜ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ

**ᲘᲝᲰᲐᲜ ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲑᲚᲣᲛᲔᲜᲑᲐᲮᲛᲐ,** რომელიც შედარებითი ანთროპოლოგიის ინსტრუმენტებს ეყრდნობოდა, პირველმა დაყო კაცობრიობა განსაზღვრული მემკვიდრეობითი ნიშნების კომპლექსებით. ასე გაჩნდა სამეცნიერო თეორიაში **5 ᲠᲐᲡᲐ: ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ (ᲗᲔᲗᲠᲘ), ᲛᲝᲜᲒᲝᲚᲝᲘᲓᲣᲠᲘ (ᲧᲕᲘᲗᲔᲚᲘ), ᲜᲔᲒᲠᲝᲘᲓᲣᲚᲘ (ᲨᲐᲕᲘ), ᲛᲐᲚᲐᲘᲣᲠᲘ (ᲧᲐᲕᲘᲡᲤᲔᲠᲘ) ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲝᲘᲓᲣᲚᲘ (ᲬᲘᲗᲔᲚᲘ).** ეს კლასიფიკაცია სხვადასხვა ვარიანტით დღესაც განაგრძობს არსებობას. ბლუმენბახის კვლევებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კავკასიურ რასას. მეცნიერის აზრით, კავკასიის უძველესი ხალხები ევროპელების წინაპრები არიან. ამ თეორიის შექმნას ბიძგი მისცა ნაპოვნმა თავის ქალამ, რომელიც ბლუმენბახმა 1795 წელს აღმოაჩინა საქართველოში.

**ᲨᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲐᲜᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ (ᲙᲠᲐᲜᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ — Ნ.Კ.) ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ „ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲐᲡᲘᲡ“ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲝᲘᲓᲔᲑᲐᲓ ᲑᲚᲣᲛᲔᲜᲑᲐᲮᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲠᲐᲡᲐᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲐ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲔᲑᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲡᲐ, ᲑᲚᲣᲛᲔᲜᲑᲐᲮᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, „ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲒᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ“.** ეს რასები მრავალი ათასი წლის განმავლობაში იქმნებოდა მეტისაციის (ფიზიკური შერევის) გზით.

გერმანელი მეცნიერი გარკვეულწილად იმეორებს ანტიკური ხანისა და შუასაუკუნეების მოაზროვნეთა თვალსაზრისს. ისინი კავკასიას მიიჩნევდნენ დედამიწის ღერძად, რომელიც გადის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, აგრეთვე, აკვნად ახალი კაცობრიობისა, რომელიც პირველი წარღვნის შემდეგ გაიფანტა და დასახლდა პლანეტის სხვადასხვა ადგილას. ბლუმენბახი ვარაუდობდა, რომ კავკასია ღირსია, ეწოდოს არიელთა სამშობლო. არიელები კი დასახლებული იყვნენ ინდოეთიდან ბრიტანეთამდე და ურალიდან აფრიკამდე.

### ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲡ

ბლუმენბახის თეორია აღმოჩნდა ნაყოფიერი ნიადაგი, რომლიდანაც ბევრი მიმდევარი აღმოცენდა. ანალოგიური ცნებებით ოპერირებდა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის შემქმნელი **ᲒᲔᲝᲠᲒ ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛ ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲰᲔᲒᲔᲚᲘᲪ.** ის წერდა: „მხოლოდ კავკასიურ რასაშია სული აბსოლუტურ ერთიანობაში საკუთარ თავთან, აღწევს აბსოლუტურ დამოუკიდებლობას, თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წერს მსოფლიო ისტორიას“.

ფიზიკური ანთროპოლოგიის იდეებმა დიდწილად უბიძგა სამეცნიერო რასიზმის წარმოშობას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო მეცნიერი-ბუნებისმეტყველი სემუელ ჯორჯ მორტონი. მისი მოსაზრებების მიხედვით, რასები განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან: უმაღლეს საფეხურზეა თეთრი კავკასიური რასა, უმდაბლესზე — შავი ნეგროიდული, დანარჩენს შუალედური საფეხურები უკავია.

არსებობს მოსაზრება, რომ ნაცისტურ გერმანიაშიც სჯეროდათ არიელების კავშირის კავკასიასთან. ამაზე ლაპარაკობდა ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორი **ᲕᲔᲠ ᲟᲣᲚᲔᲛᲘ.** მეცნიერის აზრით, ამ თეორიის გასამყარებლად 1942 წლის შემოდგომაზე კავკასიაში გაგზავნეს ანენერბეს (გერ. Ahnenerbe — „წინაპართა მემკვიდრეობა“. ორგანიზაცია, რომელიც არსებობდა 1935-1945 წლებში ნორდული რასის ტრადიციების ისტორიისა და მემკვიდრეობის შესასწავლად) ექსპედიცია გრუპენფიურერ **ᲰᲔᲜᲠᲘᲮ ᲤᲝᲜ ᲛᲘᲢᲙᲔᲡ** ხელმძღვანელობით. ეს ექსპედიცია დღეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.



ᲘᲝᲰᲐᲜ ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲑᲚᲣᲛᲔᲜᲑᲐᲮᲘ



> **ᲨᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡ ᲖᲦᲕᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲐᲜᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ (ᲙᲠᲐᲜᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ — ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ — Ნ.Კ.), ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ «ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲐᲡᲘᲡ» ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ. ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲘᲓᲔᲑᲐᲓ ᲑᲚᲣᲛᲔᲜᲑᲐᲮᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲘᲩᲜᲔᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ «ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲠᲐᲡᲐᲡ» ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲐ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲔᲑᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲐᲚᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲐᲡᲐ, ᲑᲚᲣᲛᲔᲜᲑᲐᲮᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, «ᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲠᲐᲡᲘᲡ ᲞᲘᲒᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘᲐ»**

მოგვიანებით ცნება „კავკასიური რასა“ ნელ-ნელა მივიწყეს, ანთროპოლოგმა **ᲤᲠᲐᲜᲪ ᲛᲘᲣᲚᲔᲠᲛᲐ** კი მეცნიერებს შესთავაზა ტერმინი „ხმელთაშუა ზღვის რასა“, რომელიც გულისხმობდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მცხოვრებ ხალხებსა და ცივილიზაციებს. საბჭოთა კავშირში იყენებდნენ ტერმინს „ევროპეიოდული რასა“, ზოგჯერ — „ევრაზიულ რასას“.

XX საუკუნის 50-იან წლებში თბილისელმა ანთროპოლოგებმა შემოიღეს განსაზღვრება, რომელმაც მოიცვა მხოლოდ „თეთრი რასის“ ნაწილი, კერძოდ, ცენტრალური კავკასიონის მთიელი ხალხები ქედის ორივე მხრიდან. თუმცა დასავლურ ენებში ტერმინ Caucasian-ს, Kaukasoid-ს ან Kaukasische-ს დღესაც იყენებენ იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც Europeoid-ს.

ასეა თუ ისე, ბლუმბენბახის იდეა „თეთრი რასის“ კავკასიური წარმოშობის შესახებ დავიწყებული არ არის. მაკმასტერის უნივერსიტეტის (კანადა) ანთროპოლოგიის ფაკულტეტის პროფესორმა, ლინგვისტმა და კავკასიური კულტურის სპეციალისტმა **ᲯᲘᲛ ᲙᲝᲚᲐᲠᲣᲡᲝᲛ** ჩაატარა კვლევა, რომლის შედეგადაც გამოვლინდა „ინდოევროპული გენის“ დიდი კონცენტრაცია ადიღელთა შორის.

მეცნიერმა აღიარა, რომ ჯერ კიდევ კვლევის დაწყებამდე მივიდა დასკვნამდე: ბევრი ინდოევროპელის — სლავების, ინგლისელების, ბერძნების, იტალიელების — ენები ძალიან ახლოს იდგა ენასთან, რომლებზეც ლაპარაკობენ ადიღები, უბიხები და აბაზები.

ამ საკითხზე არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. XIX საუკუნეში გაჩნდა იდეა, რომ შეუძლებელია კავკასია ევროპეოიდების სამშობლო იყოს და, თუ „თეთრი რასის“ წარმომადგენლები იქ ცხოვრობდნენ (მაგალითად, კიმერიელები ჩვ. წ. აღ-მდე VIII საუკუნეში), მხოლოდ დროებით და ისინი კავკასიას სატრანზიტო პუნქტად იყენებდნენ. **ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲚᲘᲜᲒᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲕᲠ ᲔᲜᲐᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲗᲐᲜ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲒᲠᲔᲚ (ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ) ᲓᲐ ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲑᲐᲡᲙᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲔ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲘᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ, ᲘᲡᲔ ᲐᲖᲠᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲘᲡᲘᲜᲘ ᲕᲔᲠ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ.** ზოგიერთ ანთროპოლოგს მიაჩნია, რომ კავკასიის ამჟამინდელ მოსახლეობას ცოტა აქვს საერთო ევროპეოიდული რასის წინაპრებთან, რომლებიც დასახლებულნი არიან ევროპის ტერიტორიაზე. ერთადერთი გამონაკლისი არის დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთსა და ადიღეში მცხოვრები მოსახლეობა, რომელთა წინაპრებიც აქ ოდესღაც გადმოსახლდნენ ხმელთაშუა ზღვის რეგიონიდან. ბლუმენბახის თეორიის საწინააღმდეგო მოსაზრებას ავითარებს ზოგიერთი გენეტიკოსიც. მაგალითად, იტალიელი **ᲚᲣᲘᲯᲘ ᲙᲐᲕᲐᲚᲘ-ᲡᲤᲝᲠᲪᲐ,** პოპულაციური გენეტიკის საკითხების მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე სპეციალისტი, ამბობს, რომ გენეტიკური მარკერების ერთობლიობით კავკასიაში, აგრეთვე, წინა აზიაში მცხოვრები ხალხები (თურქები, ქურთები, სირიელები) ევროპეოიდები არ არიან. ამას გარდა, კავალი-სფორცა ამტკიცებს, რომ თანამედროვე ადამიანის წინაპარი არა კავკასიაში, არამედ აფრიკაში უნდა ვეძებოთ. და ჩვენი წინაპრები აფრიკიდან გადასახლდენ ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში, მერე — აღმოსავლეთ აზიასა და ამერიკაში. მაგრამ ეს ერთი გენეტიკოსის თვალსაზრისია. ბევრი სხვა გენეტიკოსის აზრით, ადამიანის გენომის შესწავლის დონე ასეთი კატეგორიული დასკვნების გამოტანის საშუალებას ჯერჯერობით არ იძლევა.

**Cirillitsa.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ᲜᲘᲙᲐ ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲛᲐ**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გესმით, ილიას გზით „მავალნო" ვაიპოლიტიკოსებო, ერთმანეთს რომ სამარეს უთხრით ქვეყნის გარეშე მტრების დახმარებით? ნუთუ გგონიათ, მოყვასის გაუტანლობა, დაბეზღება, ცილისწამება, შეურაცხყოფა ბედნიერებას გაზიარებთ?! არა! არ გგონიათ, რადგან კარგად იცით, რომ შადიმანებს საქართველოში არასდროს გაუხარიათ. მაშ, რისთვის ირჯებით ქვეყნისა და ერის სამტროდ?!**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «ღმერთო, მიეცი ქართველ კაცს ძაღლის გრძნობა და ჭკუაო»

**„ქართველობაზე ჩვენში დღეს ყველა სტყუაო", — ამას ამბობდა აკაკი, როდესაც თანამოძმეთა ურთიერთმტრობას, გაუტანლობასა და ორგულობას უყურებდა; გული სტკიოდა, რადგან „აკაკის მხოლოდ ერთადერთი სატრფო ჰყავდა, იგი უყვარდა წარუხოცელი და მგზნებარე სიყვარულით. ღვთის წინაშე, ეს იყო საქართველო" (ტასო ბაგრატიონ დავითაშვილის მოგონებიდან). და ახლა? ახლა როგორ არის, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში?**



არჩევნების წინ, როგორც ხდება ხოლმე, თითოეული კანდიდატი დეპუტატის მანდატის ხელში ჩასაგდებად „ენაზედ მოაყოლებს ყოველს — გონებაში ჩარჩენილს უთავბოლო ფრაზებს" და არახუნებს მოშლილი წისქვილივით; „არახუნებს და იმას კი არა ფიქრობს, რომ იმას გულის ფრიალის წამალს სთხოვენ და ის კი ტვინ-დანთხეულსავით იძახის: მწყურვალის წამალი წყალიაო. ბატონო, ეგ ხომ ვიცით, გულის ფრიალის წამალი გვინდა, გულის ფრიალის! შენც არ მამიკვდე, იმან თავისი არ დაიშალოს. ან რა ქნას, რომ მეხსიერება ყურში მარტო ამ დიაკვნურად გაზეპირებულს სიტყვებს ჩასძახის. საკვირველი ეს კი არ არის, ისაა საკვირველი, რომ ეს უჯათი და დაჟინებული ექიმბაში თავის ჭკუის ხალხსაც პოულობს დედამიწის ზურგზედ და გულის ფრიალის მოსარჩენად წყალით იჟენთებიან".

სწორედ მათი წყალობით, ვინც ქვეყნის განვითარებისა და გაძლიერების წამალს ვერ მიაგნო (ან ეძებდა კი საერთოდ?!), **„ჩვენი ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სახედარივით გდია უძრავად სადღაც კუთხეში".** „ამისთანა ქვეყანაში, საცა ცხოვრება ხავსმოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი, ჭია-ჭუების და ქვემძრომების საბუდარს", ხალხმა როგორ უნდა ამოითქვას სული?! დრო და დრო თუ გამოჩნდება ხალხის ჭირისუფალი, „ჭია-ჭუებს რომ ყურში ხელი წაავლოს და აწივლოს", მაგრამ ეგ საქმეს არ შველის. აკი ნათქვამია, — ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. თანაც, თუ ერის მამას დავუჯერებთ, გაზაფხული სწორედ მაშინ დაგვიდგება, როდესაც „უქმ სიტყვად აღარ იქნებიან ძმობა, ერთობა, თავისუფლება", როცა ერი ჯერ უცხოთა უღელს გადაიგდებს კისრიდან, შემდეგ კი „შრომის ახსნის" საკითხს დააყენებს. ილიას აზრით, **მაშინ, როდესაც უცხო მოძალადე სრულ აღგვას გიპირებს პირისაგან მიწისა ბატონსაც და ყმასაც, რა დროს კლასობრივ უთანასწორობაზეა საუბარი, რის ბატონი, რის ყმაო?! ჯერ უნდა გავერთიანდეთ ამ უბოროტესი მტრის დასამხობად და მერე ვიფიქროთ ურთიერთშორის სადავო საკითხებზეო.**

**გესმით, ილიას გზით „მავალნო" ვაიპოლიტიკოსებო, ერთმანეთს რომ სამარეს უთხრით ქვეყნის გარეშე მტრების დახმარებით?**

**ნუთუ გგონიათ, მოყვასის გაუტანლობა, დაბეზღება, ცილისწამება, შეურაცხყოფა ბედნიერებას გაზიარებთ?!**

**არა! არ გგონიათ, რადგან კარგად იცით, რომ შადიმანებს საქართველოში არასდროს გაუხარიათ. მაშ, რისთვის ირჯებით ქვეყნისა და ერის სამტროდ?!**

შესანიშნავად მსჯელობს ამ საკითხზე მეორე დიდი ქართველი — აკაკი წერეთელი თავის ერთ-ერთ ლექსში:

**ამბობენ: მეცხვარის
ძაღლებს
როცა მოუვათ ჩხუბიო,
ვერ გააზავებთ ვერაფრით,
გინდა აძგეროთ შუბიო!
ღრენენ და ჰყეფენ!
ხორხოზში
აღარ აქვთ ყურთა სმენაო!..
ველარც არჩევენ
ერთმანეთს,
კბენა!.. კბენა და კბენაო!..
მაგრამ მეცხვარე
რომ ხედავს,
არ არის სხვა საშველიო,
განგებ იძახის: „ჰკა, მაგას!
ქსი! ქსი! მოვიდა მგელიო!"
ეს ხმა აფხიზლებს
მოჩხუბრებს,
თავდება ყოვლიფერიო!
და ერთად ჰყეფენ, გარეშე
რომ მოიგერონ მტერიო.
ეს რომ უამბეს მგოსანსაც,
სიხარბე შემოეპარა,
და ქართველთ
სავედრებელად
ლოცვა დასწერა პატარა:
„რადგანაც ქართველობაზე
ჩვენში დღეს ყველა
სტყუაო,
ღმერთო, მიეცი
ქართველ კაცს
ძაღლის გრძნობა
და ჭკუაო".**

განა საქართველო მართლაც არ მოისპობოდა ჯერ კიდევ ათასეული წლების წინ, რომ ქართველებს — ერსაც და ბერსაც, ბატონსაც და ყმასაც ერთად არ ებრძოლათ არაბთა, სპარსთა, თურქთა, მონღოლთა და სხვა მომხდურთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენს დამონებას ცდილობდნენ? წარმოიდგინეთ, მარტო თავადაზნაურობა რას გააწყობდა გარეშე მტრის წინააღმდეგ, უმთავრესი მებრძოლი ძალა, გლეხობა, განზე რომ გამდგარიყო. ჩვენი ქვეყნის ისტორია საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ერთობა — ერთიანობა ერისა და ბერისა, წყვეტს სახელმწიფოს ბედს.

სწორედ ამიტომ **ილიასთვის უპირველესი საკითხი იყო ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა და მხოლოდ ამის შემდეგ ფიქრი შიდაპრობლემების მოგვარებაზე.** ცხადია, ამ თვალსაზრისს იმხანად სასტიკი მოწინააღმდეგე ბევრი ჰყავდა, რომლებმაც ილიას სახელის შელახვა ცილისმწამებლური ბრალდებებით სცადეს, რათა ამ გზით გაემართლებინათ შემდგომ მისი მკვლელობაც.

არც დღეს არის ურთიერთდანდობა. პოლიტიკოსები საერო საქმის სასიკეთოდ ერთმანეთს მხარში კი არ უდგანან, ევროპა-ამერიკაში დარბიან, მავანთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად, სანაცვლოდ კი მზად არიან, მათი მითითებებით შეურაცხყონ ჩვენი ტრადიციები, წინაპართა ხსოვნა და ისეთი ცხოვრების წესის დაკანონებას დაუჭირონ მხარი, რომელიც მიუღებელია თვითონ ევროპისთვისაც...

**არჩევნების წინ, როგორც ხდება ხოლმე, თითოეული კანდიდატი დეპუტატის მანდატის ხელში ჩასაგდებად «ენაზედ მოაყოლებს ყოველს — გონებაში ჩარჩენილს უთავბოლო ფრაზებს» და არახუნებს მოშლილი წისქვილივით; «არახუნებს და იმას კი არა ფიქრობს, რომ იმას გულის ფრიალის წამალს სთხოვენ და ის კი ტვინ-დანთხეულსავით იძახის: მწყურვალის წამალი წყალიაო»**

ამიტომ უტევენ ჩვენს დედაეკლესიას, ცდილობენ მისი გავლენის შესუსტებას, რწმენაშერყეული ადამიანისთვის ხომ სულერთია მორალი და ზნეობა; ურწმუნო ადამიანი პრობლემას ვერ ხედავს ერთნაირსქესიანთა ქორწინებასა თუ უზნეო მომავალი თაობის აღზრდის მიზნით ბავშვის აღზრდაში მშობლის როლის დაკნინებაში.

**გვინდა ასეთი ევროპა?**

**ეს შეკითხვა ახლახან კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაისმა ეკლესიის ამბიონიდან. „თუ ევროპის ფასეულობა არის ეკლესიის სიძულვილი, ტრადიციების, ოჯახის სიწმინდის უგულებელყოფა, ჩვენ არ გვინდა ასეთი ევროპა, — განაცხადა ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონმა. — ესენი, ვინც ეკლესიას უტევს, არიან ისინი, ვინც სულდგმულობს ევროპული დაფინანსებით. ახლა მებადება ეჭვი: ხომ არ გადავხედოთ ჩვენს არჩევანს, როდესაც ჩვენ ავირჩიეთ ევროატლანტიკური გზა?**

**კომუნისტური რეჟიმიდან გამოსულებს და აღფრთოვანებულებს, ჩვენ, შემდეგ უკვე ალერსით გაბრუებულს და საკენკით მიტყუებულს, ევროპა ხომ არ დაგვხვდა? თვალი ხომ არ გავახილოთ?**

**მე სერიოზულად ვფიქრობ, ალბათ, სინოდზე დავსვამ ამ საკითხს: ხელახალი რეფერენდუმი ხომ არ მოგვეწყო და ხელახლა ხომ არ ვკითხოთ ჩვენს ხალხს: გვინდა თუ არა ასეთი ევროპა?"**

**ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს ეს განცხადება ანტისახელმწიფოებრივად მიაჩნია, რადგან ეწინააღმდეგება ქვეყნის განვითარების დემოკრატიულ კურსს და საქართველოს მოქალაქეების გაცხადებულ ნებასო; მათი აზრით, მსგავსი განცხადება საქართველოს მოქალაქეებისა და სახელმწიფოს შანტაჟის მცდელობაა, რადგან საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში მოქალაქეები აცხადებენ, რომ ჩვენი ურყევი ნებაა დემოკრატიული, თავისუფალი, დამოუკიდებელი და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა, რომელშიც დაცულია ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებებიო.**

**კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ადამიანში ჰეტეროსექსუალებიც ხომ იგულისხმებიან, რომელთა უფლებები ყველაზე მეტად მაშინ ილახება, როდესაც ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები" და ოკეანისგაღმელი „მეგობრები" ჰომოსექსუალთა უფლებების თავგამოდებით „დაცვას", უფრო სწორად კი მათი უზნეობის ხელის შეწყობას, გვაიძულებენ?! ყოველივე ამას, უპირველესად, დედაეკლესია და მორწმუნე მრევლი ყოველთვის აღუდგება წინ.**

ასე რომ, ეს არ არის ის ევროპა, რომელზეც 1861 წელს წერდა ჯ.-ორბელიანი, რომ **„ევროპია არის ლამპარი მთელი ქუეყნისა, განმანათლებელი კაცის გონებისა, მეცნიერება მოსწავლეთა, სიბრძნე გამგეთა, და სიკეთილე კაცობრიობისა. იგი ევროპია, არა ეხლა, ვინ იცის რამდენი საუკუნოები, განათლების წარმატებაშია და მოუსვენად ცდილობს მისთვის, მაგრამ დღევანდლამდისინ ღრმა მსწავლულები, თვით ევროპიელნი ამაზედ დაჯერებულნი არიან: ჯერ იმ ხარისხზე არ ასულა განათლება, რომ კაცსა ბოროტება გამოვგლიჯოთ სრულიადაო. საუკუნოს წლებიდგან, ამ საუკუნემდისინ ასეა ევროპია, ამ მოცადინეობის ტანჯვის ზრუნვაში".**

ამავე სტატიაში ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველო იმხანად „ევროპიისაგან უყურადღებოთ დაგდებული" იყო, ხოლო ქართველებისთვის ის იყო „სრულებით უცნობი ევროპია". **„ხანდისხან მოგზაურნი მოვიდოდენ აქა, აქაურობას აღწერდნენ, ქართუელების ქებას, კაცებისას თუ დედაკაცებისას გამოსცემდნენ წერილებში და მთქმელი კი არავინ არა ჰყვანდათ, ეთქოთ: ვითარნი არიან ევროპიელნი, რომ მათთან მახლობლობა ჰქონდეთ ჩვენებს. მართალია, ევროპიის შემოსული ტატრები უფრო შეიძლებდნენ ამას, რადგან ყოველს სახლში მახლობლობა ჰქონდათ, მაგრამ ისინიც ამის მეტს არას ზრუნვიდნენ, ქართუელები გაეფრანგებინათ.**

**ვინიცობაა, თუ ჩუენს მამაპაპათ ევროპიელებთან მეზობლობა ექნებოდათ, მაშინ შეიძლება ყუელას დარწმუნება, რომ ქართუელები ამდენის ძვირფასის ნიჭიერებით სავსენი არიან: დიდი განათლება იქნებოდა ჩუენს ქუეყანაში, მაგრამ ვინ აღუდგება წინა გარემოებას? — საშინელს ვეშაპსავითაა გაწოლილი ოსმალოს სახელმწიფო ჩვენსა და ევროპიის შუა; ის ფანატიზმით გარეტებული ოსმალოს ერი. ჩუენებსღა მოაგონდებოდა ევროპია, რომელსაცა ეხუეოდნენ ოთხსავ კუთხივ სპარს-ოსმალოები და სრულიად დანთქმას უპირებდნენ, აქ ამისი დაწერა დიახ ადვილია და წასაკითხავად უფრო ადვილი, მაგრამ თუ სრულიად გონებაში წარმოიდგენთ იმ ამბავსა, ზარ დასაცემი საშინელება ყოფილა საქართუელოზე!"** *(„ცისკარი", ქართველების ძველი დრო გადმოსული ახლად, 1861. №11. გვ. 211-231).*

ევროპასა და საქართველოს შორის ვეშაპივით გაწოლა უკვე აღარ სჭირდება ოსმალოს, რადგან დღეს ევროპა თვითონვე აკეთებს **„ზარ დასაცემ საშინელებას" ჩვენს ქვეყანაში.**

მაგრამ განდიდების ჟინი ძალიან მძიმე სენი ყოფილაო, წერდა ილია. „ჟინს კიდევ ჟინი იმიტომა ჰქვიან, რომ დაჟინებით იცის კაცის შეწუხება და, მინამ ასე თუ ისე არ მოიკლავ, არ მოგასვენებსო". ჰოდა, არ ასვენებს არჩევნებში გამარჯვების მსურველ არა ერთ ვაიპოლიტიკოსს და დარბის ევროპასა თუ ამერიკაში, — აქაოდა, თქვენი ყურმოჭრილი მონა ვარ, რასაც მიბრძანებთ, იმასა ვიქმ, ოღონდაც დამეხმარეთ ხელისუფლებაში მოსვლაშიო. მათაც რა ენაღვლებათ?! ერთგულ გოშიებს თავზე ხელს გადაუსვამენ, ჩვენ კი თითს დაგვიქნევენ: არ გაბედოთ, ამათ არაფერი აწყენინოთო.

▶

**სწორედ მათი წყალობით, ვინც ქვეყნის განვითარებისა და გაძლიერების წამალს ვერ მიაგნო (ან ეძებდა კი საერთოდ?!), „ჩვენი ცხოვრება ზურგ-გადაღლეტილ და დავარდნილ სახედარივით გდია უძრავად სადღაც კუთხეში“. „ამისთანა ქვეყანაში, საცა ცხოვრება ხავსმოკიდებულს გუბესა ჰგავს, ესე იგი, ჭია-ჭუების და ქვემძრომების საბუდარს“, ხალხმა როგორ უნდა ამოითქვას სული?!**

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შემდეგ კი **ესა თუ ის ევროპა-ამერიკისგან დაიმედებული ვაიპოლიტიკოსი, ილიას სიტყვების პერიფრაზით თუ ვიტყვით, ყველაზედ უწინარეს, ერთ კარგ, ნათხოვარის ცეცხლით გახურებულ სიტყვას გაიზეპირებს, მერე მოიწვევს ერთ ადგილას მოცლილ ხალხს (ღმერთმანი, ცოტანი არიან?!), იმ გახურებულის სიტყვით ყურს გამოუჭედავს.** როცა სიტყვა საქმეზედ მივა, — ხომ ოდესმე უნდა მივიდეს — მაშინ... ოხ, მაშინ, თუმცა მელიასავით ხაფანგში მომწყვდეულად ნახავს საკუთარს თავსაო, „რადგანაც თქვენ მარტო გახურებულის სიტყვის თქმა გინდოდათ და აქ კი საქმის გაკეთებაც სდომებია, მაგრამ მაინც არა შიშობთ. ხაფანგი ხაფანგია, მაგრამ ოსტატობასაც ბევრი რამ შეუძლიან...“

მრავალგზის მოტყუებული ხალხის ხაფანგში გაბმა ძალიან სახიფათო უნდა იყოს, მით უფრო რომ წლევადელ წელიწადს პანდემიასთან თანაცხოვრება დიდ გაჭირვებას უქადის სრულიად მსოფლიოს. რთული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, უკვე საუბრობენ შიმშილობის გარდაუვალობაზე. ამ მდგომარეობას ვერ შევადარებთ ამა თუ იმ ქვეყანაში რომელიმე მოუსავლიან წელიწადს, რომლის გადალახვა ასე თუ ისე შესაძლებელია ხოლმე. ამ შემთხვევაში საყოველთაო გაჭირვებიდან გამომდინარე შექმნილ სიდუხჭირეზეა საუბარი, რომლისგანაც თავის დაღწევაში, უპირველესად, საკუთარი შრომით შექმნილი დოვლათის იმედი უფრო უნდა გვქონდეს, ვიდრე სტრატეგიული პარტნიორების დახმარების. ჩვენმა მკითხველმა იქნებ იკითხოს: ამ თემას რამდენჯერ უნდა მიუბრუნდეთო?! იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება — სანამ კარგად არ შევიგნებთ, რომ სხვისი ხელის შემყურეს ალჩუ არ დაუჯდება.

**არც ილიასა და მისი თანამებრძოლებისთვის იყო ადვილი თანამემამულეთა დარწმუნება ბევრი საჭირბოროტო საკითხის პროგრესულად გადაწყვეტის აუცილებლობაში. და, რაც მთავარია, ილიამ ზუსტად განსაზღვრა XIX საუკუნის მისია: „შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთი ძლევამოსილის ამ საუკუნის“. ეს ფრაზა ილიამ თავის გენიალურ პოემა „აჩრდილში“ გააჟღერა.** ეს ის პერიოდია, როდესაც **საქართველოში** ეროვნული მთლიანობა დარღვეულია, ზოგი ფუფუნებით ცხოვრობს და გაჭირვებულ მოძმეს არ ეხმარება, ვაჭარი მხოლოდ მოტყუებაზეა გადასული, თბილისში თითქოს დუღს სიცოცხლე, მაგრამ ყველაფერი მოჩვენებითი და ამაოა, რადგან „დაჟანგებულ ბორკილზედ“ ცვლიან თავისუფლებას; თვით მცხეთაც კი, „სავანე გმირთა“, სამიკიტნო დაბად ქცეულა და „პირუტყვთ ქელვითა შეგინებულა“.

აქ ორი უკიდურესობა გამოიკვეთა — „ქვეყანა ბნელი“ და „ოქროს ნათელი“, რომელმაც ეს სიბნელე შთანთქა:

**„აღმობრწყინდა მზე**
**დიდებულადა**
**და განანათლა ქვეყანა**
**ბნელი,**
**კავკასის მთების წვერთა**
**მაღალთა**
**ზედ გადაჰფინა ოქროს**
**ნათელი“.**

# ევროპასა და საქართველოს შორის ვეშაპივით გაწოლა უკვე აღარ სჭირდება ოსმალოს, რადგან დღეს ევროპა თვითონვე აკეთებს «ზარ დასაცემ საშინელებას» ჩვენს ქვეყანაში


იერუსალიმი


ლონდონი

**გვინდა ასეთი ევროპა? ეს შეკითხვა ახლახან კიდევ ერთხელ ხმამაღლა გაისმა ეკლესიის ამბიონიდან. «თუ ევროპის ფასეულობა არის ეკლესიის სიძულვილი, ტრადიციების, ოჯახის სიწმინდის უგულებელყოფა, ჩვენ არ გვინდა ასეთი ევროპა, — განაცხადა ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონმა. — ესენი, ვინც ეკლესიას უტევს, არიან ისინი, ვინც სულდგმულობს ევროპული დაფინანსებით.**
**ახლა მებადება ეჭვი: ხომ არ გადავხედოთ ჩვენს არჩევანს, როდესაც ჩვენ ავირჩიეთ ევროატლანტიკური გზა?»**

მაგრამ დილის ამ სილამაზეს რაღაც აკლია:

**„ამგვარი დილა**
**ქვეყანას ბედკრულს**
**ბევრჯერ სხვა**
**დროსაც გასთენებია,**
**მაგრამ არც ერთხელ**
**მის გულსა ვნებულს**
**მადლი ცისა არ**
**მიჰკარებია“.**

„მზით გაბრწყინებულ“ ქვეყანაში, ერთი შეხედვით, „ძალუძს კაცსა ბედნიერება“, მაგრამ თავისუფლებაწართმეული ერი განა შეიძლება იყოს ბედნიერი?

პოემაში საქართველოს გულშემატკივრად ილიას მოევლინება „კაცი დიდი, მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“, ანუ აჩრდილი, რომელსაც „მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი“ და „ყურადღებითა შორს გაჰყურებდა“.

მისი თვალი ვერ დაატყვევა არაგვისა და თერგის თვალწარმტაცმა ხეობებმა, იგი უფრო შორს იმზირებოდა, სადაც „სრულ საქართველო მოჩანდა შორსა“. გაკვირვებული პოეტი ეკითხება: „საიდამა ხარ, ვინ მოგავლინა?“ მოხუცის პასუხი კი ასეთია:

**„მარად და ყველგან,**
**საქართველოვ,**
**მე ვარ შენთანა,**
**მე ვარო შენი თანამდევი,**
**უკვდავი სული,**
**შენ შვილთა სისხლით**
**გული სრულად**
**გარდამებანა,**
**ამ გულში მე მაქვს შენი**
**აწმყო, შენი წარსული“.**

მოხუცი შეძრულია საქართველოს მდგომარეობით —


ათენი

რომ ქართველთ დავიწყებიათ, „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული“, ხოლო „შური, ლალვა და მტრობა“ ისეა ფეხმოკიდებული, რომ მამულიშვილთაც აღარ სწამთ მამულის აღდგენის შესაძლებლობა და „დაუგდიათ იგი, ვით ტაძარი გაუქმებული“.

**და სად არის გამოსავალი? უძლურებიდან თავის დასაღწევად გონიერების მოხმობაა საჭირო. ასე მიაჩნია ერის მამას.**

**მაგრამ დღეს ნაკლებად გვტკივა მოყვასის ტკივილი; დღეს ცრემლს აღარ ვღვრით, იმდენად, რამდენადაც ცოტა თუ აცნობიერებს დღევანდელ უსუსურ და უძლურ მდგომარეობას.**

იმედის ნაპერწკლის გაელვებას ჰგავს იმის შეხსენება, რომ საქართველო, რომელიც ადრეც ბევრჯერ დაცემულა, ჭეშმარიტ გმირებს უხსნიათ. აწმყოში კი „გმირის დამბადი დიდი საგანი“ „სპობილა და წარწყმედილა“; გაუნელდათ რა ქართველთ მამულის ტრფობა, მომძლავრდა ბოროტება; ქვეყანა იძულებული შეიქნა, „უცხო კალთის ქვეშ, ვითა ობოლი, შეფარებულიყოო“. ამდენად, ის „დიდი საგანი“ — თავისუფლება ერისა, რომელიც მომავალ მხსნელს აღზრდიდა, ქვეყანაში აღარ არსებობდა.

არც დღეს არსებობს.

„საქართველოს თანმდევი, უკვდავი სული“ მძიმედ განიცდის ეროვნულ ტკივილებს; იგი ხედავს, **თავგზააბნეული ქართველები თვითონვე რომ „ანგრევენ მას, რისი აღდგენაც სურთ; თვით შველიან მას, რასაც ებრძვიან“.**

ესეც — თანამედროვე საქართველოს ნაცნობი სურათი.

მამულისადმი ტრფობის ქადაგებაა მთელი პოემა. როდესაც ხმალს „მამულის ტრფობამ“ მოჰკიდა ხელი, მტერი განიდევნა საქართველოდან და ფარნავაზ მეფემ ქვეყანას „ვით მზე მოჰფინა თავისუფლება“. მაგრამ სადღაა დღეს „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“?!

„საქართველოს თანმდევი, უკვდავი სული“ შესთხოვს ღვთისმშობელს:

**„დედავ ღვთისაო,**
**ეს ქვეყანა შენი ხვედრია,**
**შენს მეოხებას ნუ მოაკლებ**
**ამ ტანჯულ ხალხსა....**
**ჰოი, სახიერო ცისარტყელა**
**განავლე ცასა,**
**რათა წარღვნისა**
**მოლოდინი**
**წარხოცო ხალხსა“.**

ღვთისმშობელმა შეისმინა მოხუცის ვედრება — „მსწრაფ გადმოეშვა ცისა კიდესა შვიდფეროვანი სარტყელი ცისა!“ და ეს სარტყელი, მაცხოვრის კვართი და ყოვლადწმინდა ქალწული არის გარანტი საქართველოს მთლიანობისა; საქართველოსი, რომელზეც აკაკი ბაქრაძე ბრძანებდა: ილიამ სამშობლოს დაჭრილი, დასახიჩრებული სხეული ქირურგის მაგიდაზე დადო და ქირურგიული სიზუსტით შეუდგა მისი ჭრილობების დამუშავებასო, მაგრამ არ დააცადეს. სამწუხაროდ, სრულიად მართებულად აღნიშნა ვაჟა-ფშაველამ, რომ „ილიასთანა ადამიანებს სიცოცხლეშივე ძეგლებს უდგამენ უცხოეთში, ხოლო ჩვენ კოცონზე ვწვავთ, ვკლავთ, როგორც ავაზაკებს... საბრალო ჩვენო თავო, საწყალო საქართველოვ!“

ილიასთვის საქართველო იყო უსასრულო ფიქრი, ჯვარზე გაკვრა, მძიმე ტვირთი, მაგრამ ამავე დროს მსუბუქიც, რადგან მთელი არსებით უყვარდა და ილვწოდა მის საკეთილდღეოდ. და ჩვენც, თუ თავს მივიჩნევთ მის შთამომავლებად, სანამ ცოცხლები ვართ, მამულისთვის კელაპტრად უნდა ვენთოთ, რადგან სხვა გზა, სხვა ხსნა არ გაგვაჩნია!

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



# გერმანიაში 100 წლის ქალი გააუპატიურეს

**ყმაწვილს, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის 18 წლისა იყო და ავადმყოფ და ხანდაზმულ ადამიანებს უვლიდა, დაავალეს 100 წლის ქალის მიხედვა. როცა ეს უკანასკნელი აბაზანიდან დაბანილი ამოვიდა, ბიჭი ეძგერა და გააუპატიურა.**

ეს საქმე სასამართლოში **ევგენი ვაგნერმა** განიხილა. ეს ის მოსამართლეა, რომელმაც 73 წლის კაცი საციხოდ გაიმეტა იმის გამო, რომ უბილეთოდ იმგზავრა საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

გამაოგნებელი დანაშაული, რომელიც 18 წლის ახალგაზრდამ ჩაიდინა, ვაგნერის აზრით, საზოგადოებისთვის საშიშ ქმედებად ვერ ჩაითვლება, ამიტომ მის მიერ გამოტანილი ვერდიქტი გაუმართლებელი გულჩვილობით იქნა გამორჩეული — ფიგურანტს 22 თვით პირობითი სასჯელი აკმარა. პირობითმა სასჯელმა თურმე „პედაგოგიური“ ნაყოფი უნდა გამოიღოს. ასე განსაჯა მოსამართლემ. ყმაწვილმა 101 საათი საზოგადოებრივ სამუშაოზე უნდა გაატაროს — თითო საათი თავისი მსხვერპლის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან შეფარდებით. საწყალი ქალბატონი უკვე 101 წლისა გახდა.



# სასამართლოს გადაწყვეტილებით, უნდა დაიკითხოს თუთიყუში თავისი პატრონის მკვლელობის საქმეზე

**ასე ინება ბუენოს-აირესის (არგენტინა) სასამართლომ, ვინაიდან თუთიყუშმა დაიხსომა თავისი პატრონი ქალის უკანაკსკნელი სიტყვები, — იუწყება Daily Mail.**

46 წლის **ელიზაბეტ ტოლედოს** გაქირავებული ჰქონდა ოთახი, რომელშიც სამი კაცი ცხოვრობდა. 2018 წელს ქალი გააუპატიურეს და მოკლეს. ეჭვი მიტანილია 51 წლის **მიგელ რონინსა** და 62 წლის **ხორხე ალვარესზე**. მესამე კაცმა ალიბი წარადგინა.

გამოძიების დროს ერთ პოლიციელს მოესმა ქალის კივილი გაქირავებული ოთახიდან: „ნუ მომკლავთ, გეთაყვა!“ სასწრაფოდ შევიდა და იქ ქალის ცხედარი და გალიაში მჯდარი თუთიყუში დახვდა.

პოლიციელს მიაჩნია, რომ თუთიყუშმა მსხვერპლის უკანასკნელი სიტყვები გაიმეორა. გარდაცვლილის მეზობელმა დაადასტურა, რომ თუთიყუში ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა. როცა ერთმა კაცმა მეორეს დაარტყა, თუთიყუშმა თქვა: „რატომ დამარტყი!“

# ნეოლიბერალური ზნეობა



## გერმანიაში ასობით ბავშვი შეგნებულად გადასცეს პედოფილებს: ექსპერიმენტის გამაოგნებელი დეტალები

**გერმანია გააოგნა გასაჯაროებულმა ინფორმაციამ იმის თაობაზე, რომ 60-იანი წლების ბოლოდან დაკანონდა პედოფილების მიერ ბავშვის შვილად აყვანის პრაქტიკა. ფსიქოლოგმა და სექსოლოგმა ჰელმუტ კენტლერმა შეძლო ხელისუფლების წარმომადგენელთა დარწმუნება, რომ უპატრონო ბავშვების პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა აღსაზრდელად მათი გადაცემით გაუკუღმართებულთათვის.**

კენტლერი ამტკიცებდა, რომ ბავშვები მამაკაცებთან სექსის გამო არ დაიტანჯებიან, სამაგიეროდ, გაუჩნდებათ საცხოვრებელი ადგილი, უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით და არ მოაკლდებათ ყურადღება.

ამ კოშმარული ისტორიის ახალი დეტალების შესახებ ილაპარაკეს ადამიანებმა, რომლებმაც ნახევარი საუკუნის წინანდელ საშინელებაზე საუბარი იმ პირობით გადაწყვიტეს, თუ მათ ვინაობას არ გაამჟღავნებდნენ. **მარკო** და **სვენიც** ამ პირობით დათანხმდნენ ინტერვიუს ჩამორთმევას.

**სვენი:** — იგი მე 5-დან 14 წლამდე, მარკოს კი 6-დან 17 წლამდე ყოველ კვირაში გვაუპატიურებდა.

ლაპარაკია ვინმე **ფრიცზე** (მისი გვარიც დაფარულია), რომელიც მათ მეურვეობდა. მარკო და სვენი ბერლინის ხელისუფალთ ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი მიანდეს ისეთ კაცს, რომელიც რამდენიმე დანაშაულის ჩადენის გამო იძებნებოდა, მათ შორის პედოფილიის გამოც. ჰილდესჰაიმის უნივერსიტეტის მოხსენების თანახმად, 30 წლის განმავლობაში ბავშვები შვილად აჰყავდათ დამნაშავეებს. ფრიცი ცხოვრობდა ბერლინში და 1973-დან 2003 წლამდე მის ხელში ათმა ბავშვმა გაიარა.

კენტლერის ე.წ. ექსპერიმენტი 1969 წლიდან ბერლინში დაიწყო. კენტლერმა შეძლო გერმანიის პარლამენტის დარწმუნება, რომ უპატრონო ბავშვების „სოციალიზაცია“ დამნაშავეობის დონის შემცირებასაც შეუწყობდა ხელს.

პატივცემული ინიციატორი მუშაობდა ბერლინის პედაგოგიურ ცენტრში, რომელიც ანგარიშვალდებული იყო სენატის წინაშე და იკვლევდა საგანმანათლებლო და სოციალური რეფორმების საკითხებს. თავისი „ექსპერიმენტის“ პირველი შედეგი მან წარმატებულად მიიჩნია. ერთ-ერთ ანგარიშში იგი დადებითად აფასებს „მამობილების“ ქმედებას და წერს, რომ სამმა მამაკაცმა ბევრი რამის გაკეთება შეძლო „თავიანთი ბიჭებისთვის“, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მათ სექსუალური ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული“.

ჟურნალმა Der Spiegel-მა 2013 წელს პირველად ამხილა ერთ-ერთი გერმანული პარტია პედოფილიის მხარდაჭერაში. მოგვიანებით მასმედიაში გაჩნდა პირველი პუბლიკაციები კენტლერის „ექსპერიმენტის“ შესახებ, მაგრამ გამოძიება მხოლოდ 3 წლის შემდეგ დაიწყო — 2016-ში. გაირკვა, შვილად ამყვან ოჯახებში იგულისხმებოდა მარტოხელა კაცები, ძირითადად, აკადემიური წრეებიდან, რომლებიც სიხარულით კისრულობდნენ განსაკუთრებულობებით გამორჩეული ბიჭების „აღზრდასა და პატრონობას“. მთავარ შეკითხვას, როგორ გახდა შესაძლებელი ასეთი უზნეობის განხორციელება — უპასუხა ჰილდესჰაიმის უნივერსიტეტის უახლესმა გამოკვლევამ: კენტლერს ჰყავდა ლობისტები სენატში, რომლებიც მხარს უჭერდნენ მის იდეებს და იცავდნენ მას და „მამობილებს“.

კენტლერის მომხრეები მუშაობდნენ მაქს პლანკის ინსტიტუტში და ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში. პროფესორი კენტლერი 2008 წელს მოკვდა, ბევრმა გერმანულმა გაზეთმა გამოქვეყნებულ ნეკროლოგებში იგი მოიხსენია, როგორც „ემანსიპაციის მამა“ და „სექსუალური განათლების შუქურა“. რამდენი ბავშვი და მოზარდი მონაწილეობდა „ექსპერიმენტში“, დღემდე გაურკვეველია, სავარაუდოდ, 200 არასრულწლოვანზეა ლაპარაკი.

# პამელა ანდერსონი 12 წლისა გააუპატიურეს, 14-ისა კი «წრეზე დაატრიალეს»

**52 წლის პამელა ანდერსონი მეხუთედ გათხოვდა — ცოლად გაჰყვა 74 წლის პროდიუსერ ჯონ პიტერს, რომელიც თავის მზეთუნახავს ნახევარი ცხოვრების განმავლობაში ელოდებოდა. ჯერ კიდევ 35 წლის წინათ მან ცოლობა სთხოვა პამელას, რომელმაც იგი უარით გაისტუმრა. და მხოლოდ 2019 წლის ბოლოს, როცა ბატონმა ჯონმა ხელმეორედ დაუჩოქა, დათანხმდა.**

იქნებ ახლა მაინც იპოვოს ბედნიერება „მალიბუს მაშველების“ ვარსკვლავმა.

The Sun იხსენებს, რომ პამელა ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი იყო. 6-დან 10 წლამდე ძიძა იყო შეჩენილი, 12 წლისა კი მეგობარი გოგონას ძმამ გააუპატიურა.

„ჩემს მეგობარს შინ ვეწვიე. დაკავებული იყო და მისმა ძმამ ნარდის თამაში შემომთავაზა... შემდეგ ზურგის მასაჟი დამიწყო და ყველაფერი სექსით დასრულდა. ეს იყო ჩემი პირველი ჰეტეროქსუალური გამოცდილება. იგი 25 წლისა იყო, მე — თორმეტის“, — იხსენებს მსახიობი.

ყმაწვილობის ასაკში, დაახლოებით 14 წლისას, ანდერსონს შეყვარებული ბიჭი ჰყავდა. ერთხელ მან (ბიჭმა) გადაწყვიტა თავისი ამხანაგებისთვისაც გაენაწილებინა პამელასთან ყოფნის სიამოვნება. „მან გადაწყვიტა, რომ საინტერესო იქნებოდა ხუთ ბიჭთან ერთად გავეუპატიურებინე... აღარ მინდოდა ამქვეყნად ცხოვრება. აღარ ვენდობოდი ადამიანებს“.

პამელა ანდერსონს ქმრებიც უხეშები ჰყავდა. მედოლე **ტომი ლი** არა მხოლოდ ვიდეოზე იწერდა მათ სექსს (ჩანაწერი შემდგომ ინტერნეტით გავრცელდა), არამედ სცემდა კიდეც მეუღლეს (რის გამოც 6 თვეს ციხეში იჯდა). მეორე ქმართან — **კიდ როკთან** ურთიერთობაც არ იყო მშვიდი, ხშირად მათი დაპირისპირება მთავრდებოდა ჩხუბით. მესამე (და მეოთხე) ქმარი **რიკ სალომონი** სექსის დროს ახრჩობდა ცოლს და „ბოზს“ ეძახდა.

ახალგაზრდა ბოიფრენდი **ადილ რამიც**, რომელთან რომანიც 2017 წელს დაიწყო, პამელამ ფიზიკურ ძალადობაში დაადანაშაულა. ფრანგი ფეხბურთელი ბრალდებას უარყოფდა. 2018 წელს ეს კავშირიც დაიშალა.



ამჟამინდელ რჩეულ **ჯონ პიტერსსაც** არ აქვს უნაკლო წარსული. მაგალითად, ყოფილმა თანაშემწე ქალმა სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა და სასამართლო გადაწყვეტილებით, მორალური ზიანის კომპენსაციად 3,3 მილიონი დოლარი გადაახდევინა.

ამ წყვილის ერთად ყოფნას რა ბედი უწერია, დრო გვიჩვენებს.

**„გერმანელები ბელარუსში გზავნიდნენ ლატვიელებით დაკომპლექტებულ სპეცდანაყოფებს „წესრიგის დასამყარებლად“. არმია „ცენტრის“ ჯგუფის სარდალმა მაშინ განაცხადა: მოაცილეთ ისინი აქაურობას, მათი მხეცური მოპყრობა ებრაელი მოსახლეობის მიმართ ჩემი ჯარისკაცების დემორალიზაციას იწვევს. ეს აჭარბებს ყველაფერ იმას, რისი მოთმენაც შეგვიძლია!**

ოცდამეხუთე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ომისწინა ისტორიის სენსაციური დეტალები, რომლებიც იაკობ კედმიმ გაასაჯაროა

**იაკობ კედმიმ, რომელსაც ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს, ისრაელის რუსულენოვანი ტელეარხის — ITONTV-ს მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში ილაპარაკა იმ ისტორიული ფაქტების შესახებ, რომელთა გამოც ევროპისა და რუსეთის ექსპერტები ცხარედ კამათობენ. ჩვენ ვდუმვართ.**
**როგორც ჩანს, ივნისში, რომელიც ზღვის ნაპირიდან ტალღით ჩარეცხილ ქვიშასავით გუშინ გამოგვეცალა, საქართველოში განვითარებული მოვლენების ჭიქის მორევმა ისე ჩაგვითრია, რომ მნიშვნელოვნად შეგვიზღუდა თვალსაწიერი.**

არადა, სწორედ ივნისში, 80 წლის წინათ მოხდა ის, რაც უშუალოდ უკავშირდება დღევანდელობას: 1940 წლის 14 ივნისს წითელი არმია შევიდა ლიტვაში (ამჟამინდელ ლიეტუვაში), 16 ივნისს — ლატვიასა და ესტონეთში: სსრ კავშირმა მიიერთა ბალტიისპირა რესპუბლიკები.

კედმის ეკითხებიან:

— **იყო ეს მიერთება ოკუპაცია თუ ანექსია?**

კედმიმ უპასუხა:

— დღეს ადამიანები, რომლებიც არ იცნობენ ისტორიას, არ იციან მიზეზები და ფაქტები, ვერ ერკვევიან ვითარებაში, რომელიც იმ სახელმწიფოებში ბატონობდა, გვთავაზობენ რაღაც დასკვნების მსგავსს მხოლოდ გარეგნულ ფაქტორებზე დაყრდნობით.

საბჭოთა ჯარი ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში ივნისში არ შესულა. ის იქ მანამდე იყო განლაგებული შეთანხმების საფუძველზე.

14-16 ივნისს ბალტიისპირეთში შეიცვალა მთავრობები მოლოტოვის ულტიმატუმის მოთხოვნით, რომელიც იქ საბჭოთა კავშირისადმი მეგობრულად განწყობილი მთავრობების არსებობას გულისხმობდა.

— რა მოხდა 14 რიცხვში? — შეეკითხება კედმი პროგრამის წამყვანს. იგი უპასუხებს, რომ არ იცის, რა მოხდა.

— არ გახსოვთ? „წვრილმანი“ მოვლენაა: გერმანელების არმია შევიდა პარიზში. საფრანგეთის დედაქალაქი დაეცა.

**კედმიმ მიანიშნა, რომ სწორედ ამ „წვრილმანი“ მოვლენის გადასაფარავად ამახინჯებენ დღეს ბალტიისპირეთის მოვლენებს, რომლებიც 80 წლის წინათ განვითარდა.**

**— ლატვია, ლიტვა და ესტონეთი თავიანთ დამოუკიდებლობას და თავიანთივე კომუნისტურ ჯარებზე გამარჯვებას („წითელი არმია“ არ მონაწილეობდა) უნდა უმადლოდნენ გერმანელებს, გერმანელ ჯარისკაცებს, გერმანული არმიის ნარჩენებს, რომლებიც ბრესტის ზავის შემდეგ მათ ტერიტორიებზე დარჩნენ; ასევე — ადგილობრივ გერმანელებს, რომლებიც ამ არმიის რიგებში იბრძოდნენ.**

და კიდევ — ვის?

თეთრგვარდიელებს — ძირითადად, **დენიკინის** არმიიდან.

ომის შემდეგ, ულტიმატუმის თანახმად, ყველა გავიდა, მათ შორის, გერმანიის ჯარის ნაწილებიც. მათთან ერთად წავიდა ერთი გერმანელი კაპიტანი ჰაუპტმანი, რომელიც ყველასთვის არის ცნობილი: მისი გვარი იყო **გუდერიანი** (ჰაინც ვილჰემ გუდერიანი — ვერმახტის გენერალ-პოლკოვნიკი, სატანკო არმიის სარდალი, სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი). ის ლატვიაში იბრძოდა ლატვიელებისა და სხვა იქაურთა წინააღმდეგ.

**კედმი მოკლედ მიმოიხილავს ბალტიისპირეთის სახელმწიფოს ისტორიას.**

— ლიტვა: 1926 წელს — სამხედრო გადატრიალება. ათი დღის შემდეგ დახვრიტეს ლიტვის კომპარტიის ყველა ხელმძღვანელი. მომდევნო წლებში იქ სამხედრო დიქტატურა დამყარდა. ეს ის ლიტვაა, რომელიც დღეს დემოკრატიულობაზე დებს თავს.

1936 წელს — სამხედრო გადატრიალება ლატვიაში, ესტონეთში და აქაც იმარჯვებს სამხედრო დიქტატურა. ყალიბდება ნახევრად ფაშისტური სახელმწიფოები.

ისტორიის არცოდნა ან შეგნებულად დავიწყება ძალიან საშიშია.

**როგორ გამოეხმაურა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საბჭოთა კავშირში გაერთიანებას?**

მან თქვა: ჩვენ გაგებით ვეკიდებით სტალინის მისწრაფებას საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან გერმანიის გადაწევის შესახებ.

ასე თქვა და ამას არავითარი დაგმობა არ მოჰყოლია, რადგან ასეთი მიდგომა იყო ბუნებრივი იმ პერიოდისთვის.

მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს სწორედ გავლენის სფეროების (საბჭოთა კავშირის) დასავლეთის საზღვრების დასადგენად მოაწერეს ხელი. ეს მოხდა 23 სექტემბერს.

ამ ხელშეკრულების თანახმად, ლიტვა გერმანიის პროტექტორატი უნდა გამხდარიყო. არ იყო წარმოდგენილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

**25 სექტემბერს სტალინმა მოითხოვა ამის გადახედვა. მან განაცხადა: ჩვენი ინტერესების სფერო ვილნოს გუბერნიასა და ვარშავის ოლქზე გადის. ჩვენ უარს ვამბობთ ამაზე. ჩვენ გვინდა ლიტვა.**

ლიდერს უნდოდა ლიტვა.

**ლიტვის მისაღებად სტალინმა უარი თქვა პოლონეთის ნაწილზე.**

როგორ მოიქცა საბჭოთა კავშირი მას შემდეგ, რაც ლიტვა მიიღო? მან დაუბრუნა ლიტვას ვილნოს ოლქი, რომელიც პოლონეთმა უკანონოდ, მოტყუებით მიისაკუთრა. არავის ხმა არ ამოუღია, ყველამ გადაყლაპა. ვილნოს ოლქში მაშინ ლიტველების მხოლოდ 20 პროცენტი ცხოვრობდა. ხოლო ქალაქ ვილნოში, რომელიც ლიტვის დედაქალაქად გამოცხადდა, მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი იყო ლიტველი.

— **პოლონელები და ებრაელები ცხოვრობდნენ ძირითადად.**

— მოლოტოვმა მაშინ თქვა: მან იცის, ლიტველები მოსახლეობის ძირითად ნაწილს რომ არ წარმოადგენენ, მაგრამ, გეოგრაფიული მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ასე ამჯობინებს. ლიტვას მიუერთეს ბელორუსიის სამი ოლქი. ვინც იცის, შევახსენებ, რომ 1918-1919 წლებში, საბჭოთა კავშირში ბელორუსიის გაერთიანებამდე, არსებობდა ბელორუსია-ლიტვის რესპუბლიკა. დიდი ხნის ისტორია აკავშირებდა ამ ორ ქვეყანას ერთმანეთთან. იმ დღეს, როცა გამოაცხადეს, რომ ვილნიუსი ლიტვას უბრუნდებაო, უდიდესი ზეიმი გაიმართა ლიტვის ქუჩებში. ყველა ლიტველი ზეიმობდა.

— **პრეზიდენტი სმეტანაც.**

— ასე იყო. მაგრამ, როცა სიტყვა წარმოთქვა, სხვა რამ განაცხადა: **ეს თქვენი დამსახურება არ არის, ეს სტალინის დამსახურებაა. მან გაჩუქათ.**

პრობლემა, რა თქმა უნდა, არსებობდა. საბჭოთა კავშირს ეს რესპუბლიკები რომ არ მიეერთებინა, გერმანია შეეცდებოდა მათ წაგლეჯას.

1939 წლის სექტემბერში, მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, როცა ფაშისტებმა ორ კვირაში ბოლო მოუღეს პოლონეთს, ევროპაში ყველა დარწმუნებული იყო, რომ ხელს მოაწერდნენ მშვიდობიან შეთანხმებას და ყველაფერი დასრულდებოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ვერმახტმა გადაწყვიტა, შეჭრილიყო საფრანგეთში. სამ კვირაში საფრანგეთი გაქრა, როგორც სახელმწიფო. ევროპის ყველა ქვეყანა ერთმანეთის მიყოლებით მესამე რაიხის ნაწილად იქცა.

ამიტომ სავსებით ბუნებრივი იყო, როცა მოსკოვში ასე განსაჯეს: გამორიცხული არ არის, რომ ხვალ ბალტიისპირეთში გამოჩნდეს გერმანული დივიზიები. აქაური რესპუბლიკები შეძლებენ ოცამდე დივიზიის გამოყვანას, პლიუს ათი გერმანული დივიზია. ე.ი. აქ შეგროვდებოდა 30 დივიზია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც ევროპის ყველა ქვეყანა მესამე რაიხის ნაწილად იქცა, სავსებით ნათელი გახდა, რომ შემდეგი ნაბიჯი აღმოსავლეთისკენ გადაიდგმებოდა, ამიტომ ამ რესპუბლიკების ბედის ანაბარად დატოვება სერიოზული საშიშროების შემცველი იყო.

— **ერთ-ერთი შეკითხვა, რომელიც 80 წლის თარიღის განხილვის დროს ჩნდება, არის გამანადგურებელი ტერორი, რომელიც საბჭოთა კავშირმა განახორციელა მშვიდობიანი ლიტველების, ლატვიელებისა და ესტონელების წინააღმდეგ — 1939, 1940, 1949 წლების დეპორტაციის სახით.**

ამ შეკითხვაზე კედმი უპასუხებს კონკრეტულად, სტატისტიკაზე დაყრდნობით: მაგალითად, 1939 წელს ბალტიისპირეთიდან სულ დეპორტირებული იყო 45 ათასი ადამიანი. 15 ათასი ციხეში ჩასვეს — ყოფილი პოლიციელები, სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლები და ისინი, ვინც ამა თუ იმ პროფაშისტურ პოლიტიკას განახორციელებდა. ეს იყო ჩვეულებრივი აქცია, რომელსაც ყველა სხვა ქვეყანა მიმართავდა — ინგლისი, საფრანგეთი. მოვიდა ახალი ხელისუფლება! **საბჭოთა ხელისუფლებამ ის „ამხანაგები“, რომლებმაც ლიტვაში 1926 წლის გადატრიალების შემდეგ კომუნისტების ხელმძღვანელობა ერთიანად დახვრიტა, ციხეში ჩასვა. სულ ეს იყო.**

კლასობრივ მტრებს მაშინ ასე ეპყრობოდნენ.

— ამას ჰქვია საშინელება, დეპორტაცია?! **1949 წლის „ტერორი“ ვის წინააღმდეგ იყო მიმართული? „ტყის ძმების“ წინააღმდეგ, ნაცისტების ხელშემწყობთა წინააღმდეგ. იმის ნაცვლად, რომ ყველანი უკლებლივ ჩამოეხრჩოთ, ციხეში ჩასვეს, ნაწილი გადაასახლეს. შემდეგ ისინი დაბრუნდნენ. საკვირველია, როგორ დადიან თავისუფლად ამ დედამიწაზე ისინი, ვინც ეს-ეს-ის ნაწილებში მსახურობდნენ?!**

— არაერთხელ მითქვამს, — დასძენს კედმი, — რომ **გერმანელები ბელარუსში გზავნიდნენ ლატვიელებით დაკომპლექტებულ სპეცდანაყოფებს „წესრიგის დასამყარებლად“. არმია „ცენტრის“ ჯგუფის სარდალმა მაშინ განაცხადა: მოაცილეთ ისინი აქაურობას, მათი მხეცური მოპყრობა ებრაელი მოსახლეობის მიმართ ჩემი ჯარისკაცების დემორალიზაციას იწვევს. ეს აჭარბებს ყველაფერ იმას, რისი მოთმენაც შეგვიძლია! ნაცისტებმა მოითხოვეს ლატვიელების გაგდება, რადგან მათმა მხეცობამ გადააჭარბა ყველაფერს, რისი მოთმენაც მათ თავიანთი ნაცისტური ფსიქოლოგიით შეეძლოთ.**

უფრო საშინლად იქცეოდნენ, ვიდრე მათი უკრაინელი, ბანდერელი „ამხანაგები“.

ერთ საკითხსაც მინდა მოვფინო ნათელი, რომელიც ახალ, დემოკრატიულ ლიტვასთან არის დაკავშირებული. ამ ხელისუფლებამ მოითხოვა ისრაელის არმიის გენერალ **უზი რუბინის** გადაცემა იმის გამო, რომ მან, პარტიზანთა რიგებში მებრძოლმა, გაბედა „პატიოსანი ლიტველების“ დახოცვა, რომელთა ერთადერთი დანაშაული ებრაელთა ამოჟლეტა იყო.

დემოკრატიულმა ხელისუფლებამ მისი გასამართლება მოინდომა. და ამ ხელისუფლების წარმომადგენლები ახლა ამბობენ, რომ განხორციელებული იყო ლიტველების საშინელი დეპორტაცია.

დასასრულ, მინდა ვთქვა, — ასკვნის კედმი, — რომ არასოდეს ყოფილა ბალტიისპირეთის ქვეყნების კულტურა ისე ყოველმხრივ აყვავებული, როგორც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იყო. არასოდეს ყოფილა ამ ქვეყნებში ისეთი განვითარებული ეკონომიკა, როგორიც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში. ვინ შეუქმნა მრეწველობა? სად არის ახლა ეს ყველაფერი?

ალარ არსებობს...

**ა.ს.**



**«როგორ მოიქცა საბჭოთა კავშირი მას შემდეგ, რაც ლიტვა მიიღო? მან დაუბრუნა ლიტვას ვილნოს ოლქი, რომელიც პოლონეთმა უკანონოდ, მოტყუებით მიისაკუთრა. არავის ხმა არ ამოუღია, ყველამ გადაყლაპა. ვილნოს ოლქში მაშინ ლიტველების მხოლოდ 20 პროცენტი ცხოვრობდა, ხოლო ქალაქ ვილნოში, რომელიც ლიტვის დედაქალაქად გამოცხადდა, მოსახლეობის მხოლოდ 2 პროცენტი იყო ლიტველი»**

**მას შემდეგ, რაც ევროპის ყველა ქვეყანა მესამე რაიხის ნაწილად იქცა, სავსებით ნათელი გახდა, რომ შემდეგი ნაბიჯი აღმოსავლეთისკენ გადაიდგმებოდა, ამიტომ ამ რესპუბლიკების ბედის ანაბარად დატოვება სერიოზული საშიშროების შემცველი იყო**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვატიკანი მსოფლიოში ყველაზე პატარა ქვეყანაა, ის იტალიის დედაქალაქ რომში მდებარეობს და კათოლიკური ეკლესიის ცენტრს წარმოადგენს. სწორედ ვატიკანშია მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ქრისტიანული ნაგებობა — წმინდა პეტრეს ტაძარი. ვატიკანის მუზეუმებში შეიძლება ნახოთ აღორძინების ეპოქის ხელოვნების ნაწარმოებები.**

ყველაზე პატარა არ ნიშნავს ყველაზე ცუდს. ამ ქვეყნებიდან ზოგიერთი ყველაზე მყუდრო და ლამაზი ადგილია პლანეტაზე.

# 10 ყველაზე პატარა ქვეყანა მსოფლიოში



## 10. გრენადა – 34 კვ.კმ

ეს კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში მდებარეობს. გრენადა მუსკატის (ჯავზის) ყველაზე დიდი მწარმოებელია მსოფლიოში. 1649-დან 1763 წლამდე იყო საფრანგეთის კოლონია. ფრანგული ტრადიციებისა და კულტურის გავლენა დღესაც იგრძნობა ქვეყანაში არქიტექტურიდან და ხელოვნებიდან კრიკეტამდე, რომელიც კუნძულზე სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა.



## 9. მალტა – 316 კვ.კმ

სახელმწიფო მალტა ხმელთაშუა ზღვაში მდებარეობს. რესპუბლიკაში სამი კუნძულია: გოზო (გოცო), კომინო და ყველაზე დიდი — მალტა. ქვეყნის მოსახლეობა 450 ათასი კაცია. ტურისტები მალტას შესანიშნავ პლაჟებზე დასასვენებლად და ღამის საინტერესო ცხოვრებისთვის სტუმრობენ.



## 8. მალდივის რესპუბლიკა – 300 კვ.კმ

აზიის ყველაზე პატარა ქვეყანა ინდოეთის ოკეანეში მდებარეობს. მისი თეთრქვიშიანი პლაჟები ტურისტების საყვარელი ადგილია.

რესპუბლიკაში 1192 კუნძულია, რომლებიც 90 ათას კვ. კმ-ზეა გაბნეული.

## 7. სენტ-კიტსი და ნევისი – 261 კვ. კმ



ევროპელებით დასახლებული კარიბის ზღვის ეს ორი კუნძული დიდი ხნის განმავლობაში იყო შაქრის მთავარი ექსპორტიორი. დღეს ადრინდელ პლანტაციებზე მოგონებებს აღძრავს მხოლოდ კოლონიისდროინდელი მამულები, რომლებიც სასტუმროებად არის გადაკეთებული. ქვეყნის ეკონომიკა ეყრდნობა ტურიზმს, სოფლის მეურნეობასა და პატარა საწარმოებს. სენტ კიტსი და ნევისი განთქმულია შესანიშნავი პლაჟებით.



## 6. ლიხტენშტაინი – 160 კვ. კმ

ლიხტენშტაინი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მთლიანად ალპებშია, შვეიცარიასა და ავსტრიას შორის. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა უმუშევრობის დაბალი დონის (1,5%) წყალობით. ლიხტენშტაინში მოხვედრა საკმაოდ რთულია, რადგან ქვეყანაში არც ერთი აეროპორტი არ არის, უახლოესი კი ციურიხში (შვეიცარია) მდებარეობს.



## 5. სან-მარინო – 61 კვ. კმ

სან-მარინო ანკლავია — მისი ტერიტორია გარშემორტყმულია იტალიის მიწებით. ის მესამეა ევროპის ყველაზე პატარა ქვეყნებს შორის. სან-მარინოს მოსახლეობა 30 ათას კაცს შეადგენს, მაგრამ მისი მშპ მოსახლეობის ერთ სულზე ძალიან მაღალია — 44,6 ათასი დოლარი.



## 4. ტუვალუ – 26 კვ. კმ

ადრე ელისის სახელით ცნობილი სახელმწიფო ტუვალუ წყნარ ოკეანეში მდებარეობს, ავსტრალიიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. მოსახლეობა 10 ათას კაცს შეადგენს, ხოლო გზების საერთო სიგრძე 8 კმ-ია. ოდესღაც ბრიტანულმა კოლონიამ 1978 წელს მოიპოვა დამოუკიდებლობა. ქვეყანაში ტურიზმი არც ისე კარგად არის განვითარებული, არადა, უამრავი ლამაზი პეიზაჟია.



## 3. ნაურუ – 21 კვ. კმ

ნაურუ მსოფლიოში ყველაზე პატარა კუნძული-სახელმწიფოა, ის ავსტრალიის ჩრდილოეთით მდებარეობს. ქვეყნის ეკონომიკა ძალიან დაზარალდა, როცა ფოსფორის მარაგი ამოიწურა. ნაურუში უმუშევრობა 90%-ს შეადგენს.



## 2. მონაკო – 2 კვ. კმ

მონაკო ფუფუნებისა და სიმდიდრის განსახიერებაა. ამ ქვეყანას ყველაზე მეტი მილიონერი და მილიარდერი სტუმრობს. შესანიშნავი კაზინოებისა და სერვისების წყალობით ეს მდიდრების საყვარელი ადგილია. ერთ-ერთი პოპულარული სანახაობა აქ „ფორმულა 1“-ის ეტაპია, როდესაც ბოლიდები ქალაქის ქუჩებში დაქრიან.

მონაკო, სადაც 36 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მსოფლიოში ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნად ითვლება.



## 1 ვატიკანი – 0,44 კვ. კმ

ვატიკანი მსოფლიოში ყველაზე პატარა ქვეყანაა, ის იტალიის დედაქალაქ რომში მდებარეობს და კათოლიკური ეკლესიის ცენტრს წარმოადგენს. სწორედ ვატიკანშია მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ქრისტიანული ნაგებობა — წმინდა პეტრეს ტაძარი. ვატიკანის მუზეუმებში შეიძლება ნახოთ აღორძინების ეპოქის ხელოვნების ნაწარმოებები. ქვეყნის მთავარი შემოსავალი კათოლიკების (1 მლრდ კაცი) ნებაყოფლობითი შემოწირულობებია, შემოსავლების დანარჩენი ნაწილი მოდის საფოსტო მარკების, სუვენირებისა და მუზეუმებში შესასვლელი ბილეთების გაყიდვაზე.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**1972 წელს ეკრანებზე გამოვიდა „მრისხანების გზა“ და „დრაკონის გზა“, რომლებმაც ბრუს ლი ვარსკვლავად აქცია. უზარმაზარი წარმატება ჰქონდა ფილმ „დრაკონის გამოსვლას“ (1973 წ.), რომლის პრემიერა ბრუს ლის მოულოდნელი გარდაცვალებიდან ერთი კვირის თავზე გაიმართა. ეს ფილმი დიდი მსახიობისა და სპორტსმენისადმი მიძღვნილი რეკვიემი აღმოჩნდა, ხოლო ჩაკ ნორისთან ფინალური ორთაბრძოლა საუკეთესოდ ითვლება მსოფლიო კინემატოგრაფში.**

აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «პატარა დრაკონის» ცხოვრების გზა



ბრუს ლი და ცნობილი ამერიკელი კალათბურთელი კარიმ აბდულ ჯაბარი



ბრუს ლის ძეგლი ჰონგ-კონგში

**აღმოსავლური ორთაბრძოლების ოსტატი, მსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი ბრუს ლი, რომელიც უნიკალური ნიჭის, მიზანმიმართულობისა და შრომისმოყვარეობის წყალობით მსოფლიო ლეგენდად იქცა და პლანეტის ყველა კუთხეში მილიონობით მიმდევარი ჰყავდა, 1940 წელს სან ფრანცისკოში დაიბადა, სადაც იმ პერიოდში გასტროლზე იმყოფებოდა მისი მამა კანტონის (გუანჯოუს) ოპერის მსახიობი ლი ხოი ჩენი ფეხმძიმე ცოლ გრეის ლისთან ერთად.**

1940 წლის 27 ნოემბერს, ჩინური კალენდრის მიხედვით, დრაკონის წელიწადსა და დრაკონის საათზე დაიბადა ბიჭი, რომელიც მსოფლიო ლეგენდად იქცა. ახალშობილს რამდენიმე სახელი დაარქვეს. ჩინური კალენდრის მიხედვით — **ლი სიაო ლუნი** („პატარა დრაკონი“) სან-ფრანცისკოს კლინიკიდან გაცემულ დაბადების მოწმობაში ჩაუწერეს **ბრუს ლი,** დედამ კი **ლი ჩუენ ფანი** დაარქვა.

როდესაც ბრუს ლი წამოიზარდა, მშობლებმა იეზუიტების სკოლაში მიაბარეს, მაგრამ იქიდან მალე გამოაგდეს ცუდი საქციელისა და სწავლის გამო. ბიჭი განსაკუთრებით ცუდად სწავლობდა გრამატიკასა და მათემატიკას, ჩხუბობდა კლასელებთან, რის გამოც შინ ხშირად მისულა თვალჩალურჯებული. მამა ყველანაირად ცდილობდა შვილის გამოსწორებას და ხშირად დაჰყავდა თეატრსა და გადაღებებზე. ამის წყალობით ბრუსი მალე მოხვდა კინოში. ექვსი წლის იყო, როცა პატარა ქურდი ბიჭის როლი ითამაშა ფილმში „კაცობრიობის გაჩენა“. მამა ოცნებობდა შვილის არტისტობაზე, ხედავდა, რომ სიგამხდრის, არაპროპორციული გრძელი ხელებისა და მოღრეცილი მარცხენა ფეხის მიუხედავად, ბრუსი ღმერთისგან პლასტიკურობითა და რიტმის გრძნობით იყო დაჯილდოებული, ამიტომ ის ცეკვაზე მიიყვანა, მას ცეკვა ძალიან მოეწონა.

13 წლის მოზარდმა პირველად გადააბიჯა ცეკვის სასწავლებლის ზღურბლს, 17 წლისამ კი ჰონკონგის ჩემპიონმა მოიპოვა ჩა-ჩა-ჩა-ს შესრულებაში. ცეკვით გატაცების მიუხედავად, მოუსვენარი ყმაწვილი მაინც მონაწილეობდა ქუჩურ გარჩევებში და, როცა ერთ-ერთი ასეთი გარჩევის შემდეგ კარგად გალახეს, გადაწყვიტა, აღმოსავლური ორთაბრძოლები შეესწავლა. მან ყურადღება შეაჩერა სტილ ვინ-ჩენზე (ბრძოლა მოკლე დისტანციაზე უიარაღოდ) და მივიდა ამ საბრძოლო ტექნიკის საუკეთესო ოსტატთან, ყოფილ პოლიციელ **იპ მენთან**, რომელსაც ჰონკონგში საკუთარი სკოლა ჰქონდა. მასწავლებელმა მყისვე შეამჩნია ყმაწვილს პლასტიკა და კოორდინაცია, აგრეთვე, მოძრაობების სისწრაფე და მოხერხებულობა.



ბრუს ლი და მისი მასწავლებელი იპ მენი

ბრუსმა მალე მიაღწია წარმატებებს, მაგრამ ქუჩური გარჩევები მაინც იზიდავდა. ერთხელ ჩაერთო ჰონკონგის ცნობილი კრიმინალური დაჯგუფების წევრებთან ჩხუბში და ორი კაცი გალახა. კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს არ სჩვევიათ ლმობიერების გამოჩენა იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც აწყენინეს, ამიტომ ბრუსის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა. შეშინებულმა დედამ ბიჭი სასწრაფოდ გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასე რომ, 1959 წელს ბრუს ლი კვლავ აღმოჩნდა აშშ-ში: ჯერ — სანფრანცისკოში, შემდეგ — სიეტლში. მუშაობდა რესტორანში, სწავლობდა ედისონის სახელობის სკოლაში, შემდეგ კი ჩააბარა ვაშინგტონის უნივერსიტეტში.

სწავლის მიუხედავად, ბრუსს სპორტი არ მიუტოვებია, პირიქით — თავისუფალ დროს ვარჯიშში ატარებდა. შეისწავლა და სრულყო კუნგ-ფუს, ჯიუ-ჯიტსუსა და ძიუდოს ილეთები. ვარჯიშისას მანეკენებად იყენებდა ხეებს, რომლებსაც ტანზე პლედს ახვევდა.

19 წლის ბრუს ლიმ აღმოსავლური ორთაბრძოლის თავისი სკოლა გახსნა — ასწავლიდა კუნგ-ფუს საკუთარ სტილს — ჯიტ კუნ-დოს, რომელიც რეგულარული და ქანცგამცლელი ვარჯიშის შემდეგ შექმნა. გაკვეთილი იაფი არ იყო (თითქმის 300 დოლარი საათში), მაგრამ ბევრს უღირდა. ბრუს ლი სიკვდილამდე სრულყოფდა თავის ორიგინალურ ტექნიკას, მოსწავლეებისთვის კი შეიმუშავა კვების სპეციალური სისტემა.

ბრუს ლი არა მხოლოდ სპორტული მიღწევების გამო აღიარეს ლეგენდად, მან შეძლო სრულად შეეცვალა წარმოდგენა ორთაბრძოლებზე კინემატოგრაფში და აეყვანა ის სხვა დონეზე. თუ ადრე კინემატოგრაფიული ორთაბრძოლების კადრებს აჩქარებდნენ მეტი სანახაობრივი ეფექტისთვის, ბრიუსის ორთაბრძოლებს პირიქით — ანელებდნენ, მაყურებელი მისი შესანიშნავი ტექნიკით რომ დამტკბარიყო.

ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში ბრუს ლიმ 36 ფილმში ითამაშა, მათგან ბევრი კლასიკად იქცა.

1971 წელს, როდესაც ჰონკონგში გაიხსნა კინოსტუდია Golden Harvest-ი, ბრუსმა გადაწყვიტა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. მან დაარწმუნა კინოსტუდიის დირექტორი, რომ მისთვის მიეცა მთავარი როლი ფილმში „დიდი ბიჭი“ (1971 წ.), აგრეთვე, დაედგა ორთაბრძოლების სცენები. ფილმის წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა და ლიმ მოიპოვა შესაძლებლობა, არა მხოლოდ წარმოეჩინა თავისი სამსახიობო და სპორტული უნარ-ჩვევები, არამედ უშუალოდ ჩართულიყო შემდეგი ფილმის შექმნაში.

1972 წელს ეკრანებზე გამოვიდა **„მრისხანების გზა“** და **„დრაკონის გზა“,** რომლებმაც ბრუს ლი ვარსკვლავად აქცია. უზარმაზარი წარმატება ჰქონდა ფილმ „დრაკონის გამოსვლას“ (1973 წ.), რომლის პრემიერა ბრუს ლის მოულოდნელი გარდაცვალებიდან ერთი კვირის თავზე გაიმართა. ეს ფილმი დიდი მსახიობისა და სპორტსმენისადმი მიძღვნილი რეკვიემი აღმოჩნდა, ხოლო **ჩაკ ნორისთან** ფინალური ორთაბრძოლა საუკეთესოდ ითვლება მსოფლიო კინემატოგრაფში.

ბრუს ლის მონაწილეობით ეკრანებზე გამოსული ბოლო ფილმი იყო „სიკვდილის თამაში“ (1979 წ.), რომელიც მის გარეშე დაასრულეს დუბლიორების გამოყენებით. ფილმში შესულია ბრუს ლის დაკრძალვის დოკუმენტური კადრები.

ბრიუს ლიმ მომავალი მეუღლე **ლინდა ემერი** სიეტლში გაიცნო. გოგონა, ისევე, როგორც თვითონ, ვაშინგტონის უნივერსიტეტში სწავლობდა. 17 წლის ლინდამ ბრუსის აღმოსავლური ორთაბრძოლების სკოლაში დაიწყო სიარული და... მასწავლებელი შეუყვარდა. მათ 1964 წელს იქორწინეს. ჰყავთ 2 შვილი: **ბრენდონი** და **შენონი.** ბრენდონი მამის მსგავსად მსახიობი გახდა და ტრაგიკულად დაიღუპა ისე, რომ 30 წლისთვისაც არ მიუღწევია. ახალგაზრდას ფილმ „ყველას“ გადაღებისას ესროლეს პისტოლეტიდან, რომელშიც პიროტექნიკოსის დაუდევრობის გამო ნამდვილი ტყვია იდო. შენონიც მსახიობია, ოღონდ დიდი ხანია, ფილმში არ გადაუღიათ.

იდეალურ ფიზიკურ ფორმაში მყოფი ბრუს ლის მოულოდნელმა სიკვდილმა აღმოსავლური ორთაბრძოლების სახელგანთქმული ოსტატის მილიონობით თაყვანისმცემელი დაამწუხრა. ოფიციალური ინფორმაციით, ის 1973 წლის 20 ივლისს გარდაიცვალა ტვინში სისხლის ჩაქცევის გამო, რომელიც თავის ტკივილის საწინაალმდეგო პრეპარატზე ალერგიულმა რეაქციამ გამოიწვია, მაგრამ არსებობს ვერსია, რომ მას მაფიოზებმა მიუგზავნეს მკვლელი, რომლის მოქმედებებმა ლის ნელი სიკვდილი გამოიწვია. მსახიობი სიეტლში დაკრძალეს.

ჩინეთის ქალაქ შუნდეში, საიდანაც არიან საბრძოლო ხელოვნების ოსტატის წინაპრები, ბრუს ლის 20-მეტრიანი ქანდაკება აღმართეს. მისი ხსოვნის პატივისცემის ნიშნად ქანდაკებები დგას ჰონკონგსა და ლოს-ანჯელესში.



ბრუს ლი ოჯახთან ერთად



მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# მსოფლიო ამოყირავდა: გერმანია სანქციებს ამზადებს აშშ-ის წინააღმდეგ



**ამერიკულმა მასმედიამ მიაკვლია ისეთ რამეს, რაც ვაშინგტონში იმაზე მეტ შოკს გამოიწვევს, ვიდრე, მაგალითად, სიცოცხლის აღმოჩენა მარსზე ან აყვავებული ბაღების — იუპიტერზე.**

საინფორმაციო სააგენტო „ბლუმბერგი“ ამტკიცებს, რომ გერმანიის პოლიტიკურ ელიტას აღმოაჩნდა ეროვნული ღირსება, მხოლოდ ასე შეიძლება ინტერპრეტაცია იმ ინფორმაციისა, რომ გერმანიის მთავრობაში იქმნება დოკუმენტი აშშ-ისთვის სანქციების დაწესებაზე. ამ სანქციებს დაამტკიცებენ იმ შემთხვევაში, თუ ვაშინგტონი გადაწყვეტს „ჯოჯოხეთური სანქციების“ დაწესებას „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მშენებლობის მონაწილეების მიმართ.

სააგენტო ამტკიცებს: „გერმანია ამზადებს საპასუხო დარტყმას ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი დონალდ ტრამპი შეასრულებს მუქარას, დამატებითი სანქციების დაწესებით მოკლას გაზსადენი „ჩრდილოეთის ნაკადი-2“. როგორც ორი გერმანელი მაღალჩინოსანი ამტკიცებს, მერკელის მთავრობა განიხილავს ევროკავშირის დონეზე კოორდინირებულ მოქმედებას აშშ-ის წინააღმდეგ. გერმანიის ეკონომიკის სამინისტროს დოკუმენტების მიხედვით, რომლებსაც გაეცნო Bloomberg News-ი, ამერიკის ახალი სანქციები დაარტყამს გერმანულ და ევროპულ ბევრ კომპანიას, სახელმწიფო სააგენტოებსაც კი“.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის ბუნდესტაგში 17 ივნისს გაიმართა პროფილური კომიტეტის დახურული სხდომა, რომლის ჩარჩოებშიც განიხილებოდა „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის წინააღმდეგ სანქციების საკითხი“. როგორც ამერიკული მედია აღნიშნავს, ამ სხდომის შემდეგ ბუნდესტაგის კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობას მოუწოდეს, კარგად გათვლილი კოლექტიური პასუხი გასცეს აშშ-ს, რომლის მუქარაც კომიტეტმა საერთაშორისო სამართლის დარღვევად აღიარა.

საყურადღებოა, რომ ანტიამერიკული სანქციების დაწესება ნავარაუდევია არა მხოლოდ გერმანიის, არამედ მთლიანად ევროკავშირის დონეზე, რაც რთული პროცესი იქნება შორს მიმავალი შედეგებით.

ექსპერტთა აზრით, გერმანიის ხელისუფლებამ, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მსგავსად, რომელიც ევროპის სამხედრო დამოუკიდებლობის კონცეფციის ავტორია, ნელ-ნელა ისწავლა თავისი დამოუკიდებლობის დაცვა ამერიკის გავლენების წინააღმდეგ.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული წერილის მიხედვით**
**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

## გერმანიის ხელისუფლებამ, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მსგავსად, რომელიც ევროპის სამხედრო დამოუკიდებლობის კონცეფციის ავტორია, ნელ-ნელა ისწავლა თავისი დამოუკიდებლობის დაცვა ამერიკის გავლენების წინააღმდეგ




# ასეთი რამ არასდროს მომხდარა: იაპონიამ უარი უთხრა აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე

**წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ის უახლოესმა მოკავშირემ ვაშინგტონს პირველად უთხრა უარი თავის ტერიტორიაზე სამხედრო ობიექტების განლაგებაზე. ოფიციალურმა ტოკიომ გააუქმა გარიგება პენტაგონთან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების — Aegis Ashore-ს განლაგებაზე. ფორმალურად ეს ახსნეს საცხოვრებელი კვარტლების უსაფრთხოების უზრუნველყოფით, რომ იქ შეიძლება რაკეტა ჩამოვარდეს, მაგრამ ბევრი სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ არსებობს სხვა მიზეზებიც.**

იაპონელებმა თავიანთ ტერიტორიაზე ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექს Aegis Ashore-ს განლაგების გადაწყვეტილება 2017 წელს მიიღეს, მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კორეამ რამდენიმე ბალისტიკური რაკეტა გაისროლა. ამერიკული კომპლექსები უნდა განელაგებინათ იაპონიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პროვინცია აკიტასა და სამხრეთ-დასავლეთის პროვინცია იამაგუტიში.

სამხედრო ექსპერტების აზრით, ეს კომპლექსები იაპონიას თავიდან აცილებდა რაკეტების თავდასხმის საფრთხეს, მაგრამ ძალიან ძვირი დაუჯდებოდა — დაახლოებით 890 მლნ დოლარი. თანაც რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსებს ამერიკელი სამხედროები გააკონტროლებდნენ.

სისტემების გამართვას 2023 წელს აპირებდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი ჩინეთმა და რუსეთმა მწვავედ გააკრიტიკეს, თანაც ტოკიომ გააცნობიერა, რომ ეს სისტემები იმუშავებდა აშშ-ის უსაფრთხოების დაცვაზე, ხოლო ომის შემთხვევაში პირველი დარტყმა განხორციელდებოდა სწორედ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებზე და ეს მოხდებოდა იაპონიის ტერიტორიაზე. ამერიკელები ხომ ყოველთვის ცდილობენ, იომონ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე ან სხვა ქვეყნის ტერიტორიიდან. ეს კი იაპონელებს ხელს არ აძლევდათ.

ამას გარდა, არის კიდევ ერთი მიზეზი: იაპონელებს მობეზრდათ თავიანთ მიწაზე ამერიკელი სამხედროების ყოფნა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელებმა იაპონიაში „სსრკ-ის აგრესიისგან“ დაცვის საბაბით, სინამდვილეში აზიის აღმოსავლეთში სამხედრო პლაცდარმის შექმნის მიზნით, 90 სამხედრო ბაზა განალაგეს.

1972 წლიდან დღემდე ამერიკელმა სამხედროებმა მხოლოდ კუნძულ ოკინავაზე 6 ათასამდე დანაშაული ჩაიდინეს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ, მათ შორის 100 მკვლელობა, 300-ზე მეტი გაუპატიურება და 200-ზე მეტი ავტოავარია სასიკვდილო შედეგით. იაპონელების მასობრივი პროტესტი ამერიკელი „სტუმრების“ წინააღმდეგ, უკვე 20 წელიწადია, გრძელდება.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**




# «რუსეთთან ერთად თითქმის ნახევარმა კაცობრიობამ აღნიშნა ფაშიზმზე გამარჯვების 75 წლისთავი»

**აღლუმს, რომელიც ჩატარდა მოსკოვში, წითელ მოედანზე, და მიეძღვნა ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე წლისთავს, ნახევარი მსოფლიო ადევნებდა თვალყურს.**

„ამ აღლუმში, რუსეთის შეიარაღებული ძალების გარდა, მონაწილეობდნენ არა მხოლოდ დსთ-ის (დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის) ქვეყნები, არამედ ისეთი სახელმწიფოები, როგორიც არის ჩინეთი, ინდოეთი, სერბეთი. საერთოდ, დიდ სამამულო ომში გამარჯვების 75-ე წლისთავი რუსეთთან ერთად თითქმის ნახევარმა კაცობრიობამ აღნიშნა“, — განაცხადა რუსეთის ფედერაციის ფედერალური საბჭოს საერთაშორისო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ანდრეი კლიმოვმა.**

**მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# ვენესუელა ევროკავშირის ელჩს აძევებს

**ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ ევროკავშირის ელჩ იზაბელ პედროსას ქვეყნის დასატოვებლად 72-საათიანი ვადა მისცა. „თუ არ შეუძლიათ, ვენესუელას პატივი სცენ, მაშინ ქვეყანა უნდა დატოვონ. შეგვიძლია, გასამგზავრებლად თვითმფრინავი გამოვუყოთ“, — განაცხადა მადურომ.**

ნიკოლას მადურომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ევროკავშირმა სანქციები ვენესუელის კიდევ 11 ოფიციალურ პირს დაუწესა „იმ მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების გამო, რომლებიც ძირს უთხრის დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას ვენესუელაში“.

ევროკავშირმა სანქციები ვენესუელის 36 ოფიციალურ პირს დაუწესა.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009